

# ესდა აკლდა კაპელოს...

ევრო 2012. შესარჩევი მატჩები

გვ. 3



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერბებმა გენუაში თამაში ჩაშალეს

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 ოქტომბერი ოთხშაბათი 2010
№241 (13229) ფასი 60 თეთრი

# SOS!

## ხომ არ ჩაიშლება მეათე ტური?

გვ. 4

# იღბალი იქით, იმედი აქეთ



...მაშინ, როცა შესარჩევებს ოქტომბერში ვამთავრებდით

გვ. 2



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# რეგულარული ჩემპიონმა მოიგო

პლეი ოფის წყვილები გაირკვა

გვ. 13

GO-SIM
საერთაშორისო სიმ ბარათი
გვ.5 R

## ევრო 2012

შესარჩევი ტურნირი. F ჯგუფი

# იღბალი იქით, იმედი აქეთ

12.10. რიგა. სკონტო
4 330 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლატვია | 1 |
| საქართველო | 1 |

0:1 სირაძე (74. ლობჟანიძის პასით), 1:1 ცაუნია (90+1. გრებისის პასით)

| ლატვია | საქართველო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ვანინსი | რევიშვილი |
| კლავა | ლობჟანიძე |
| გორკშსი | ასათიანი |
| ივანოვსი | ამისულაშვილი |
| ზირნისი | კალაძე |
| ლაიზანსი | დაუშვილი |
| ასტაფიევსი | კობიაშვილი |
| ჟიგაევსი | იაშვილი |
| ცაუნია | ანანიძე |
| რუბინსი | კვირკველია |
| რუდნევსი | სირაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. სტარკოვსი | თ. ქეცბაია |

**ლატვია**

82. ლაიზანსი - **გრებისი**
85. ჟიგაევსი - **პერეპლიოტკინსი**

*სათადარიგოები: კოლინკო, მიხალიუკსი, კრიაუკლისი, ლაზდინში, ვერტოვსი*

**საქართველო**

68. კვირკველია - **გოგუა**
79. ანანიძე - **სალუქვაძე**
87. იაშვილი - **კოშკაძე**

*სათადარიგოები: ლორია, დვალიშვილი, გელაშვილი, მერებაშვილი*

გაფრთხილება: კლავა (48), გორკშსი (64), სირაძე (74), გოგუა (83), რევიშვილი (87)
არბიტრი: ჟორჟე დე სოუზა (პორტუგალია)

## მატჩამდე

...გუშინდელ მატჩამდე მეტოქეები აბსოლუტური თანაფარდობით მოვიდნენ: აქამდე ჩატარებული 5 მატჩიდან საქართველოსა და ლატვიის ნაკრებს ორ-ორი მოგება ჰქონდათ, ერთი შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა. ეგ კი არა, ბურთების სხვაობაშიც აბსოლუტური თანაფარდობა იყო: 8-8! ერთადერთი, რაზეც გული გვეთანაღრებოდა, ის ფაქტი იყო, რომ გუშინდლამდე ჩატარებულ ორივე ოფიციალურ მატჩში უპირატესობას ლატვიელები ფლობდნენ: 1998 წლის 10 ოქტომბერს რიგაში მართლაც კურიოზული გოლის წყალობით დაგვამარცხეს, ერთი წლის შემდეგ კი თბილისში ფრედ (2:2) დაასრულეს შეხვედრა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ამა წლის 7 თებერვალს, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა რომ ჩატარდა, იმ მომენტისათვის ფიფას რეიტინგში ლატვიის ნაკრები 49-ე ადგილზე იყო, საქართველოს ნაკრები კი - 122-ზე; და აი, რვა თვის შემდეგ აბსოლუტურად განსხვავებული სურათია: ლატვიელები ამჟამად 68-ე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ, ჩვენ კი, პირიქით - ამჟამად 89-ე საფეხურზე ვიმყოფებით. მოკლედ, „მცირე" არითმეტიკა, რომ მოვიშველიოთ, შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ლატვიელები ფიფას რეიტინგში 73 საფეხურით გვისწრებდნენ, ახლა კი მხოლოდ - 21-ით! ერთი მხრივ, ეს ფაქტი გასაკვირვი არც უნდა ყოფილიყო: გუშინდლამდე ჩატარებულ ბოლო ათ შეხვედრაში **ალექსანდრ სტარკოვსის** გუნდმა მხოლოდ 1 მატჩი მოიგო (მალტასთან); აი, **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრები კი მართლაც ჩინებული შედეგით იწონებდა თავს: წაუგებლად ზედიზედ ექვსი მატჩი ჩვენმა უპირველესმა გუნდმა უკანასკნელად... 10 წლის წინათ ჩაატარა!

...ლატვიის ნაკრების თავკაცმა ალექსანდრს სტარკოვსმა წინა მატჩთან შედარებით ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება (ისიც, იძულებითი) მოახდინა: დისკვალიფიცირებული **მარის ვერპაკოვსკისის** ნაცვლად მოედანზე „ვენტსპილსის" 24 წლის მარჯვენა გარემარბი **იურის ჟიგაევსი** გამოვიდა. სამაგიეროდ, ბევრად უფრო მეტი ცვლილება იყო საქართველოს ნაკრებში: დისკვალიფიცირებული **ზურაბ ხიზანიშვილის** ადგილს მოედნის ცენტრში ახალგაზრდა **ბუბა დაუშვილი** რომ დაიკავებდა, ამას ბევრი მარჩიელობა არ სჭირდებოდა; ძირითადში დაბრუნდა **უჩა ლობჟანიძეც**, რომელმაც მალტასთან შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. არც ის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, თემურ ქეცბაიამ ძირითადში რომ მიუჩინა ადგილი **ალექსანდრე იაშვილსა** და **დავით სირაძეს**, რომლებიც იმავე მალტასთან შეხვედრაში შეცვლაზე შემოვიდნენ და თამაშის ბედის გადაწყვეტაში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულეს. აი, **გოგიტა გოგუას** სათადარიგოთა სკამზე გამწესებას კი მართლაც არავინ ელოდა: ენერგიული ნახევარმცველი, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრების შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა და ქეცბაიას გუნდში უმნიშვნელოვანესი ფუნქციები ეკისრა. გოგუას ადგილი კი ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე **დავით კვირკველიამ** დაიკავა, ვინც ბოლო 2 მატჩი (ისრაელსა და მალტასთან) სათადარიგოთა სკამზე გაატარა.



## მატჩი

ჩვენი ნაკრების წაუგებელი ასპარეზობა გრძელდება, ისე, როგორც ჩვენი და ლატვიელების დაპირისპირებებში - აბსოლუტური თანაფარდობა. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, შეეგუო იმას, როცა სტუმრად გამარჯვებასთან სულ მცირედი გაშორებს და სწორედ მსაჯის მიერ წამატებულ დროში გაუშვებ გოლს. მაგრამ მეორე მხრივ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ რომ იმავე მალტასთან წინა მატჩში ჩვენ გაგვიღიმა ფორტუნამ. ბუნებრივია, ჩვენი ფეხბურთელების გასაკრიტიკებლად ენა ვის უნდა მოუბრუნდეს, მით უფრო, რომ მალტასთან შედარებით, გუშინ ბევრად უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, და ამ დროს კი, მასპინძლები, ფაქტობრივად, კონტრშეტევების იმედად იყვნენ. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როცა საბოლოო შედეგი ლოგიკურად კი გეჩვენება, მაგრამ ჩვენთვის მაინც გულსატკენი იყო ბოლო წამებზე გაშვებული გოლი.

...ლატვიის დედაქალაქი საკმაოდ სუსხიანი ამინდით დაუხვდა საქართველოს ნაკრებს: ნაწვიმარ გაზონზე ორივე გუნდის მოთამაშეებს ხშირად უცურავდათ ფეხი და ამის გამოც იყო, რომ მთელი მატჩის განმავლობაში არა ერთხელ შეიქმნა, ცოტა არ იყოს, კურიოზული სიტუაცია... თუმცა რაოდენ საწყენიც უნდა იყოს, „სკონტოს" მოედნის საფარი ჩვენი უპირველესი არენის გაზონს მაინც სჯობდა...

...ორივე გუნდის თავკაცმა აბსოლუტურად იდენტური განლაგება აირჩია: ხაზზე მოქმედი ოთხ-ოთხი მცველით, ორ-ორი საყრდენით, სამ-სამი შემტევითა და ერთი გამოკვეთილი ფორვარდით. ანუ, ამ მხრივ სტარკოვსსა და ქეცბაიას ერთმანეთისთვის სიურპრიზი არ შეუთავაზებიათ. ერთადერთი, მოულოდნელობა, გოგუას მსგავსად, მასპინძელთა შემადგენლობაში ბაქოს „ინტერის" 29 წლის ცენტრფორვარდის **გირტს კარლსონსის** არყოფნა იყო...

პირველი სახიფათო მომენტი ჩვენ შევქმენით: **ჯანო ანანიძემ** (ყველაზე აქტიური რომ იყო პირველ ტაიმში, მასპინძელ **ალექსანდრ ცაუნიასთან** ერთად) კარგად წაიღო ბურთი მოედნის სიღრმიდან, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. სამაგიეროდ, მასპინძელთა საპასუხო კონტრშეტევა ბევრად სახიფათო გამოდგა - ცაუნიამ მარცხენა ფლანგზე იაქტიურა, საჯარიმოში გამჭოლი გადაცემაც გააკეთა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მცველებმა იურის ჟიგაევსს დაასწრეს, თორემ ხიფათი გარდაუვალი იყო.

ჟიგაევსმა კიდევ ერთხელ შემოგვიტია, როცა მარჯვენა ფლანგიდან მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ამას გარდა ის ერთწუთიანი მონაკვეთიც უნდა გამოვყოთ, ბალტიისპირელებმა ზედიზედ სამი კუთხური რომ მოაწოდეს ჩვენს კართან, თანაც, აქედან ორჯერ ლატვიელთა გამოცდილი ნახევარმცველი **იურის ლაიზანსი** მეტად სახიფათოდ ასრულებდა სტანდარტულს, მაგრამ ორჯერვე **ნუკრი რევიშვილმა** იყოჩაღა.

მასპინძელთაგან ყველაზე რეალური მომენტი მაინც **არტიომს რუდნევსს** ჰქონდა - ლაიზანსის შორეული დარტყმა რევიშვილმა უხერხულად მოიგერია, მაგრამ პოლონური „ლეხის" ახალგაზრდა ფორვარდმა ოთხიოდე მეტრიდან ბურთი ხარიხას გადაავლო. თუმცა ისეც არ გვინდა გამოვიდეს, თითქოს პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარმართულიყოს, პირიქით - ბურთს უფრო ხშირად ჩვენები ფლობდნენ, ორივე გარემარბი (ალექსანდრე იაშვილი და დავით კვირკველია) ფლანგებს ხშირად ცვლიდა, ჯანო ანანიძეც ერთობ აქტიურობდა, მაგრამ რასაც რეალური მომენტი ჰქვია, პირველ ტაიმში ჩვენც ერთი გვქონდა. ყველაფერი იაშვილისა და სირაძის კომბინაციით დაიწყო, რის შემდეგაც ანანიძე მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ 18 წლის ქართველი შემტევის დარტყმის შემდეგ ბურთი მასპინძელთა მეკარე **ანდრის ვანინსს**... მოხვდა.

სამწუხაროდ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოჩანდა ის ფაქტი, რომ პირველი ტაიმის განმავლობაში ჩვენი ფეხბურთელები საერთოდ არ ტვირთავდნენ სირაძეს მაღალი ფლანგური გადაცემებით. ამას გარდა, სველი გაზონის გათვალისწინებით, შორეული დარტყმებიც ბევრად უპრიანი იქნებოდა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, პირველ ტაიმი ჩვენებმა ბევრად უკეთ ჩაატარეს, ვიდრე რამდენიმე დღის წინ - მალტასთან.

მეორე ტაიმი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო, ოღონდ, ეს აქტიურობა, ისევ და ისევ, „სტანდარტულებში" თუ გამოიხატებოდა: ლაიზანსის მორიგი კუთხურის შემდეგ ცაუნია ახლო მანძილიდან თავით ურტყამდა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, არაზუსტად დაარტყა. ამის შემდეგ რევიშვილმა ითამაშა საიმედოდ და ამ ხუთწუთიანი მონაკვეთის შემდეგ უპირატესობა კვლავ ჩვენს მხარეს გადმოვიდა. ისევ და ისევ ანანიძე აქტიურობდა, თუმცა ერთ-ორ ეპიზოდში მან არასწორი გადაწყვეტილება მიიღო - მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეში მყოფს კარში დარტყმა მართებდა...

» მე-3 გვერდზე



დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



# იღბალი იქით, იმედი აქეთ

« მე-2 გვერდიდან

აი, 57-ე წუთზე კი ჩინებული მომენტი შეგვექმნა: კვირკველია მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ... არაზუსტად. არადა, ამ დროს გამჭოლი გადაცემა უკეთესი გაგრძელება იქნებოდა - ერთდროულად ორი ჩვენი შემტევი მეკარე ვანინსის სიახლოვეს იმყოფებოდა...

ჩვენი მომდევნო შეტევა უკვე საპირისპირო ფლანგიდან იყო. იაშვილმა მოხდენილი პასით ანანიძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ მახვილი კუთხიდან შესრულებული დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. საერთოდაც, ის 10-წუთიანი მონაკვეთი ჩვენების სრული დომინირებით წარიმართა და 68-ე წუთზე **ბუბა დაუშვილმა** (ნაკრების გამოცდილი წევრივით რომ ირჯებოდა) შორი მანძილიდან შეუჩერებლად დაარტყა - ვანინსმა ბურთი გაჭირვებით მოიგერია, დამატებაზე პირველები ჩვენები გაჩნდნენ, მაგრამ თანამსაჯმა სამართლიანი თამაშგარე დააფიქსირა და გოლიც არ ჩაითვალა.

საქართველოს ნაკრები აგრძელებდა თამაშის რიტმის კონტროლს. თუმცა ერთ ეპიზოდში მასპინძელთა მწვავე კონტრშეტევა გამოგვეპარა - რევიშვილმა ამჯერადაც აჯობა ლატვიის ნაკრებში ყველაზე აქტიურ ალექსანდრს ცაუნიას. თუმცა ეს ეპიზოდი, თითქოს, კონტექსტიდან ამოგლეჯილს ჰგავდა - ტერიტორიულ უპირატესობას კვლავ ჩვენები ფლობდნენ. როგორც იქნა, მონდომებამ შედეგი გამოიღო. რა თქმა უნდა, ყველა გოლი ფასეულია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ლატვიელებს სტანდარტულის შესრულების შემდეგ გავუტანეთ - ჯარიმა ანანიძემ შეასრულა, მეკარე ვანინსმა ბურთი მუშტებით მოიგერია, მაგრამ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მყოფი **უჩა ლობჟანიძე** ჩინებულად გაერკვა სიტუაციაში და თავით ბურთი კვლავ მეკარის საჯარიმოსკენ გაგზავნა, სადაც ყველას დაასწრო **დავით სირაძემ** და ახლო მანძილიდან ტექნიკური დარტყმით ანგარიში გახსნა - 0:1.

აბსოლუტურად ლოგიკური იყო, ამ გოლის შემდეგ ჩვენებმა დაცვაში ჩაჯდომის ნაცვლად კვლავ აქტიური თამაში რომ განაგრძეს. ამაში საკუთარი წვლილი შეცვლაზე შესულმა **გოგიტა გოგუამაც** შეიტანა, რომელმაც მარცხენა ფლანგზე თავის მეურვე **ოსკარს კლავას** უამრავი თავსატეხი გაუჩინა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ის ეპიზოდი, დაახლოებით 2 (!) წუთის განმავლობაში ჩვენებმა მეტოქეს ბურთი რომ „დაუმალეს" და **ლევან კობიაშვილის**, ანანიძის, გოგუასა და **კახა კალაძის** მონაწილეობით მრავალსვლიანი კომბინაციაც გაითამაშეს.

ამასობაში მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ორივე გუნდის მწვრთნელმა სხვადასხვა ხასიათის შეცვლა განახორციელა. მატჩის ბოლო წუთზე ჩვენებს დაღლა დაეტყოთ თუ რა იყო მიზეზი, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია - უპირატესობა მასპინძელთა მხარეს გადავიდა. ერთი-ორჯერ ისევ და ისევ დაუღლელმა ცაუნიამ იაქტიურა, მაგრამ რევიშვილი საიმედოდ თამაშობდა კარის ხაზზეც და გამოსვლებზეც...

...და მაშინ, როცა 87-ე წუთზე ლატვიელებმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს, გვეგონა, 3 ქულა ჩვენ დაგვრჩებოდა: რუდნევსის გამჭოლი პასის შემდეგ, შეცვლაზე შესულმა **კრისტაპს გრებისმა** ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. ამის მიუხედავად, მასპინძელთა გვიანი გამოლვიძება და ჩვენი დაცვის პოზიციური შეცდომა საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ლატვიელებს ანგარიში გაეთანაბრებინათ, არადა, შანსი იყო, ეს გოლი არ გაგვეშვა... სამწუხაროდ, ამ გადამწყვეტ მომენტში ჩვენი ფეხბურთელების არცთუ მცირე (!) ნაწილმა კონცენტრაცია დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, კლავამ რომ მარჯვენა ფლანგიდან მაღალი ბურთი ჩვენი საჯარიმოს სიახლოვეს ჩააწოდა, ნამდვილად არ გვეგონა, თუ ასეთი ხიფათი მოჰყვებოდა - ტანმაღალმა გრებისმა ერთდროულად სამ (!) ქართველ მეტოქეს მოუგო საჰაერო ორთაბრძოლა და თავით ბურთი საჯარიმოს ცენტრისკენ ჩააწოდა, სადაც მასპინძელთა უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი ალექსანდრს ცაუნია უმეთვალყურეოდ აღმოჩნდა და ეფექტური დარტყმით რევიშვილი უშანსოდ დატოვა - 1:1.

რას ვიზამთ, ესტონეთსა და მალტასთან თუ ჩვენ გაგვიღიმა ბედმა და გამარჯვების მომტანი გოლები ბოლო წამებზე გავიტანეთ, ახლა პირიქით მოხდა. უბრალოდ, საწყენი ის იყო, რომ მოგებაც აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მით უფრო, რომ მასპინძლებს ღირებული ბევრი არაფერი გაუკეთებიათ და, რაც მთავარია, თითქმის ყველა კომპონენტში უკეთ საქართველოს ნაკრები გამოიყურებოდა...

თუმცა არა უშავს - წაუგებელი სერიის გარდა, ბევრად უფრო ფასეული ფაქტია ის, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლის ჩინებული შანსი აქვს. შეიძლება, ეს ეიფორია იყოს, ან „ცხელ გულზე" ნათქვამი, მაგრამ გაიხსენეთ - ოქტომბერში „ვამთავრებდით" ხოლმე შესარჩევ ეტაპებს...

**გია ტუხაშვილი**

მეტოქეები

## ისრაელი ბერძნულ გოლებს უტქერდა

**საბერძნეთი-ისრაელი 2:1**

**საბერძნეთი:** სიფაკისი - პაპადოპულოსი, ვინტრა, პაპასტატოპულოსი, სპიროპულოსი - კარაგუნისი, კაფესი, კაცურანისი, ნინისი (15. ფეტფაციდისი) - სალპინგიდისი (87. მანიატისი), სამარასი (81. მიტროღლუ).

**ისრაელი:** ავათი - ქეინანი, ბონდარი, გერშონი - თ. კოენი (70. არ. კოენი), რაფაელოვი, ნათხო (63. ვერმუტი), გოლასა, ალ. კოენი - კოლაუტი (76. ბარდა), შეხტერი.

**გოლები:** 1:0 სალპინგიდისი (22), 1:1 სპიროპულოსი (59-საკ. კარში), 2:0 კარაგუნისი (63-პენ)

კაპიტან **გეორგიოს კარაგუნისის** მიერ გატანილმა თერთმეტმეტრიანმა საბერძნეთის ნაკრებს საშუალება მისცა, საქართველო უკან ჩამოეტოვებინა და ამასთან, ნოემბრამდე ჯგუფის ლიდერობა დაებევებინა.

მატჩი უდავოდ ლოგიკური შედეგით დასრულდა. ყველამ მშვენივრად იცის, თუ რაოდენ დიდი ძალაა ისრაელის ნაკრებისთვის **იოსი ბენაიუნი**. მისმა მძიმე ტრავმამ გუნდს დაღი დაასვა და ებრაელთა შემტევი პოტენციალი გაანახევრა. **ლუის ფერნანდესის** გუნდს თავიდანვე ეტყობოდა, რომ საბერძნეთში ფრისთვის იყო ჩასული და ამისთვის ცდაც არ დაუკლია, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწია.

შეხვედრის დებიუტში ბერძნებს **სოტირის ნინისი** დაუშავდათ, მაგრამ ამ უსიამოვნო ამბავმა მათ განწყობაზე უარყოფითად ვერ იმოქმედა. **ფერნანდო სანტუშის** ხელმძღვანელობით საბერძნეთის ნაკრები დაცვითიდან შემტევი სტილის გუნდად თვალსა და ხელს შუა გარდაიქმნა და გუშინდელი მატჩის უდიდესი ნაწილიც ბურთის ფლობასა და მეტოქის ნახევარზე აქტიურობაში გაატარა.

მასპინძლებმა ანგარიში პირველი ტაიმის შუაწელს გახსნეს და უპირატესობა არც ამის შემდეგ დაუთმიათ. შესვენების შემდეგ პუბლიკამ კიდევ უფრო შინაარსიანი ფეხბურთი იხილა. თითქოს ბერძნებს საქმე მშვიდად უნდა მიეყვანათ სასურველ დასასრულამდე, მაგრამ **სპიროპულოსის** ავტოგოლმა მათი გეგმები არია. სანტუშის შეგირდები გონს მომენტალურად მოეგნენ და პირველი გოლის ავტორ **სალპინგიდისის** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი კარაგუნისმა გოლად აქცია. დარჩენილ დროში საინტერესო ალარაფერი მომხდარა, სასტარტო ტურში საქართველოსთან ქულების დაკარგვის შემდეგ, საბერძნეთმა მაინც მოახერხა ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსის დამტკიცება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 2. ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. საქართველო | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| 4. ისრაელი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 5. ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 6. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

**17 ნოემბერი**

ხორვატია-მალტა

**26 მარტი**

საქართველო-ხორვატია
მალტა-საბერძნეთი
ისრაელი-ლატვია

ამხანაგური მატჩი

## შვილი მამას არ ჩამორჩა

**ხორვატია-ნორვეგია 2:1**

**ხორვატია:** პლეტიკოშა - სტრინიჩი, შიმუნიჩი, შილდენფელდი, პრანიჩი (90. პოკრივაცი) - ვუკოიევიჩი (61. დუიმოვიჩი), მოდრიჩი (46. ილიჩევიჩი), მანჯუკიჩი, სრნა (88. ბულიალტი) - ედუარდო (61. ბილიჩი), კრანჩარი.

**ნორვეგია:** იარსტეინი - ჰანგელანდი (64. ველერი), დემიდოვი, რუუდი, რიისე - აბდელაუე (59. ჰუსეკლეპი), ჰენრიკსენი, იენსენი (46. გრინდჰეიმი), მოენი (85. რინდაროი) - ბრაატენი (65. კარეუ), პედერსენი.

**გოლები:** 0:1 აბდელაუე (21), 1:1 მანძუკიჩი (35), 2:1 კრანჩარი (50)

სანამ **ზლატკო კრანჩარის** მიერ გაწვრთნილი ჩერნოგორიის ნაკრები „უემბლიზე" ინგლისთან ფრესთვის გააფთრებით და წარმატებით იბრძოდა, დაახლოებით იმავე დროს მის ვაჟ **ნიკოს** ხორვატიის ნაკრების მაისურით გამარჯვების გოლი გაჰქონდა.

როგორც ხედავთ, **სლავენ ბილიჩის** გუნდმა უტეხი ხასიათი გამოავლინა და ნორვეგიას ამხანაგური თამაში შემოუტრიალა. ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში ისრაელთან რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ ოფიციალურ მატჩთან შედარებით, არაერთი ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სერბმა ხულიგნებმა გენუა დაიპყრეს

## ჰოლანდია და გერმანია სრული სვლით

მატჩის დირექტორ **დავით პეტრიაშვილს** დიდი ჯაფა დაადგა გენუაში - „ლუიჯი ფერარისს" სტადიონზე შეღწეულ და მის გარეთ დარჩენილ სერბ ხულიგნებს ვერც „კარაბინერები" აუდიოდნენ და ვერც - სტადიონის დაცვა. იტალია-სერბეთი სტუმართა აგრესიული ფანების გამო 35 წუთის დაგვიანებით დაიწყო და, მას მერე, რაც „ფანებმა" მოედანზე ცეცხლის გაჩენა მოინადინეს, შეწყდა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ჩაწერს ჩვენი თანამემამულე უეფას პატაკში, თუმცა ახლავე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უეფა სერბეთს თავზე ხელს არ გადაუსვამს.

მატჩის მე-6 წუთზე სერბთა სექტორიდან ნასროლი მორიგი მაშხალა იტალიელთა გოლკიპერის, **ემილიანო ვივიანოს** სიახლოვეს დაეცა, რაც მსაჯის მოთმინების ფიალის ბოლო წვეთი იყო - მან თამაში შეწყვიტა... ამის შემდეგ იტალიელ ფანთა უმეტესობამ დატოვა სტადიონის ტერიტორია, მაგრამ ათასამდე მასპინძელი სერბებს ბოთლებმომარაგებული დაუდარაჯდა, სერბებმა გამოწვევა მიიღეს და ძალიან დიდი ჩხუბი დაიწყებოდა სავალალო შედეგებით, რომ არა „კარაბინერთა" სიმამაცე.

მოკლედ, ფეხბურთის ნაცვლად სულ სხვა რამეზე მოგვიწია წერა, რას ვიზამთ სერბმა „ფანებმა" დაგვალალატეს, ვერც იტალიელი ორგანიზატორები მოიქცნენ კარგად. გაუგებარია, როგორ შეაღწიეს მაშხალებითა და... ბრტყელტუჩებით შეიარაღებულმა ხულიგნებმა სტადიონზე.

ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო მატჩების წლევანდელი ეტაპი მხოლოდ ორმა ნაკრებმა დაასრულა 4-მატჩიანი მოგებათა სერიით: გერმანიის და ჰოლანდიის ნაკრებებმა. თუკი გერმანელთა წუხანდელ გამარჯვებაში ეჭვი ცოტას ეპარებოდა, **ვან მარვიიკის** ბიჭებს შვედეთის ძლიერი ნაკრები ელოდათ. თუმცა ჰოლანდიელებმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და კომპანიისგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს - ერთ საათში უკვე 4:0 იყო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა სასარგებლოდ. **კლაას-იან ჰუნტელაარმა** დუბლი შეასრულა, ფორვარდს უკვე 8 გოლი აქვს ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში!

დიდი სენსაცია მოახდინა აზერბაიჯანის ნაკრებმა, რომელმაც შინ თურქეთის ნაკრები 1:0 დაამარცხა. საოცარი მატჩი გაიმართა ბრიუსელში, სადაც ბელგიელებმა და ავსტრიელებმა 4:4 ითამაშეს. სენსაცია მოხდა „უემბლიზეც", სადაც **ფაბიო კაპელოს** გუნდმა გასალები ვერ მოარგო ჩერნოგორიელთა კარს, შემდეგ კი მწვრთნელმა ყველაფერი მსაჯს დააბრალა, 90 წუთს არაფერი დაამატაო (?!) **ზლატკო კრანჩარმა** სიტყვა შეასრულა, ინგლისიდან ქულა მაინც წამოიღო. „ჰემპდენ პარკზე" „ფურია როხას" **ფერნანდო ლორენტემ** მოაგებინა, რომელმაც 2:2-ზე გადამწყვეტი გოლი (თანაც ფეხით) გაიტანა მასპინძელთა კარში.

**A ჯგუფი**

**აზერბაიჯანი-თურქეთი 1:0**

**აზერბაიჯანი (4-4-2):** აგაევი - იუნისოღლუ, ალაჰვერდიევი, მალიკოვი (45. ჩერტოგონოვი), აბიშოვი - სადიგოვი, ამირგულიევი, შუკუროვი, ნადიროვი - გულიევი (71. ალიევი), ჯავადოვი (85. ჰუსეინოვი).

**თურქეთი (4-4-2):** დემირელი - გონული, ჩეთინი, თორამანი, ბალტა - ჰამით ალთინტოპი, ინანი (82. ჰალილ ალთინტოპი), ემრე, ჰურმაჩი (46. ნიჰათი) - შენთურქი, თუნჩაი (63. სერკანი).

**გოლი:** 1:0 სადიგოვი (39)

**ყაზახეთი-გერმანია 0:3**

**ყაზახეთი (4-4-1-1):** სიდელნიკოვი - ირისმეტოვი (68. როჟკოვი), აბდულინი, პოპოვი, კიროვი - ნურგალიევი (63. ავერჩენკო), აზოვსკი, გეტერიევი, შმიდტგალი - ჟუმასკალიევი - ხიჟნიჩენკო (79. ფინონჩენკო).

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი, ვესტერმანი - ხედირა, კროოსი - მიულერი (71. მარინი), იოზილი (79. კაკაუ), პოდოლსკი - კლოზე (56. გომესი).

**გოლები:** 0:1 კლოზე (48), 0:2 გომესი (76), 0:3 პოდოლსკი (86)

**ბელგია-ავსტრია 4:4**

**ბელგია (4-1-3-2):** ბაილი - ალდერვაირელდი (46. ბოიატა), ლომბაერტსი, კომპანი, ვერტონგენი - ლეჟერი, სიმონსი (73. ლუკაკუ), ფელაინი (81. ბაუდუინი), ვიტსელი - ვოსენი, ოგუნჯიმი.

**ავსტრია (4-2-3-1):** მახო - კლაინი, შიმერი, პროდლი, ფუხსი - შარნერი, ბაუმგარტლინგერი - კავლაკი (57. ჰოფერი), იუნუზოვიჩი (73. პეჰლივანი), არნაუტოვიჩი (88. ჰარნიკი) - მეიერჰოფერი.

**გოლები:** 1:0 ვოსენი (11), 1:1 შიმერი (14), 1:2 არნაუტოვიჩი (29), 2:2 ფელაინი (47), 2:3 შიმერი (62), 3:3 ოგუნჯიმი (87), 4:3 ლომბერტსი (90), 4:4 ჰარნიკი (93)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 4 | 4 | 0 | 0 | 13-1 | 12 |
| 2. ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 3. თურქეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 4. ბელგია | 4 | 1 | 1 | 2 | 8-8 | 4 |
| 5. აზერბაიჯანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 3 |
| 6. ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

**B ჯგუფი**

**სომხეთი-ანდორა 4:0**

**სომხეთი (4-3-3):** ბერეზოვსკი - არზუმანიანი, ოვსეპიანი, არტურ იედიგარიანი, მკოიანი - არტაკ იედიგარიანი, მხითარიანი, პიზელი (82. იუსპაშიანი) - მანუჩარიანი, მოვსისიანი (54. გოჰარიანი), ღაზარიანი.

**ანდორა (4-4-2):** ი. გომესი - ლიმა, ესკურა, ბერნაუსი, მარტინესი (87. რუბიო) - აიალა, ვიეირა, ვალესი (64. ანდორა), მორენო (53. ხიმენესი) - სილვა, ს. გომესი.

**გოლები:** 1:0 ღაზარიანი (4), 2:0 მხითარიანი (16), 3:0 მოვსისიანი (33), 4:0 პიზელი (52)

**სლოვაკეთი-ირლანდია 1:1**

**სლოვაკეთი (4-2-3-1):** მუხა - ზაბავნიკი, სალატა, ძიურიცა, ჰუბოკანი - კარჰანი, კუჩკა - ვეისი (70. სტოხი), ჰამშიკი, იენდრიშეკი (84. ორავეცი) - შესტაკი (70. ჰოლოშკო).

**ირლანდია (4-4-2):** გივენი - ო'ში, დანი, სტ. ლეჯერი, კილბეინი - ფეჰი (71. კიო), უელანი, გრინი (41. გიბსონი), მაკგიდი - ლონგი, კინი.

*45-ე წუთზე კინმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლები: 0:1 სტ. ლეჯერი (16), 1:1 ძიურიცა (36)

**მაკედონია-რუსეთი 0:1**

**მაკედონია (4-4-2):** ნურედინოსკი - შიკოვი, ნოვესკი, მიტრესკი, ლაზევსკი - შუმულიკოსკი, დიუროვსკი (80. ალიმი), დესპოტოვსკი (77. გეორგევსკი), იბრაიმი (49. რისტიჩი) - ტრიკოვსკი, ნაუმოსკი.

**რუსეთი (3-5-2):** აკინფეევი - ანიუკოვი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი - არშავინი (81. ბისტროვი), ჟირკოვი, შიროკოვი, დენისოვი, ზირიანოვი - კერჟაკოვი (79. პოგრებნიაკოვი), ძაგოევი (62. ა. ბერეზუცკი).

*73-ე წუთზე ნაუმოსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლი: 0:1 კერჟაკოვი (8)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 2. ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 3. სომხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| 4. სლოვაკეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 5. მაკედონია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 6. ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-11 | 0 |

» მე-7 გვერდზე

U 17

## ჰუფნაგელი, ალბათ, მოგვარდება...

გუშინ გაცნობეთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული **ლუკას ჰუფნაგელის** მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საეჭვო იყო. პრობლემა მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების დროულად მოგვარება გახლდათ. ბოლო ინფორმაცია დამაიმედებელია – თბილისში ჩამოსულ ჰუფნაგელს საქართველოს მოქალაქის პასპორტი, სავარაუდოდ, გამზადებული დახვდება და შესაბამისად, „ბაიერნის" ნახევრად ქართველი აღზრდილი საქართველოს ღირსების დაცვის ნებას მიიღებს. იმედია, მოვლენები სწორედ ამგვარად წარიმართება. ჰუფნაგელის დამატება ჩვენი ნაკრების ელიტრაუნდში გასვლის შანსს ერთიორად გაზრდის და რაც მთავარია, საქართველოს ახალგაზრდული თუ ეროვნული ნაკრებები პერსპექტივაში ძლიერ ფეხბურთელს შეიძენენ.

ლუკასი შეკრებაზე მყოფ 17-წლამდელთა ნაკრებს მალე დაემატება და შევეცდებით, ჩვენი ნაკრების ბაიერნელი წევრი მკითხველს უფრო ახლოს გავაცნოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● კრიზისი

# ბაიაში ბუნტია



ელგუჯა ქომეთიანი

22-Ე ეროვნულ ჩემპიონატში ოთხიდან ჯერ მხოლოდ პირველი წრე მიილია და კლუბების ფინანსური პრობლემები უკვე სახეზეა. უკვე ვწერდით, რომ ქუთაისის „ტორპედოს" გარდა, აქამდე სახელმწიფო დაფინანსებაში მყოფი სხვა არც ერთი კლუბი არ გადაცემულა კერძო საკუთრებაში.

თუმცა ამჯერად ერთ კონკრეტულ კლუბში შექმნილ მდგომარეობაზე უნდა მოგახსენოთ. საქმე ზუგდიდის „ბაიას" ეხება, რომელმაც, ჩვენი პირველობის საზომებით, ჩემპიონატის დაწყებამდე კარგი ფეხბურთელები გადაიბირა და მიზნებიც ამბიციური დაისახა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ ზუგდიდელთა კლუბის თავდამსხმელი **გია მეგრელაძეა** ბომბარდირთა დავაში ლიდერი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაიას" პოტენციურ სპონსორად ჯერ მობილური კავშირის ოპერატორი კომპანია „ჯეოსელი" დასახელდა, მერე ნავთობკომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", შემდეგ კი ერთ-ერთი ბიზნესჯგუფი...

თუმცა ფაქტია - ზუგდიდის „ბაიას" დღემდე არ ჰყავს კერძო მეპატრონე, ხან ვინ შეეწევა კლუბს და ხან - ვინ. თუმცა როგორც გავიგეთ, ბოლო დღეებია, ამ კლუბში ვითარება საგანგაშო გახდა. ჩვენი ინფორმაციით, გუშინ და გუშინწინ, 11 და 12 ოქტომბერს „ბაიას" არ უვარჯიშია. უფრო მეტიც, კლუბში ფეხბურთელები არ გამოჩენილან, ისინი მშობლიურ ქალაქებსა და ოჯახებს დაუბრუნდნენ.

მიზეზი? - რა თქმა უნდა, ფინანსები. მოთამაშეებს კუთვნილი თანხა არ მიუღიათ და ამ ფორმით გამოხატეს პროტესტი. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და ფეხბურთელებთან დაკავშირება გადავწყვიტეთ, მაგრამ წუხელ, დროის სიმცირის გამო, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სარწმუნო წყარომ კი დაბეჯითებით გვითხრა - ორი დღეა „ბაიაში" საწვრთნელი პროცესი არ მიმდინარეობსო. მოთამაშეებთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ელგუჯა ქომეთიანს** შევეხმიანეთ. ზუგდიდელთა გუნდის თავკაცმა ჩვენი ინფორმაციის რეალობა დაადასტურა.

*„სამწუხაროდ, ასეა. ორშაბათს და სამშაბათს გუნდს არ უვარჯიშია. ვარჯიშს როგორ ჩავატარებდით, როცა ფეხბურთელები გუნდის ბაზაზე არ არიან, შინ წავიდნენ და არ გამოჩენილან. მიზეზი ფინანსების მიუღებლობაა. ხელფასები აღებული აქვთ, პრემიალურები აქვთ მისაღები. 10 ოქტომბერს ვერ მიიღეს მოთამაშეებმა ეს თანხა და ბაზა დატოვეს. კუთვნილ თანხას რომ ვერ მიიღებ გულდასაწყვეტია და არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ფეხბურთელების საქციელს ეს ვერ ამართლებს".*

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გასარკვევია, თუ როდის მიიღებენ ფეხბურთელები კუთვნილ თანხას. თუმცა „ბაიას" თავკაცი იმედს არ კარგავს. უფრო მეტიც, საწვრთნელი პროცესის განახლებას ქომეთიანი დღეს ელის.

*„ფეხბურთელებთან მქონდა საუბარი და მათ ოთხშაბათს ველოდები ბაზაზე. კლუბის პრეზიდენტი საქმის კურსშია და ამ პრობლემის მოგვარებაზე რამდენიმე დღეა მუშაობს. ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, თუ როდის მიიღებენ მოთამაშეები კუთვნილ თანხას, მაგრამ არ დაეკარგებათ.*

*იმედი მაქვს ოთხშაბათ საღამოს ფეხბურთელები ბაზაზე დაბრუნდებიან და ვარჯიშს ჩავატარებთ".*

სარწმუნო წყაროს ცნობით, ფეხბურთელები (ყველა თუ არა ერთი ნაწილი მაინც) თანხას სანამ არ მიიღებს თამაშზე გასვლას არ აპირებს. „ბაიას" თავკაცს ამაზეც დავეკითხეთ.

*„იმედს არ ვკარგავთ, რომ ოთხშაბათიდან ჩვენს გუნდში საწვრთნელი პროცესი ისევ აღდგება. არ მინდა დავიჯერო, რომ ვარჯიშს რომელიმე ფეხბურთელი გამოაკლდება. ვინც მოვა და ივარჯიშებს, უახლოეს ტურშიც ის ითამაშებს".*

ელგუჯა ქომეთიანს კლუბის კერძო მფლობელობაში გადაცემაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა.

*„კლუბის პოტენციურ მეპატრონეს სხვადასხვა კომპანია დასახელდა, მაგრამ ფაქტია, დღემდე არ გვყავს ახალი მფლობელი. ზუგდიდში ფეხბურთი უყვართ. იმედი მაქვს ჩვენს კლუბს ძლიერი მეპატრონე ეყოლება. ეს საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს. კარგი შემადგენლობა გვყავს და მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ".*

უახლოესი, მე-10 ტურის მატჩი „ბაიას" „სიონთან" სტუმრად უწევს. თუმცა ჯერჯერობით კვლავაც ძნელი სათქმელია, ჩავა თუ არა „ბაია" ბოლნისში ან ჩავა თუ არა სრული შემადგენლობით, ფეხბურთელების გამოკლების გარეშე. ზუგდიდელთა მწვრთნელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და ვნახოთ...

**დავით ცაბაძე**

# SOS!

# ხომ არ ჩაიშლება მეათე ტური?

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზაა. ბუნებრივია, კლუბები მომზადებას აგრძელებენ - ზოგან სამუშაო განწყობაა, ზოგან კი სერიოზული პრობლემებია, რაზეც ადრეც არაერთხელ გაუწყეთ.

სამტრედიაში საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, გუნდი სამშვიდობოს გავიდა. როგორც „ლელოს" აცნობეს, ზუგდიდის „ბაიასთან" (3:1) დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, რაიონის და ქალაქის ხელმძღვანელობამ გუნდის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა და გადაწყვეტილებაც მიღებულია - კლუბის ანგარიშზე 50 ათასი ლარი დაირიცხება. ამ თანხით ფეხბურთელებს ხელფასებისა და პრემიების დავალიანებას გაუსტუმრებენ. გადაწყვეტილების ინიციატორი სამტრედიის გამგებელი **კობა კანდელაკი** და მისი მოადგილე **ავთო თადუმაძე** არიან, რომლებმაც არა მხოლოდ საფეხბურთო კლუბის გულშემატკივართა, არამედ, რაიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განწყობა გაითვალისწინეს - სამტრედიელებს ფეხბურთი უყვართ და კლუბის დაშლას არ დაუშვებდნენ. ამ გადაწყვეტილებით გულშემატკივრები კმაყოფილი არიან და იმედოვნებენ, რომ მალე „სამტრედიის" ფინანსურ პრობლემები საბოლოოდ მოგვარდება. გაჭირვებით უკმაყოფილო ფეხბურთელები მოედანს დაუბრუნდნენ და ვარჯიშიც განაახლეს.

„სამტრედია" 16 ოქტომბერს საშინაო არენაზე ფოთის „კოლხეთს" უმასპინძლებს. თუმცა გუშინ საღამოს ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ შეხვედრის ჩაშლის საკმაოდ დიდი ალბათობა არსებობს.

საქმე ისაა, ფოთის „კოლხეთშიც" არანაკლები ფინანსური პრობლემები შეიქმნა, ვიდრე მცირე ხნის წინ „სამტრედიაში". „ლელოს" აცნობეს კიდეც, რომ ფოთელი ფეხბურთელები 16 ოქტომბერს თამაშს არ აპირებენ. გუშინ ფოთელთა პრეზიდენტ **თემურ ბარქაიას** დავუკავშირდით და არსებულ ვითარებაზე კომენტარი ვთხოვეთ.

**- ბატონო თემურ, „კოლხეთის" ფინანსური პრობლემები არ მოგვარებულა?**

- სამწუხაროდ, არ მოგვარებულა და კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ.

**- როგორც შევიტყვეთ, გუნდი „სამტრედიასთან" სათამაშოდ გასვლას არ აპირებს.**

- ეს ჯერ არ ვიცი, მაგრამ ფული რომ არაა და ამით კმაყოფილი არავინ იქნება, ცხადია.

**- და ფეხბურთელებიც აღარ ვარჯიშობენ?**

- მართალს ბრძანებთ, აღარ ვარჯიშობენ. თუმცა ჯერ კიდევ ვიტოვებ იმედს, რომ სანაკრებო შეხვედრა ჩაივლის და „კოლხეთის" გაჭირვებას მოევლება.

მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია სამეგრელოს რეგიონის მეორე გუნდი ზუგდიდის „ბაიაც", რაზეც ჩვენს დღევანდელ ნომერში უფრო ვრცლად იხილავთ. ასე რომ, ჯერ 17 ოქტომბერს ბოლნისში „სიონი"-"ბაიას" მატჩის ჩატარებაც საეჭვოა.

ისიც დადასტურდა, რომ „ბაიაში" რამდენიმე დღე სავარჯიშო პროცესი ჩაიშალა. რაც უნდა ამტკიცონ, რომ ეს ფეხბურთელთა თხოვნით მოხდა, მაინც გაუგებარია - ჩემპიონატის მსვლელობის დროს, სამ-ოთხ დღიან პაუზას არავინ აკეთებს და თუ აკეთებს, ეს უკვე ცუდის ნიშანია. ფეხბურთელების თხოვნით ვარჯიშების ჩაშლა რაღაც სიახლეა. თუმცა გუნდის დაშლის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავენ. ასეა თუ ისე, 14 ან 15 ოქტომბერს გაირკვევა, შეძლებს თუ არა „ბაია" დავალიანების გასტუმრებას.

სამეგრელოს კლუბებმა ეროვნულ ჩემპიონატს ლაზათი, მაყურებელი და სენსაციური შედეგები შემატეს. ამიტომაც საწყენია, რომ დღეს ასეთ მძიმე მდგომარეობაში არიან.

შეპირებული სპონსორები არსად ჩანან და გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მათი საკითხი არც გადაწყვეტილა. „ბაია", „კოლხეთი" და „სამტრედია" ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა, თუმცა სამინისტროსგან ამ კლუბების „მიმღები" არ ჩანს და არ გვინდა ვიფიქროთ, რომ არც გამოჩნდება.

არც ის გვინდა ვიფიქროთ, რომ ამ კლუბების თავს ისეთივე პრობლემები იქმნება, რამაც წლების წინ ზუგდიდისა და ფოთის კლუბები მათთვის უცნობ რეგიონალლიგაში გადაისროლა. ეს ქალაქები და მათი საფეხბურთო ტრადიციები ასეთ „პერსპექტივას" არ იმსახურებენ. ასე რომ, ჯერ კიდევ უცნობია, 16 და 17 ოქტომბერს დაგეგმილი ტური სრულად ჩატარება თუ „სეკვესტრირებულ" ვარიანტში.

**მერაბ მამულაშვილი**



თემურ ბარქაია

● I ლიგა

# როდემდე გაგრძელდება დაპირისპირება?

ხარაგაულის „ჩხერიმელასა" და „გაგრას" შორის 30 სექტემბრის (პირველი ლიგის VI ტური) მატჩმა იმხელა დაძაბულობა გამოიწვია, ვნებები დღემდე არ ჩამცხრალა. ხარაგაულელები „გაგრას" მსაჯის მოსყიდვაში ადანაშაულებდნენ, არბიტრ **თორნიკე გვანცელაძეს** კი ბოლო წუთზე გაშვებულ გოლსა და მატჩისთვის 8 წუთის დამატებას უსამართლო გადაწყვეტილებად უთვლიდნენ - მთავარმა მსაჯმა მატჩი 93-ე წუთის ნაცვლად 98-ეზე დაამთავრა, სანამ „გაგრამ" გოლი არ გაგვიტანაო (ამ მომენტისთვის სტუმრები 2:1-ს აგებდნენ).

დამატებულ დროში გატანილი გოლის წყალობით, „გაგრამ" ქულა მოიპოვა და ლიდერობა შეინარჩუნა. ხოლო როგორც „გაგრის" პრესატაშე **მიხეილ აფხაზავამ** განაცხადა, თამაშის განმავლობაში რაიონის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები მსაჯს ერთ ხმაში აგინებდნენ - მატჩის ბოლოს კი მოედანზეც შეცვივდნენ, მსაჯიც შეურაცხყვეს და „გაგრის" წარმომადგენლებზეც გაიწიესო. სხვათა შორის, „გაგრის" პრესსამსახურმა არბიტრ გვანცელაძის შეურაცხყოფის კადრებიც გაავრცელა.

აფხაზავას განცხადებამ „ჩხერიმელას" თავკაცები და გულშემატკივრები ალაშფოთა. „გაგრის" პრესატაშესგან ბოდიშის მოხდაც მოითხოვეს - მოედანზე მხოლოდ ერთი გულშემატკივარი გადახტა და ისიც პოლიციამ გააჩერა, მაგას არ აქვს უფლება, ხარაგაულის 30 ათას მცხოვრებს შეურაცხყოფა მიაყენოს და პაპუასები ეძახოსო?!

სერიალი გრძელდება: ახლა უკვე „გაგრის" პრესატაშეა გაკვირვებული, როდის გეძახეთ პაპუასები, ბოდიში რომ მოვიხადოო?!"

*„ჯერ პენალტზე იყო პრეტენზია, შემდეგ მსაჯის მიერ დამატებულ დროზე, ბოლოს კი ჩემთან გაუჩნდათ პრეტენზიები და ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. გამაგებინეთ, რისთვის უნდა მოვიხადო ბოდიში და მოვიხდი! მანახეთ, წამაკითხეთ ან მომასმენინეთ ჩემ მიერ გაკეთებულ კომენტარებში, როდის მივაყენე შეურაცხყოფა ხარაგაულელ გულშემატკივარს? დიდი მადლობა იქაურ ქომაგებს იმ აპლოდისმენტებისთვის, რომლითაც გაგვაცილა. მათთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და გთხოვთ, ნუ დამაბრალებთ იმას, რაც არ მითქვამს, სხვის სიტყვებს მე ნუ მომაწერთ. ჩვენი მიზანი არც „ჩხერიმელას" დასჯა იყო. გთხოვთ, ნუ დაგვაბრალებთ მსაჯებს მოსყიდვას, ჩვენს სასარგებლოდ მოგონილი პენალტების დანიშვნას - ყველა ის პენალტი, რომელიც „გაგრის" სასარგებლოდ დაიდო, 100%-იანი იყო. ჩათვალეთ, რომ თქვენი განცხადებები არ მოგვისმენია. დავრჩეთ მეგობრებად", - ამბობს აფხაზავა.*

**მერაბ მამულაშვილი**

## ჭაბუკთა ლიგა. VI ტური

### 1995-96 წ.

| | |
|---|---|
| ბაია-ტორპედო | 2:1 |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| ოლიმპი-კოლხეთი | 3:0 |
| სპარტაკი-დინამო | 0:3 |
| სამტრედია-ზესტაფონი | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 6 | 5 | 0 | 1 | 19-7 | 15 |
| 2. დინამო | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 3. ოლიმპი | 6 | 4 | 2 | 0 | 17-4 | 14 |
| 4. ზესტაფონი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-6 | 14 |
| 5. სამტრედია | 6 | 3 | 1 | 2 | 5-6 | 10 |
| 6. ტორპედო | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 6 |
| 7. სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-7 | 6 |
| 8. სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-19 | 3 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 6 | 0 | 2 | 4 | 4-17 | 2 |
| 10. კოლხეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 0-8 | 1 |

### 1993-94 წ.

| | |
|---|---|
| ბაია-ტორპედო | 6:1 |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| ოლიმპი-კოლხეთი | 7:2 |
| სპარტაკი-დინამო | 2:2 |
| სამტრედია-ზესტაფონი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 21-3 | 16 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 6 | 5 | 0 | 1 | 18-5 | 15 |
| 3. ბაია | 6 | 4 | 0 | 2 | 16-10 | 12 |
| 4. ოლიმპი | 6 | 4 | 0 | 2 | 17-9 | 12 |
| 5. ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 6. სამტრედია | 6 | 3 | 0 | 3 | 8-11 | 9 |
| 7. სპარტაკი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-9 | 7 |
| 8. კოლხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-18 | 6 |
| 9. ტორპედო | 6 | 0 | 1 | 5 | 4-15 | 1 |
| 10. სიონი | 6 | 0 | 0 | 6 | 3-26 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ყოფილი ლეგიონი

# სადა ხარ, ჩვენო... აკინო?

## რუსთაველთა ათიანს ახლა პარანასთვის გააქვს



შარშან რუსთავის „ოლიმპის" რიგებში რამდენიმე ბრაზილიელი ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებიც „ატლეტიკო პარანენსედან" იჯარის წესით მოხვდნენ საქართველოში. ამ პროექტმა გაამართლა - ბრაზილიელ ლეგიონერთა ნაწილმა ითამაშა და მერე როგორ! ისინი რუსთავულ გუნდს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარნენ და... სეზონის შემდეგ ქართული სივრციდან გაქრნენ. არადა, „ოლიმპის" ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი **ანდერსონ ანგუს აკინო** ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. აკინომ ჩემპიონატში 26 გოლი გაიტანა და 10 გოლით გაუსწრო ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გასულ **ნიკოლოზ გელაშვილს**. ლაპარაკი აკინოს „გაქართველებაზეც" დაიწყო, სხვათა შორის, ამის წინააღმდეგი არც თავად ბრაზილიელი ფეხბურთელი იყო.

რუსთაველთა ბრაზილიელები ერთობ მოაკლდნენ უმაღლეს ლიგას, აკინო იმ ტიპის ფეხბურთელთა შორის იყო, რომელთა გამოც დადის ხალხი სტადიონზე. სამწუხაროდ, ბრაზილიელები სამშობლოში დაბრუნდნენ. საინტერესოა, როგორ წარიმართა ჩვენი ძველი ნაცნობების კარიერა მას შემდეგ.

საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი „ატლეტიკო პარანენსემ" კვლავ გაანათხოვრა წლის ბოლომდე, ამჯერად 24 წლის ფეხბურთელი ბრაზილიის სერია B-ში, „პარანას" შემადგენლობაშია. მისი პრეზენტაცია აგვისტოს ბოლოს შედგა ახალ კლუბში, სადაც აკინო „პარანას" გულშემატკივრებს კარგი ფეხბურთის თამაშს შეჰპირდა და შეასრულა კიდეც.

სერია B-ში 20 გუნდია და ჩემპიონატში უკვე 27 ტურია ჩატარებული. „პარანა" 33 ქულით მე-14 ადგილზეა. აკინო მე-11 ტურია, რაც „პარანას" ეხმარება. ის უმალ გახდა „პარანას" შეტევების ლიდერი - 11 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ბოლო ტურში, რომელიც 10 ოქტომბერს გაიმართა, „პარანა" შინ 0:0 დაუზავდა „იკასას", „ჩვენებური" კი 58-ე წუთზე შეცვალეს. აკინომ მოიპოვა „პარანას" გულშემატკივართა სიყვარული. აი, ციტატა ქალაქის ერთ-ერთი გაზეთიდან: *„ანდერსონ აკინოს სულ ხუთი თამაში დასჭირდა, რომ მთელი პარანას იმედად ქცეულიყო. „სამფეროვანთა" მაისურით შორეული საქართველოს ბომბარდირმა დაამტკიცა „ადამიანი-გოლის" რეპუტაცია. ხუთ მატჩში „პარანას" ვიცე-ბომბარდირი გახდა მარსელო ტოსკანოს შემდეგ. აკინოს ახლა მუხლი აწუხებს, რის გამოც 90 წუთი თამაში უჭირს, გულშემატკივრები კი ითხოვენ ის სულ მოედანზე იყოს. „ხშირად ფანებს არ ესმით, რომ ფეხბურთელს შეიძლება ტრავმა ჰქონდეს", წუხს „პარანას" თავკაცი მარსელო ოლივეირა".*

აკინოსთან ერთად „ოლიმპს" ყველაზე მეტად **ალექს ფრაგა** გამოადგა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი იყო შარშანდელ ჩემპიონატში. აკინოსგან განსხვავებით, ფრაგა „ატლეტიკოში" დატოვეს, თუმცა მას უჭირს სერია A-ს ძირითადში მოხვედრა. „ატლეტიკო პარანენსე" მე-7 ადგილზეა, ხოლო ფრაგას ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უწევს ყოფნა. ფრაგას ერთხელ მოუწია სერია A-ს მატჩში თამაშმა.

27 წლის ფორვარდი **ჟონატას ოლივეირა კარდოსო**, ანუ ჯონათასი აკინოს დარად „პარანაში" გაანათხოვრეს, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა. საქართველოში მან 9 თამაშში 3 გოლი გაიტანა. კიდევ ერთი მცველი, 21 წლის **ჟერონიმო დოს სანტოს ოლივეირა**, ჩვენში ჯერონიმოდ ცნობილი (17 თამაში, 3 გოლი „ოლიმპში") ბრაზილიის სერია C-ს „მარილიაშია". 20 წლის **ედუარდო სალესმა** საქართველოს ჩემპიონატში 6 მატჩში 2 გოლი გაიტანა. ის ისევ „ატლეტიკო პარანენსეშია", ფორვარდს ასაკი ხელს უწყობს და „ატლეტიკოს" დუბლებში თამაშობს. **ჟოაო გილერმე ესტევაო და სილვა „ჩოკო"** კი ჯერონიმოსთან ერთად „მარილიას" ღირსებას იცავს. აი, ასეთი ბედი ეწია რუსთავის „ოლიმპის" 6 ბრაზილიელს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

GO-SIM

საერთაშორისო სიმ ბარათი

საერთაშორისო მობილურმა ოპერატორმა „GO-SIM", მობილური ტელეფონის მომხმარებლებს შესთავაზა სიახლე საერთაშორისო სიმ ბარათის სახით, რომელიც აბონენტებს აძლევს საშუალებას, მობილური ტელეფონის ერთი ნომრით იმოგზაურონ მთელ მსოფლიოში და სხვა GSM ოპერატორებთან შედარებით, უცხოეთში ყოფნისას როუმინგის ხარჯები შეამცირონ 80%-ით.

„GO-SIM" აბონენტები სარგებლობენ როუმინგ სერვისის გამარტივებული წესით. საჭიროა მხოლოდ აღნიშნული სიმ ბარათი ჩადოთ თქვენს მობილურ ტელეფონში და იგი უკვე აქტიურია მთელ მსოფლიოში, კავშირის გარანტირებული ხარისხით.

აბონენტებისთვის მოქმედებს ასევე, გამარტივებული სატარიფო სქემა, (მაგალითად, თქვენ იმყოფებით საბერძნეთში, გამავალი ტარიფი საბერძნეთიდან არის 0,39 ცენტი, რაც ნიშნავს, რომ საბერძნეთიდან თქვენი მობილურით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დარეკავთ 0,39 ცენტად), შემომავალ ზარებზე კი თქვენ თანხა არ გეჭრებათ მსოფლიოს 75 ძირითად ქვეყანაში.

სიმ ბარათის და მასზე არსებული ბალანსის მოქმედების ვადა შეუზღუდავია.

ბალანსის შევსება აბონენტებს შეუძლიათ კომპანიის ვებ გვერდიდან, ასევე სწრაფი გადახდის აპარატებიდან.

სიმ ბარათის შეძენისთვის და ბალანსის შევსებისთვის გადახდილი თანხის შესაბამისი ქულები კი დაგერიცხებათ UNICARD-ის დაგროვების ბარათზე.

კორპორატიული კლიენტებისთვის (იურიდიული პირებისთვის) მოქმედებს დამატებითი სერვისები: ხელშეკრულების საფუძველზე კორპორატიულ კლიენტს შეუძლია, თავის ნომრებზე დააწესოს ბალანსის ხარჯვის ლიმიტი, ასევე ნებისმიერი ნომრისთვის დააწესოს ბალანსის ავტომატური შევსების რეჟიმი, ხოლო დანახარჯის გადახდა კორპორატიულ აბონენტებს შეუძლიათ ყოველი თვის ბოლოს ზარებზე დეტალური ამონაწერისა და სხვა საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზე.

ტელ: 20 77 07; 48 01 81;

www.gosim.ge

● საფეხბურთო აგენტი

# რატომ ვერ ჩაირიცხა ლადო დვალიშვილი ანდერლეხტში?

## გოგა გახოკიძე: ევროპულმა კანონებმა ძალიან შეგვზღუდა

„საფეხბურთო ტრანსფერების სააგენტო" სულ რაღაც ორი წლის დაარსებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, არაერთი საინტერესო გარიგება განახორციელა. სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელი გოგა გახოკიძე (მისი პარტნიორთაგანია გიორგი ქინქლაძე) ქართველ მოთამაშეთა განხორციელებულ თუ შესაძლო ტრანსფერებზე გველაპარაკება. შეგახსენეთ, რომ სააგენტოს სამსახურით სარგებლობენ ვლადიმერ დვალიშვილი, ალეკო ამისულაშვილი, გურამ კაშია, გიორგი სეთურიძე, დავით ოდიკაძე, თორნიკე თარხნიშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, შოთა კაშია და ლაშა თოთაძე.

**- ბოლო დროს, დასავლეთ ევროპაში ბევრი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ გამოცდილ ფეხბურთელებს სულ უფრო ნაკლებად იწვევენ...**

- ძალიან ძნელია ვინმეს დაინტერესება, რადგან კარგად არც გვიცნობენ, იურიდიული პრობლემებიც ხელს გვიშლის და ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ მიკვირს, ქართველები უცხოეთში ასეთი სიხშირით რომ მიემგზავრებიან. ამიტომაც მინდა, მადლობა ვუთხრა მერაბ ჟორდანიას ნდობისთვის



- გურამ კაშიას თავად არც იცნობდა, მხოლოდ სხვების დახასიათებით ჰქონდა წარმოდგენა და ამის მიუხედავად, მე და გიორგი ქინქლაძეს სიტყვაზე გვენდო. მერწმუნეთ, ამას მხოლოდ ფინანსური მოგებისთვის არ ვაკეთებდით, კაშია ძალიან კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელია და მისი თანადგომა ჩვენს ვალად ჩავთვალეთ. ჟორდანია თვალდახუჭული გვენდო, რაც ასე ადვილი არაა!

**- ისე, საკვირველია, თქვენ და ჟორდანია რომ თანამშრომლობთ...**

- ...და რატომ არის საკვირველი?

**- რატომ და, გვახსოვს წლების წინ ალბანეთში მომხდარი ინციდენტი, როცა ჟორდანია დროებით ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და შეცვლით უკმაყოფილოს მასთან კონფლიქტი მოგივიდათ...**

- თავად თქვით, რომ ეს იყო წლების წინ და უკვე დავივიწყეთ. სანამ მერაბი „ვიტესს" შეიძენდა, მანამდეც ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა... კონფლიქტი ყველგან ხდება, მაგრამ მეგობრების დიდი ნაწილი ჩხუბის შემდეგ შევიძინე.

**- კაშია „ვიტესში" მარჯვენა მცველად თამაშობს, არადა, მას პერსპექტიულ ცენტრალურ მცველად მიიჩნევენ. პოზიციის შეცვლა მისთვის საზიანო ხომ არ იქნება?**

- სანამ მერაბი „ვიტესშია", გამორიცხულია, იქ ქართველი დაიჩაგროს ან ნიჭის წარმოჩენის საშუალება არ მიეცეს. მიმაჩნია, რომ სამომავლოდ გურამი ცენტრალური მცველის პოზიციას ეროვნულ ნაკრებშიც დაიკავებს - ის ერთადერთია, ვინც ამ პოზიციაზე უკონკურენტო მგონია. ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში თავის სიტყვას იტყვის „ვიტესშიც" და, თუ საშუალება მიეცემა, ეროვნულ ნაკრებშიც. თან დარწმუნებული ვარ, იანვრიდან თავის ადგილს დაიკავებს - კაშია მარჯვენა მცველი არ არის.

**- „დიორი ეტოს" ქართველებზე რას გვეტყვით?**

- ძალიან კარგი ბიჭია თემურ შარაშენიძე, ხშირად ჩავდივარ და ვიცი, რომ მისი პროგრესით უნგრელები კმაყოფილნი არიან. ბავშვი დღითი დღე უმატებს და მჯერა, ძალიან კარგ ფეხბურთს ითამაშებს. შარაშენიძეს „დიორი ეტო" ადვილად ვერ შეელევა - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაინტერესებული გუნდი კარგად გადაიხდის. საერთოდ, „დიორი ეტოში" ხუთი ქართველია და ძალიან არასასიამოვნოა, ზოგიერთი მათგანი შემადგენლობაში რომ ვერ ხვდება. როგორი ამბავია, ამდენი ლეგიონერი სკამზე რომ ზის?

**- ლაშა თოთაძეს რატომ არ ათამაშებენ?**

- მიჭირს ამის თქმა, თუმცა უკვე ვფიქრობთ, რომ ლაშას ახალი გუნდი მოვუძებნოთ.

**- ზამთრის სატრანსფერო პერიოდისთვის მუშაობას უკვე დაიწყებდით და საინტერესოა, ვინ სად შეიძლება გადავიდეს?**

- ამ სფეროში ვერაფერს დაგეგმავ, ყოველდღე რაღაც იცვლება და წინასწარ ლაპარაკი არ ღირს. სააგენტოში ვთქვით კიდეც, სანამ საკითხი არ გადაწყდება, ლაპარაკს მოვერიდებით. რამდენი შესაძლო ტრანსფერიც წინასწარ გავამხილეთ, ყველა ჩაიშალა. ისე გეტყვით, რომ ფეხბურთელების საქართველოდან წაყვანაზეც ვმუშაობთ და ვთანამშრომლობთ უცხოელ მოთამაშეებთანაც. არის ერთი ძალზე სერიოზული ფეხბურთელი, რომელიც, შესაძლოა, მალე რუსეთში გადავიყვანოთ.

**- ევროპაში ქართველები აინტერესებთ?**

- 18-წლამდელის ჩაყვანა ისე გართულდა, თითქმის შეუძლებელია. დამატებითი პრობლემები შეგვექმნა: 18-წლამდელი არაევროკავშირელის არათუ კლუბში ჩარიცხვა, გასინჯვაზე ჩაყვანაც კანონდარღვევად ითვლება. ეს სერიოზული ბარიერია. მაგალითად, ეს პრობლემა შეექმნა ჭანტურიას. სრულწლოვანებამდე ის ჰოლანდიაში ვერ ითამაშებს.

**- ანუ, ჩვენნაირი ქვეყნებისთვის ევროპული ბაზარი დაიხურა?**

- ფაქტია, რომ საქმე ძალიან გართულდა. ჰოლანდიაში არსებობს მინიმალური ზღვარი იმისი, თუ რა წლიური გასამრჯელო უნდა მიიღოს ლეგიონერმა. ყველა არაევროპელზე ერთი და იგივე ტარიფი ვრცელდება. ჰოლანდიაში თამაში ისედაც ბევრს სურს, კლუბებს კი გაუჭირდათ. სხვადასხვა ნაკრების ცნობილი ფეხბურთელები კლუბიდან კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადიან და ასეთ არჩევანში ქართველს სხვებთან კონკურენცია უჭირს. ამიტომაც ვამბობ, რომ კაშიას გადასვლა „ვიტესში" საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფერი იყო. თუ გურამი გაამართლებს, და მჯერა, რომ ასეც იქნება, გზას სხვა ქართველებსაც გაუხსნის. ასე რომ, ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში „ვიტესში" ქართველების გადასვლა ნაკლებად სავარაუდოა. არნემში კაშია და ჭანტურია არიან და ამ ეტაპზე ესეც საკმარისია.

**- აზერბაიჯანში არ მიგყავთ ფეხბურთელები?**

- ამის სურვილი არ გვაქვს. ვცდილობთ, ფეხბურთელები ინგლისში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, უნგრეთში, ისრაელსა და რუსეთ-უკრაინაში გავუშვათ, რადგან იქ კარგი კავშირები გვაქვს.

**- კი, მაგრამ აზერბაიჯანში ხომ თქვენი სააგენტოს ფეხბურთელი გიორგი სეთურიძე წავიდა?**

- ამ ტრანსფერთან ჩვენ კავშირი არ გვაქვს. ფეხბურთელს კონტრაქტს რომ ვუფორმებთ, მონობას კი არ ვთხოვთ. თუ ვინმე მისაღებ წინადადებას შესთავაზებს, ხელს არავის ვუშლით.

**- ერთი წლის წინ ლადო დვალიშვილზე დიდი მოთხოვნა იყო. ახლა ეს აჟიოტაჟი ჩაცხრა?**

- ინტერესი ისევ არის, მაგრამ პრობლემას ჰაიფას „მაქაბი" ქმნის - ისინი ძალიან ბევრს ითხოვენ. არადა, ზაფხულში ლადო ბელგიაში იმყოფებოდა, მე პირადად „ანდერლეხტის" პრეზიდენტ როჯერ ვანდენ სტოკსაც ველაპარაკე, მაგრამ ებრაელებმა ძალიან ძვირად დააფასეს. ბელგიელებს კი ისე არ ულხინთ, ტრანსფერებში დიდი თანხები გადაიხადონ. შეიძლება, „მაქაბიმ" ფასი ახლა ოდნავ დასწია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის.

**- „ტვენტეში" ნიჭიერი ხარლამოვი ვარჯიშობდა. გულის პრობლემები ვარჯიშის გაგრძელების საშუალებას მისცემს?**

- ვფიქრობ, მოედანს მალე დაუბრუნდება. ძალიან ნიჭიერი ბავშვია, მომწონს მისი თამაში და იმედია, ქართულ ფეხბურთს გამოადგება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები. რუსეთი

# გვაზავამ გაატანინა, მარცვალაძე მუხლმა შეაწუხა



რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე გროზნოს „ტერეკმა" სანაკრებო პაუზა ამხანაგური მატჩისთვის გამოიყენა. **ლევან გვაზავას** გუნდი ქვედა ლიგაში მოასპარეზე პიატიგორსკის „მაშუკს" გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. გვაზავა გროზნოელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და ბოლომდეც ითამაშა, მეტიც - ლევანმა საგოლე პასი მიითვალა. მე-60 წუთზე გვაზავამ ფლანგიდან სოლო რეიდი განახორციელა, გზად მეურვეები ჩამოიცილა და ზუსტი პასით თანაგუნდელი **სადაევი** მოძებნა, რომელმაც ანგარიში გახსნა.

შეგახსენებთ, რომ გვაზავამ, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა, მაგრამ მშობლიური ქვეყნის პასპორტის დაბრუნება მისმა მოსალოდნელმა ტრანსფერმა შეაფერხა. როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, მიმდინარე სეზონის ბოლოს „ტერეკთან" კონტრაქტის ვადა ეწურება და სხვა კლუბში სურს კარიერის გაგრძელება. ახალ გუნდში ტრანსფერისას კი რუსეთის მოქალაქეობა იმისთვის სჭირდება, რომ ლეგიონერებზე არსებული ლიმიტის გამო უცხოელად არ ჩაითვალოს.

გვაზავას „ტერეკმა" 23 მატჩში 31 ქულა მოაგროვა და ცხრილში მე-8 ადგილზეა. უახლოესი ტურის მატჩში გროზნოელები კვირას, 17 ოქტომბერს მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლებენ

რუსეთში მოასპარეზე კიდევ ერთ ჩვენებურზე უნდა გამცნოთ. ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ქართველი მეგოლე **ოთარ მარცვალაძე** დაშავებულია. ქართველი ფორვარდის ტრავმის გამო წუხილი კლუბის პრეზიდენტმა **ალექსანდრ გოიხმანმა** პრესასთან საუბარშიც გამოთქვა. მისი თქმით, ბოლოს ჩატარებული მატჩის შემდეგ მარცვალაძე მუხლის ტკივილმა შეაწუხა. პირველადი ინფორმაციით, ოთარის ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს. თუმცა რამდენ ხანს მოუწევს ჩვენებურს იძულებით დასვენება, ამის შესახებ, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ერთი რამ კი ცხადია, ნიჟნინოვგოროდელებს 14 ოქტომბერს ბრიანსკის „დინამოს" წინააღმდეგ ქართველი თავდამსხმელის გარეშე მოუწევთ თამაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პირველ დივიზიონში მარცვალაძე 27 მატჩში გატანილი 15 გოლით ბომბარდირებში მოწინავეთა შორისაა, „ვოლგა" კი 32 თამაშში მოპოვებული 60 ქულით მეორე ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

● საფრანგეთი

# მაკარიძემ ლე მანს მოაგებინა

საფრანგეთის მეორე ლიგაში დაქვეითების შემდეგ მცველმა **ამირან სანაიამ** კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. შესაბამისად, „ლე მანში" ერთადერთი ქართველი დარჩა - მეკარე **გიორგი მაკარიძე**. სანაიაზე ქვემოთ გამცნობთ, მანამდე კი მაკარიძეზე გეტყვით.

სანაკრებო პაუზისას „ლე მანი" ამხანაგურად გაეჯიბრა მთავარი ლიგის ლიდერ „რენს". მაკარიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 90 წუთის განმავლობაში იცავდა კარს. მეორე ტაიმიდან „რენმა" დუბლების ფეხბურთელებით ითამაშა, მანამდე კი ის ფეხბურთელები ჰყავდა, რომლებიც ნაკრებებში არ იყვნენ გამოძახებული.

„რენმა" ჩვენებურის გუნდს პირველი ტაიმი 1:0 მოუგო. თუმცა ფრანგული ვებგვერდების ცნობით, მაკარიძეს რომ არ ემარჯვა, სხვაობა უფრო სოლიდური იქნებოდა - 25-ე და 37-ე წუთებზე მან გუნდი ასპროცენტიანი გოლებისგან იხსნა. შესვენების შემდეგ კი „რენმა" ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ჩვენებურის გუნდმაც გაილაღა, 4 ბურთი გაიტანა და მთავარი დივიზიონის ლიდერი 4:1 დაამარცხა. ცნობისთვის, გიორგი მაკარიძის „ლე მანი" 13 ქულით მე-9 ადგილზეა და პარასკევს, 15 ოქტომბერს „კლერმონს" მასპინძლობს.

რაც შეეხება, მაკარიძის გუნდიდან წასულ ამირან სანაიას. ის გერმანიის მეორე ბუნდესლიგის აახენის „ალემანიაში" იყო ტესტირებაზე და ორ ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშა. თუმცა სანაიას შესახებ, ჯერჯერობით სხვა ინფორმაციას არ ვფლობთ.

**დავით ცაბაძე**





● გერმანია

# ...ობერჰაუზენში? თითქმის გამორიცხულია

ეროვნული გუნდის თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ**, მალტასა და ლატვიასთან მატჩებისთვის **მათე ღვინიანიძეც** გამოიძახა. „მიუნხენ 1860"-ის მცველი ტრავმირებული იყო, მაგრამ თბილისში მაინც ჩამოვიდა და ნაკრების ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილთან** გაიარა კონსულტაცია. ზაალიშვილმა „ლელოსთან" საუბარში მაშინვე აღნიშნა, რომ ღვინიანიძეს რთული ტრავმა ჰქონდა, კერძოდ მუცლის ირიბი კუნთი ძლიერ ჰქონდა დაზიანებული. შესაბამისად, მათე სანაკრებო შეკრებიდან გაათავისუფლეს და ისიც მკურნალობის კურსის გასაგრძელებლად გერმანიაში გაბრუნდა. როგორც ირკვევა, მათე უკეთ არის, მაგრამ ჯერაც არ შეუძლია თამაში. მის გარდა, მიუნხენელთა კიდევ 4 ფეხბურთელია დაშავებული. ტრავმირებულთა სიმრავლის გამო „მიუნხენ 1860"-ის მთავარმა მწვრთნელმა **რაინერ მაურერმა** „კრაკოვიასთან" ამხანაგური მატჩი გადადო.

ღვინიანიძის გუნდი 13 ქულით მე-6 ადგილზეა და უახლოეს ტურში 17 ოქტომბერს ობერჰაუზენის „როთ ვაისს" სტუმრად ეთამაშება. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ობერჰაუზენში ქართველი მცველის თამაში თითქმის გამორიცხულია.

**დავით ცაბაძე**

● აზერბაიჯანი

# ადამიამ ლიდერი გოლით დასაჯა

**გიორგი ადამიას** „ყარაბაღმა" აზერბაიჯანული პრემიერლიგის ლიდერ ბაქოს „ნეფთჩისთან" ამხანაგური მატჩი გამართა. სანაკრებო პაუზის გამო, ორივე გუნდს ნაკრებებში გამოძახებული ფეხბურთელები აკლდნენ. „ნეფთჩიში" არ უთამაშია ნახევარმცველ **ლადო ბურდულს**. მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ დაძაბულად კი წარიმართა და მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, 35-ე წუთზე გიორგი ადამიას მიერ გატანილი ბურთით „ყარაბაღმა" ბაქოელები 1:0 დაამარცხა.

ადამიას „ყარაბაღი" 11 ქულით მე-6 ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი 17 ოქტომბერს უმასპინძლებს **ბაჩანა ცხადაძის** „სიმურგს", რომელიც ბოლო ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბ[illegible]

## მალაგამ ბაბელი დაიბევა

ესპანური „მალაგა" მზადაა სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე „ლივერპულიდან" იჯარით მათი ჰოლანდიელი შემტევი **რაიან ბაბელი** აიყვანოს. 23 წლის ფეხბურთელი ინგლისური კლუბის შემადგენლობაში ვერ ხვდება, მიუხედავად იმისა რომ „ლივერპული" ღრმა კრიზისშია, „მალაგამ" კი ესპანური სეზონი ურიგოდ არ დაიწყო. ანდალუსიური კლუბი შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავს და ბაბელი მათი გეგმის ნაწილი. ესპანელები ელიან, როდის გაირკვევა „ლივერპულის" მფლობელის ვინაობა და შემდეგ ინგლისურ კლუბს სარფიან წინადადებას შესთავაზებენ.

## ხოაკინი ორ კვირას დაისვენებს




ხოაკინ სანჩესი

„ვალენსიას" ვეტერანი ვინგერი **ხოაკინ სანჩესი** „კამპ ნოუზე" ტურის ცენტრალურ მატჩს გამოტოვებს „ბარსელონას" წინააღმდეგ. ხოაკინს კოჭი აქვს დაზიანებული, რის გამოც ის სულ მცირე 2 კვირას გამოტოვებს. არადა ხოაკინმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და „ლოს ჩეს" სასტარტო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის. „ვალენსიას" ექიმებს ეგონათ, რომ ხოაკინი „ბარსელონასთან" მატჩს გამოტოვებდა და მწყობრში ჩადგებოდა, მაგრამ ტესტებმა აჩვენა, რომ ასე იოლად საქმე არაა.

## პედრო ლეონი: მოურინიოსთან კონფლიქტი არ მაქვს

მადრიდის „რეალის" ახალწვეულმა **პედრო ლეონმა** უარყო, თითქოს, მას პრობლემები ჰქონდეს „სამეფო კლუბის" თავკაც **ჟოზე მოურინიოსთან**. მოურინიოსა და პედრო ლეონის გზები მას შემდეგ გაიყარა, რაც, როგორც ესპანური მედია იუწყება, ვინგერმა „ლევანტესთან" შეხვედრაში პორტუგალიელი სპეციალისტის მითითებები არ შეასრულა. შედეგად, მოურინიომ ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის („ოსერთან") პედრო ლეონი მატჩის განაცხადშიც კი არ შეიყვანა.

„მოურინიო გუნდის თავკაცია და კარგადაც უძღვება „რეალს". ჩვენ შორის გაუგებრობაც კი არ არსებობს. მართალია, „ლევანტესთან" მატჩში მწვრთნელი დავალალატე, მაგრამ ამისთვის დავისაჯე კიდეც და ახლა ეს უკვე წარსულია. ვიცი, რომ მწვრთნელი მენდობა და მეც დიდი ენთუზიაზმით ვშრომობ", - განაცხადა „დიარიო ას-თან" ინტერვიუში „ხეტაფეს" ყოფილმა ლიდერმა.

## დაგვიბრუნეთ ჩვენი სალვიო

მადრიდის „ატლეტიკომ", შესაძლოა, „ბენფიკაში" განათხოვრებული არგენტინელი ფორვარდი **ედუარდო სალვიო** უკან გამოიწვიოს. პორტუგალიელებმა 20 წლის სალვიო დიდი ზარზეიმით გადაიყვანეს, არგენტინელსაც უხაროდა, რადგან ეგონა, სათამაშო დრო შეუზღუდავად ექნებოდა, მაგრამ სალვიომ ჯამში სულ 107 წუთი ითამაშა „ბენფიკას" მაისურით. „ასი" იუწყება, რომ თუკი სიტუაცია არ შეიცვლება, სალვიოს იჯარას კლუბი დაარღვევს და მას „ვისენტე კალდერონზე" დააბრუნებს. და ამით სალვიოს რა? არაევროკავშირელთა ლიმიტის გამო მას შემადგენლობაში მოხვედრის ნაკლები შანსი აქვს, თუმცა არის ერთი გამოსავალიც. სულ მალე **სერხიო აგუერო** და **დიეგო გოდინმა** შეიძლება ესპანეთის მოქალაქეობა მიიღონ და სალვიოსთვის ადგილი გამოთავისუფლდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევრო 2012 შესარჩევი მატჩები

« მე-3 გვერდიდან

### C ჯგუფი

**ფარერები-ჩრ. ირლანდია 1:1**

**ფარერები (4-4-2):** მიკელსენი - ნაესი, გრეგერსენი, დავიდსენი, იაკობსენი - სამუელსენი (78. ა. ჰანსენი), ბენიამინსენი, უდსენი (68. პეტერსენი), ელტორი - ჰოლსტი (85. ი. ჰანსენი), ედმუნდსონი.

**ჩრ. ირლანდია (4-4-2):** ტეილორი - მაკაული, კრეიგენი, ჰიუზი, ჯ. ევანსი - ბრანტი, ბერდი, დევისი, მაკგინი (83. კ. ევანსი) - ლაფერტი, ფინი (50. ჰილი).

**გოლები:** 1:0 ჰოლსტი (60), 1:1 ლაფერტი (76)

**ესტონეთი-სლოვენია 0:1**

**ესტონეთი (4-4-2):** პარეიკო - იაგერი, რანი (35. პალატუ), კლავანი, სიდორენკოვი - პური (69. პურიე), დმიტრიევი, ვასილიევი, კრუგლოვი - კინკი (59. ზენიოვი), საავი.

**სლოვენია (4-4-2):** ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, შულერი, ბოსტიანი, იოკიჩი - ბირსა (90. ლიუბიანკიჩი), რადოსავლიევიჩი, კორენი, ილიჩიჩი (67. კეკი) - მატავჟი (53. დედიჩი), ნოვაკოვიჩი.

**გოლი:** 0:1 სიდორენკოვი (67-საკ. კარში)

**იტალია-სერბეთი შეწყდა**

**იტალია (4-4-1-1):** ვივიანო - ძამბროტა, ბონუჩი, კიელინი, კრიშიტო - მარკიზიო, პალომბო, პირლო, მაური - კასანო - პაცინი.

**სერბეთი (4-2-3-1):** ბრკიჩი - ივანოვიჩი, ლუკოვიჩი, სუბოტიჩი, რაიკოვიჩი - სტანკოვიჩი, კუზმანოვიჩი - კრასიჩი, კაჩარი, ტოშიჩი - მრდა.

**შენიშვნა:** თამაში მე-6 წუთზე შეწყდა სერბი გულშემატკივრების ხულიგნობის გამო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| 2. სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 3. ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 4. ჩრ. ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 5. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 6. ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 3-16 | 1 |

### D ჯგუფი

**ბელარუსი-ალბანეთი 2:0**

**ბელარუსი (4-4-2):** ჟევნოვი - ომელიანჩუკი, მოლოში (86. იურევიჩი), ტიგორევი, შიტოვი - მარტინოვიჩი, კულჩი (75. კრივეცი), პუცილა (82. ვ. ჰლები), კალაჩევი - კისლიაკი, როდიონოვი.

**ალბანეთი (4-5-1):** ბექაი - ვანგიელი, ლილა, დალკუ, ტელი - სკელა (81. კაპლანი), აგოლი, ბულკუ (59. მუზაკა), დურო, ლიკა (76. ბაკაი) - სალიჰი.

**გოლები:** 1:0 როდიონოვი (9), 2:0 კრივეცი (77)
**გაძევება:** დალკუ (90)

**საფრანგეთი-ლუქსემბურგი 2:0**

**საფრანგეთი (4-3-3):** ლორისი - რევეიერი, რამი, მექსე, კლიში - დიაბი, ა. დიარა, მალუდა (63. ნასრი) - ოარო (73. რემი), გურკუფი, ბენზემა (63. პაიე).

**ლუქსემბურგი (4-5-1):** ჟუბერი - შნელი, ბლაიზე, ჰოფმანი, ლევეკი - ლატერზა (70. შტრასერი), პაიალი, პეტერსი, ბეტმერი (84. და მოტა), მუტში - იოახიმი (53. ჰოლცი).

**გოლები:** 1:0 ბენზემა (22), 2:0 გურკუფი (76)

**გაძევება:** პეტერსი (54)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-1 | 9 |
| 2. ბელარუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-0 | 8 |
| 3. ალბანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 4. ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 5. რუმინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 6. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |

### E ჯგუფი

**ფინეთი-უნგრეთი 1:2**

**ფინეთი (4-2-3-1):** იასკალაინენი - პასანენი, ჰეიკინენი, ჰიიპია, მოისანდერი - რ. ერემენკო, სპარვი (71. ლიტმანენი) - პოროკარა (71. ა. ერემენკო), ვაირინენი, სიოლუნდი (81. კუქი) - ფორსელი.

**უნგრეთი (4-4-2):** კირაი - ვერმეში, ლიპტაკი, იუჰაცი, ლაცკო (86. ვანცაკი) - ძუძაკი, გერა, ვადოცი (75. პინტერი), ელეკი - სალაი, რუდოლფი (47. კომანი).

**გოლები:** 0:1 სალაი (50), 1:1 ფორსელი (86), 1:2 ძუძაკი (90)

**ჰოლანდია-შვედეთი 4:1**

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, პიეტერსი - ვან ბომელი (72. ბრამა), ვან დერ ვაარტი - კოიუტი (29. ლენსი), სნეიდერი, აფელაი - ჰუნტელაარი (84. ვან ნისტელროი).

**შვედეთი (4-2-3-1):** ისაკსონი - ლუსტიგი, გრანკვისტი, მაისტროვიჩი, საფარი (46. ვენდტი) - ვერნბლოომი (54. კალსტრიომი), სვენსონი - ლარსონი, ტოივონენი (79. ბერგი), ელმანდერი - იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (4), 2:0 აფელაი (37), 3:0 ჰუნტელაარი (55), 4:0 აფელაი (59), 4:1 გრანკვისტი

**სან მარინო-მოლდოვა 0:2**

**სან მარინო (4-4-2):** ა. სიმონჩინი - ფ. ვიტაიოლი, დ. სიმონჩინი, ბაკიოჩი, ჩერველინი (60. ბერეტი) - ბოლინი (67. ჩიაკი), ვანუჩი, მაცა, მარანი - მ. ვიტაიოლი, მონტანია (82. კოპინი).

**მოლდოვა (4-4-2):** ნამაშკო - ეპურიანუ, გოლოვატენკო, სუვოროვი, ბორეცი - ბორდიანი, კოჟოკარი (82. სავინოვი), ჟოსანი (69. ზმეუ), ანდრონიჩი - ფრუნზა, ბუგაევი (62. დოროში).

**გოლები:** 0:1 ჟოსანი (20), 0:2 დოროში (86-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| 2. უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-4 | 9 |
| 3. შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-4 | 6 |
| 4. მოლდოვა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 5. ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| 6. სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 0-21 | 0 |

### G ჯგუფი

**შვეიცარია-უელსი 4:1**

**შვეიცარია (4-4-2):** ბენალიო (8. ვოლფლი) - ლიხტშტაინერი, ვონ ბერგენი, გრიხტინგი, ციგლერი - ბარნეტა, შვეგლერი (90. ფერნანდესი), ინლერი, სტოკერი - ფრაი (79. დერდიოკი), შტრელერი.

**უელსი (4-5-1):** ჰენესი - ბლეიკი (54. რიბეირო), ჯ. კოლინსი, უილიამსი, დ. კოლინსი - ედვარდსი (77. მორისონი), კროფტსი, კინგი, ვოუენი (89. ფლინი), ბეილი - ჩერჩი.

**გოლები:** 1:0 სტოკერი (8), 1:1 ბეილი (13), 2:1 შტრელერი (21), 3:1 ინლერი (82-პენ), 4:1 სტოკერი (89)

**ინგლისი-ჩერნოგორია 0:0**

**ინგლისი (4-4-2):** ჰარტი - გ. ჯონსონი, ფერდინანდი, ლესკოტი, ე. კოული - ა. ჯონსონი, ჯერარდი, ბერი, იანგი (74. რაიტ-ფილიპსი) - რუნი, კრაუჩი (70. დევისი).

**ჩერნოგორია (4-4-1-1):** ბოჟოვიჩი - სავიჩი, ძუდოვიჩი, ბაშა, იოვანოვიჩი - ვუკჩევიჩი, პეკოვიჩი, ზვეროტიჩი, ნოვაკოვიჩი (62. კასცელანი) - ბოშკოვიჩი (82. ბეჩირაი) - ჯალოვიჩი (77. დელიბაშიჩი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 3 | 1 | 0 | 3-0 | 10 |
| 2. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| 3. შვეიცარია | 4 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 4. ბულგარეთი | 3 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| 5. უელსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

### H ჯგუფი

**დანია-კვიპროსი 2:0**

**დანია (4-2-3-1):** ლინდეგაარდი - იაკობსენი, კიაერი, აგერი (39. კროლდრუპი), იესენი - პოულსენი, ლორენცენი - რომედალი, პედერსენი, კრონ-დელი (65. ერიქსენი) - იუნკერი (46. რასმუსენი).

**კვიპროსი (4-2-3-1):** გეორგალიდესი - პურსაიტიდესი, მერკისი, ხარალამბუსი (28. ხრისტუ), ავრაამი (64. გარპოზისი) - საციასი, დობრაშინოვიჩი - მაკრიდისი, ოკასი, ალონეფტისი (54. ხარალამბიდისი) - კონსტანტინუ.

**გოლები:** 1:0 რასმუსენი (48), 2:0 ლორენცენი (81)

**ისლანდია-პორტუგალია 1:3**

**ისლანდია (4-4-2):** გუნლეიფსონი - რ. სიგურდსონი, საევარსონი (85. გუნარსონი), კ. სიგურდსონი, ი. სიგურდსონი (86. ადალსტეინსონი) - სტეინსონი, სკულასონი, გუდიონსენი, ჰელგუსონი - დანიელსონი, ბიარნასონი (68. ტორვალდსონი).

**პორტუგალია (4-3-3):** ედუარდო - პერეირა, კარვალიო, პეპე, კოენტრაო - მეირელეში, მოუტინიო, მარტინში (77. ტიაგო) - ნანი (88. დანი), ალმეიდა (66. პოშტიგა), რონალდო.

**გოლები:** 0:1 რონალდო (3), 1:1 ჰელგუსონი (17), 1:2 მეირელეში (27), 1:3 პოშტიგა (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 2. პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 3. დანია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 4. კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 5-8 | 1 |
| 5. ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### I ჯგუფი

**ლიხტენშტაინი-ჩეხეთი 0:2**

**ლიხტენშტაინი (4-4-2):** იელე - მარტინ სტოკლასა, მიხაელ სტოკლასა, იორი, რეხშტაინერი - ერნე (78. ჰანსელმანი), პოლვერინო, ვაიზერი (84. ბუხელი), ბეკი (66. ჰასლერი) - ბურგმაიერი, ფრიკი.

**ჩეხეთი (4-4-2):** ჩეხი - პოსპეხი, ჰუბნიკი, სუხი, მ. კადლეცი - პლაშილი, ჰუბშმანი, პოლაკი (59. სტაინერი), როსიცკი - ნეციდი (89. პეტრჟელა), ვ. კალდეცი (64. ბედნარი)

**გოლები:** 0:1 ნეციდი (12), 0:2 ვ. კადლეცი (29)

**შოტლანდია-ესპანეთი 2:3**

**შოტლანდია (4-2-3-1):** მაკგრეგორი - ბერდსლი, უეირი, მაკმანუსი, ვიტაკერი - ფლეტჩერი, მაკალოხი (46. ადამი) - მორისონი (88. მელოუნი), დორანსი (80. მაკკი), ნეისმითი - მილერი.

**ესპანეთი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, პუიოლი, პიკე, კაპდევილა - ბუსკეტსი (90. მარჩენა), ჩაბი ალონსო - კასორლა (70. პ. ერნანდესი), ინიესტა, სილვა (76. ლორენტე) - ვილია.

**გოლები:** 0:1 ვილია (44-პენ), 0:2 ინიესტა (55), 1:2 ნეისმითი (58), 2:2 პიკე (66-საკ. კარში), 2:3 ლორენტე (79)

**გაძევება:** ვიტაკერი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 2. ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 |
| 3. შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 4. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 5. ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შოტლანდია-ესპანეთი. ნეი სმითის გოლი კასილიასის კარში



## ინტერვიუ

# სამი ხედირა: ჟოზესთან ყველაფერი სამ წუთში გავარკვიე

## მოურინიო ფეხბურთელებს ტვინით თამაშს სთხოვს და რეალისთვის მარტო იმ ფეხბურთელებს ყიდულობს, რომლებიც მის კონცეფციაში ჯდებიან

**სამი ხედირა რომ კარგი, მეტიც, ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელი იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ხუთი-ექვსი თვის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „შტუტგარტის“ ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველი „რეალის“ ფეხბურთელი და თანაც, ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდებოდა. ეს კი არა, იმაზეც არავინ ფიქრობდა, რომ ხედირა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდა. ბუნდესგუნდის მწვრთნელ იოახიმ ლიოვს სამი სამხრეთ აფრიკაში კი მიჰყავდა, მაგრამ მხოლოდ სათადარიგოთა სკამისთვის. მაგრამ მერე ზედიზედ რამდენიმე „სასწაული“ მოხდა: გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი დაშავდა, ხედირა კი ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდა; მუნდიალზე გერმანიამ ძალიან კარგად ითამაშა და ლიოვის გუნდში ხედირა ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რის გამოც მოხვდა კიდეც „რეალში“. როგორ და რანაირად მოხდა ეს ყველაფერი, ამას „ველტში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან შეიტყობთ.**



სამი ხედირას ამოცანა მოედნის ცენტრში წესრიგის დამყარებაა

**- ჰერ ხედირა, გახსოვთ, რა ხდებოდა მაისში?**

- მაისში? მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით...

**- აი, ხომ ხედავთ, თქვენც აღარ გახსოვთ ის ალიაქოთი. მთელი გერმანია შოკში იყო, რადგან მიხაელ ბალაკი დაშავდა და გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებდა. არავინ იცოდა, როგორ ითამაშებდა ბუნდესგუნდი თავისი კაპიტნის გარეშე...**

- ჰო, მართალია. თავიდან ყველანი შოკში ვიყავით. თუმცა მერე, მუნდიალზე გამოჩნდა, რომ გერმანიის ნაკრებს ასეთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელის არყოფნით შექმნილი სიცარიელის კომპენსირება შეუძლია. აგერ, თურქეთთან მატჩისთვის ბასტიან შვაინშტაიგერიც გამოგვაკლდა, მაგრამ ტონი კროოსმა შვაინი ძალიან კარგად შეცვალა. საბოლოო ჯამში, რეალობაა ის, რომ გერმანიის ნაკრები კონკრეტულ ფეხბურთელებზე დამოკიდებული არ არის.

**- სამაგიეროდ, როცა მიხაელ ბალაკი დაბრუნდება, უკვე თქვენ ჩავარდებით შოკში...**

- რატომ? არანაირად! მიხაელ ბალაკი გენიალური, ექსტრაკლასის ფეხბურთელია. გერმანიის ნაკრები ერთ მუშტად შეკრული გუნდია და ჩვენთვის მთავარი შედეგია. როდესაც მიხაელ ბალაკი საუკეთესო ფორმაში იქნება და ბუნდესგუნდში დაბრუნდება, ეს ამბავი მხოლოდ გამახარებს.

**- ჰო, მაგრამ ეს ხომ ფაქტობრივად იმის ნიშანი იქნება, რომ თქვენ სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება მოგიწევთ?**

- ჰო, მიხაელი იმ პოზიციაზე, იმ ადგილზე თამაშობს, რომელიც ახლა მე მაქვს დაკავებული, მაგრამ მეც არაერთხელ დავამტკიცე, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელი ვარ.

**- თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრი იყავით და იმდენად კარგად იასპარეზეთ, რომ მუნდიალის შემდეგ მადრიდის „რეალთან“ გააფორმეთ კონტრაქტი, სადაც ასევე მუდმივად თამაშობთ. ხუთი თვის წინ კი ამას ვერავინ წარმოიდგენდა...**

- ფეხბურთი იმიტომაცაა სპორტის ნომერ პირველი სახეობა, რომ არასდროს არაფერია გამორიცხული. თუ გახსოვთ, მარტში ტრავმა მივიღე და მეშინოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ვითამაშებდი. მერე გამიმართლა და მალე გამოვჯანმრთელდი, ამ დროს ბალაკი დაშავდა და მუნდიალზე მის ნაცვლად მე ვითამაშე, თანაც იმდენად კარგად, რომ ახლა უკვე მსოფლიოს საუკეთესო კლუბის, „რეალის“ მოთამაშე ვარ. ეს ბედნიერებაა! „რეალში“ ყოველთვის ვთამაშობ, თითქმის ყველა მატჩს ვიგებთ, ჩემპიონთა ლიგაში კარგად ვასპარეზობთ და გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იდეალურად დაიწყო. ამაზე უკეთესად ვერც ვიქნებოდი! მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ბედნიერება შემთხვევითი არ არის. ყველაფერი ჩემი შრომის დამსახურებაა!

**- ყველა ასე ამბობს ხოლმე...**

- ჰო, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ბანალურ ისტორიასთან არ გვაქვს საქმე. 17 წლის ასაკში უმძიმესი ტრავმა მქონდა და ექიმები მეუბნებოდნენ, დიდი შანსია, კარიერის ნაადრევად დამთავრება მოგიხდესო. ცხადია, გამიმართლა კიდეც, მაგრამ მეც ბევრი ვიშრომე და მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უკვე ბევრი რამ გამოვცადე. შესაბამისად, ახლა ყველა პოზიტიურ თუ ნეგატიურ ცვლილებას მშვიდად ვხვდები.

**- როდის უფრო ნერვიულობდით, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის წინ თუ ჟოზე მოურინიოსთან პირველი შეხვედრისას?**

- როცა წინ მუნდიალის ნახევარფინალური მატჩი გელის, ცხადია, დაძაბული ხარ და ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ ნერვიულობა გადაჭარბებული ნათქვამია. მოურინიოსთან პირველი შეხვედრის დროს კი სხვანაირი სიტუაცია იყო: როცა მადრიდში მივფინავდი, არ ვიცოდი, რა და ვინ მელოდა. არც იმის დრო მქონდა, რომ მოვმზადებულიყავი, რა მეთქვა. არ ვიცოდი, მომიწევდა თუ არა თვითონ ჟოზესთან შეხვედრა და გასაუბრება. სწორედ ამ გაურკვევლობის გამო ვინერვიულე და ამას არც ვმალავ.

**- ჟოზეზე ლეგენდები დადის. მაინც როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მასთან საუბარი?**

- არაფერი განსაკუთრებული, ეს ჩვეულებრივი დიალოგი იყო. ვსაუბრობდით ჩვენს მიზნებზე, მენტალიტეტსა და ფეხბურთისადმი შეხედულებებზე. ყველაფერი რამდენიმე წუთში გავარკვიეთ და მაშინვე ვიცოდი, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა, რომ „რეალში“ გადასვლა მინდოდა.

» მე-9 გვერდზე

## უცხოური ფეხბურთი

● დაპირისპირება



მარტინ ატკინსონი და არსენ ვენგერი

# ატკინსონი, რომელიც ვენგერმა დაქაჩა

შაბათს „არსენალი" „ბირმინგემს" ხვდება და ამ შეხვედრას **მარტინ ატკინსონი** უმსაჯებს. ეს ის არბიტრია, რომელიც ჩრდილოლონდონელთა გაცეცხლებულმა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** დაახლოებით ერთი თვის წინ ხელით მოატრიალა და რაღაც უყვირა, რის გამოც მას 8 ათასი გირვანქა გადაახდევინეს და ერთი თამაშიც გამოატოვებინეს. ეს ამბავი „მეთოფეთა" და „სანდერლენდის" შეხვედრისას მოხდა, სადაც ატკინსონი მეოთხე მსაჯი გახლდათ.

კიდევ, ატკინსონი ის არბიტრია, რომელმაც, ცოტა ხნის წინ, „მანჩესტერ სიტისა" და „ნიუკასლ იუნაიტედის" შეხვედრაში **ჰატემ ბენ არფას** წინააღმდეგ **ნაიჯელ დე იონგის** საქვეყნოდ ცნობილი უხეშობა ვერ შეამჩნია. არადა, დე იონგმა ისეთი რამ ჩაიდინა, რომ 23 წლის ფრანგს ორ ადგილას მოსტყდა ფეხი.

შეგახსენებთ, რომ ამ უხეშობის გამო დე იონგი თავად ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** მოკვეთა ორი თამაშით. ვენგერმა ვან მარვიიკი შეაქო:

*„ჰოლანდიელთა საქციელს მივესალმები. დაუჯერებელი ის გახლდათ, რომ სეთი ინციდენტების გამო ფეხბურთელებს არ სჯიან. ერთი და იგივე რამ უკვე მერამდენედ მეორდება. ამას შემთხვევითობას და დამთხვევას ველარ ვუწოდებთ"*, - თქვა „მეთოფეთა" თავკაცმა.

ახლა, ატკინსონისა და „ბირმინგემის" ურთიერთობასაც გადავხედოთ: ბოლოს ეს მსაჯი „სიტის" თამაშს ბირმინგემულ დერბიში „ასტონ ვილას" წინააღმდეგ გაუძღვა და მწვრთნელი **ალექს მაკლიში** გააბრაზა - „ვილას" სასარგებლოდ თამაშის მიწურულს საეჭვო პენალტი დანიშნა.

● კონფლიქტი



ედგარ დავიდსი კრისტალ პალასშიც

# დავიდსი თანაგუნდელს ეჩხუბა

ვეტერანმა ჰოლანდიელმა **ედგარ დავიდსმა** „კრისტალ პალასში" ყველას პირი დაალებინა - 37 წლის ვარსკვლავმა მარცხენა მცველს **ჯულიან ბენტს** ღრიალი დაუწყო, რამე არ შეგეშალოს, აქ ბოსი მე ვარო.

ვნებათაღელვა იმან გამოიწვია, რომ ბენეტმა, რომელიც „კრისტალ პალასში" „ნოტინგემ ფორესტიდან" გახლავთ გადასული, დავიდსს ვარჯიშზე ბურთის დაკარგვის გამო რაღაც შეუყვირა. ამის გაგონებაზე დავიდსმა, რომელიც „არწივებს" აგვისტოში შეუერთდა, გონება დაკარგა და თანაგუნდელს მიეჭრა. ეს ამბავი „კრისტალ პალასის" საწვრთნელ ბაზაზე, ბეკენჰემში მოხდა.

თვითმხილველმა თქვა: *„ედგარი „კრისტალ პალასში" თავს მთლად შინაურულად ვერ გრძნობს. ბენეტის კომენტარი მან თავხედობად ჩათვალა და საბრალო, მაისურით ჩაბღუჯა. წყობიდან გამოსული დავიდსი ღრიალებდა, იცოდეთ, აქ ბოსი მე ვარო. გაოცებისგან მთელმა გუნდმა პირი დაალო. არავინ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს, რამდენიმე ფეხბურთელი გამოერკვა, მათ დავიდსი და ბენეტი დააშორეს ერთმანეთს. საერთოდ, ფეხბურთელები ვარჯიშებზე ხშირად კამათობენ, მაგრამ ამის გამო ჩხუბი არასდროს ამტყდარა"*.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა გაიხსენეს, რომ ედგარ დევიდსი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატიდან მწვრთნელთან **გუუს ჰიდინკთან** კონფლიქტის გამო დაითხოვეს. 2005 წელს „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ვარჯიშზე ფიცხი ჰოლანდიელი **რობი კინსაც** წაეკიდა.

● ინგლისის ნაკრები

# რას როშავდა კაპელო?

„დეილი მეილი" წერს, როგორც ჩანს, ორშაბათის პრესკონფერენციაზე **ფაბიო კაპელოს** უკან მისი ინგლისურის მასწავლებელი უნდა მჯდარიყო, რადგან მისი დახმარების გარეშე ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ვერაფრით გაიგო, რატომ ატყდა კაპიტნის შეცვლის გამო დიდი ალიაქოთი და ვერც რამდენიმე კონკრეტული შეკითხვის შინაარსი გაიგოო. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრებს კაპიტანი შეეცვალა - სამკლავური, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული **სტივენ ჯერარდს** ეკეთა, გამოჯანმრთელებულ **რიო ფერდინანდს** დაუბრუნეს.

მაინც რა კითხვები ვერ გაიგო კაპელომ? მაგალითად, ასეთი: რამდენად სწორი იყო სამკლავურის ჩამორთმევა კაცისთვის, რომელმაც აგვისტოში, უნგრეთის ნაკრების კარში ორი გოლის გატანით მისი ტყავი გადაარჩინა? გარდა ამისა, ჟურნალისტები წარუმატებლად ცდილობდნენ მწვრთნელისთვის შეეხსენებინათ, რომ ჯერარდმა ბულგარეთთან და შვეიცარიასთანაც ჩინებულად ითამაშა. მათ იტალიელს ვერც **ეუინ რუნის** პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული შეკითხვების შინაარსი გააგებინეს და საბოლოოდ უკმაყოფილონი დარჩნენ. კაპელო კი თავის მხრივ გაკვირვებული ჩანდა:



ფაბიო კაპელო

*„ჯერარდმა ჩემი წესები კარგად იცის*, - პასუხობდა ის, - *ვინ იქნებოდა ინგლისის ნაკრების კაპიტანი და ვიცე-კაპიტანი, ეს ინგლისში რომ ჩამოვედი, მაშინვე გადავწყვიტე და გამოვაცხადე. წესებს არასდროს ვცვლი. როდესაც ფერდინანდს თამაში შეეძლო, კაპიტნობდა კიდეც და ეს სტივენმა ძალიან კარგად იცის"*.

მაგრამ, ინგლისურ პრესას ასეთი პასუხი არ ეპიტნავა, მოეჩვენა, რომ იტალიელი მწვრთნელი თანამიმდევრულად არ მსჯელობს და როგორც აწყობს ისე ჭრის და კერავს. ყველაფერი მართლა „კაპელოს წესების" შესაბამისად რომ ყოფილიყო გაწერილი, მაშინ პასუხი კითხვაზე, ვინ უკაპიტნებს ჩერნოგორიასთან ინგლისის ნაკრებს, X-ფაქტორის (ქართული ანალოგიით „ჯეოსტარის") ფინალივით სანერვიულო არ იქნებოდა. ამ „ჯეოსტარის ფინალმა" ეჭვი არ არის, როგორც ჯერარდი ასევე ფერდინანდი ძალიან დაძაბა და ჟურნალისტების აზრით, ამან შეიძლება თამაშის ხარისხზე იმოქმედოს.

კიდევ ერთი შეუსაბამობა: ყველაფერი კვლავ და კვლავ „კაპელოს წესებით" რომ ყოფილიყო დალაგებული, მაშინ თავად კაპელო კაპიტნობის ამბავს ჯერარდს კვირას არ ეტყოდა და ორშაბათს ისედაც ცხადი იქნებოდა, რომ რაკი ფერდინანდი გამოჯანმრთელდა, სამკლავური მან უნდა გაიკეთოს.

არადა, პრესკონფერენციაზე იტალიელმა მწვრთნელმა ჟურნალისტებს ცოტა შეუტია კიდეც: *„ეს, მხოლოდ თქვენთვის არის დიდი ამბავი"*, - თქვა მან, რაც პრესის წარმომადგენლებს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ: *„...და ფეხბურთელებისთვის"*!

კაპიტნობის საკითხი მისთვისაც მნიშვნელოვანი რომ იყო, ფერდინანდმაც დაადასტურა: *„კაპელომ ძალიან კარგად იცის, რომ მე ინგლისის ნაკრების კაპიტნობა მინდა. რად უნდა ლაპარაკი, რომ საკუთარი ქვეყნის კაპიტნობა ძალიან საამაყოა. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ეს დიდი მიღწევაა"*.

სწორედ ამიტომ მართებდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელს კაპიტნობის სათუთ საკითხზე მეტი ფიქრიო, - წერს ბრიტანული პრესა და კაპელოს შეახსენებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ის მეკარის შერჩევასაც „მჩატედ" მიუდგა და იწვნია კიდეც.

„დეილი მეილის" მიმომხილველი **მეტ ლოუტონი** წერს, რომ ფაბიო კაპელო ჩინებული მწვრთნელია, რომელსაც ერთი სერიოზული ნაკლი აქვს: ხშირად ვერ ხვდება, რომ კლუბს კი აღარ უდგას სათავეში, არამედ ნაკრების თავკაცია, რაც სულ სხვა რამ გახლავთ, განსაკუთრებით ინგლისში. მაგალითად, ამ კონკრეტულ შეხვედრაში ის ვერ მიხვდა, რომ სტივენ ჯერარდს მნიშვნელოვანი თამაშის წინ გუნება გაუფუჭა. არადა, ის, რომ ინგლისელი ფეხბურთელებისთვის კაპიტნობა ძალიან ბევრს ნიშნავს, ფერდინანდის მწარე სიტყვებიდანაც კარგად ჩანს:

*„დიახ, მე თქვენს სტატიებს ვკითხულობდი*, - უთხრა „მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალურმა მცველმა ჟურნალისტებს, - *თქვენ გეგონათ, რომ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ იქნებოდა კაპიტანი, არადა, გუნდში ფეხბურთელები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ზოგი მის ბანაკში იყო და ზოგი ჩემსაში. საბედნიეროდ, მწვრთნელმა ჩემთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო"*.

● უიღბლო

# ჰარგრივზი ერთხელაც სცდის და...

„მანჩესტერ იუნაიტედის" 29 წლის ნახევარმცველ **ოუენ ჰარგრივზს** საკუთარ სხეულთან ბრძოლა მოჰბეზრდა და განაცხადა, რომ ერთხელაც ცდის მოედანზე დაბრუნებას და თუ კვლავ არაფერი გამოუვიდა, კარიერას დაასრულებს - კანადაში დაბადებულ და გერმანიაში დალვინებულ ინგლისელს კვლავ ეძლევა შანსი „იუნაიტედის" სასტარტო შემადგენლობაში ბოლო ორ წელიწადში პირველად დაბრუნდეს.

ჰარგრივზი ამ ორი წლის განმავლობაში ორჯერ იყო „იუნაიტედის" ძირითადში დაბრუნებასთან ახლოს, მაგრამ ორივეჯერ არ გაუმართლა, ტრავმამ კვლავ დარია ხელი, ამდენმა იმედგაცრუებამ კი ის გადააწყვეტინა, რითაც ეს ინფორმაცია დავიწყეთ.

კლუბიდან გამოსულ ცნობებს თუ დავუჯერებთ, მანჩესტერელთა თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** ნახევარმცველის ასეთი დაჟინებით აღფრთოვანებულია. გარდა ამისა, ლეგენდარულ სქოთს ჰარგრივზი ვარჯიშებზეც ძალიან მოსწონებია და 26 ოქტომბერს „ვულვერჰემპტონთან" „ქარლინგის თასზე" ათამაშებს კიდეც.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა ეს ინფორმაცია თავიანთი არხებით გადაამოწმეს და ოუენ ჰარგრივზის მეგობარს მიაკითხეს, რომელმაც თქვა:

*„ოუენმა აქამდეც ყველა ღონე იხმარა, მოედანზე რომ დაბრუნებულიყო, მაგრამ ტკივილი არ აძლევდა საშუალებას. ახლა მან თავიდან მოიკრიბა ძალ-ღონე და გადაწყვიტა, ერთხელაც სცადოს ბედი. თუ ორგანიზმი კვლავ არ მისცემს ფეხბურთში დაბრუნების საშუალებას, მაშინ ის კარიერას წერტილს დაუსვამს. მუხლში აუტანელმა ტკივილმა ის მარტო ბურთის თამაშში კი არ შეზღუდა, ყოველდღიურ, სამოქალაქო ცხოვრებაშიც პრობლემები შეუქმნა"*.




ჰარგრივზი „ბაიერნიდან" „იუნაიტედში" 2007 წლის ზაფხულში გადავიდა, მაგრამ მას მერე, სამი წლის განმავლობაში, თავიდან მხოლოდ და მხოლოდ 25 შეხვედრაში ითამაშა. 2008 წლის ნოემბერში ჰარგრივზმა მარჯვენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა, სამი თვის მერე კი მარცხენა მუხლის ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა.

გასული სეზონის ბოლოსწინა ტურში ნახევარმცველი, „სანდერლენდთან" შეხვედრაში ორი წუთით შევიდა მოედანზე და ეს თითქოს სიკეთის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზაფხულში ვარჯიშების დროს კვლავ ტკივილმა და პრობლემამ იჩინა თავი.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



## სამი ხედირა

# ჟოზესთან ყველაფერი სამ წუთში გავარკვიე

« მე-7 გვერდიდან

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. მოურინიოს მანამდეც ძალიან ვუნდოდი და ჩემთან შეხვედრისას უბრალოდ ასი პროცენტით დარწმუნა, რომ „რეალში" ჩემი ხილვა სურდა. მე კი ამან ძალიან დამამშვიდა.

**- არ გიფიქრიათ, რომ ეს ნაბიჯი თქვენთვის ნაადრევი იქნებოდა? თუ ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ როცა ფეხბურთელს „რეალში" გადასვლის შანსი აქვს, არც უნდა დაფიქრდეს?**

- მესმის, რასაც გულისხმობთ. როცა ჩემი ოჯახის წევრებს შევატყობინე, რომ „რეალში" მეპატიჟებოდნენ, მოსალოდნელ ტრანსფერს ყველამ სკეპტიკურად შეხედა. მეუბნებოდნენ, შესაძლოა, მართლაც გადახვიდე, მაგრამ სკამს გახეხინებენ, დაფიქრდი, შენთვის „რეალი" ჯერ ადრეაო. მე კი მინდოდა გამეგო, რატომ ვუნდოდი მოურინიოს, რა მელოდა „სამეფო გუნდში". და ჟოზემ ჩემთან საუბარი ისე წარმართა, რომ უკან დასახევი გზა არ დამიტოვა. არა მგონია, რომელიმე მწვრთნელმა რომელიმე ფეხბურთელს ამაზე გასაგებად და მკაფიოდ აუხსნას, რომ ის სჭირდება. გადაწყვეტილება ასე სწრაფად ამიტომაც მივიღე - ჟოზესთან საუბრის დაწყებიდან ზუსტად სამ წუთში უკვე ვიცოდი, რომ ამ გენიალურ მწვრთნელს ძალიან უნდოდა, „რეალის" ფეხბურთელი გავმხდარიყავი. და ეჭვი არასდროს შემპარვია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

**- ვინ უფრო ამაყობს იმით, რომ „რეალში" თამაშობთ - თქვენ თუ თქვენი უმცროსი ძმა?**

- რა თქმა უნდა, ძალიან ვამაყობ, ჩემი ძმისთვის კი ეს ფაქტი დამატებითი მოტივაციაა - ის „შტუტგარტის" ბავშვთა გუნდში თამაშობს და გული მხოლოდ იმაზე სწყდება, რომ მე ახლა მადრიდში, სახლიდან ძალიან შორს ვცხოვრობ. სამაგიეროდ, მას ახლა მეტი მოტივაცია აქვს - მე მას საუკეთესო მაგალითი მივეცი.

**- რაკი „რეალის" ფეხბურთელი ხართ, საზოგადოებაში სხვანაირად იქცევით?**

- ბოლო დროს „შტუტგარტშიც" ძალიან პოპულარული ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ ამას ჩემზე ნეგატიურად არ უმოქმედია. პირიქით, მოტივაცია მემატებოდა და უფრო მეტს ვშრომობდი. ყველაფრის საზღვრები ვიცი, პირველ რიგში კი გართობისა. ახლა საკუთარ თავს უფრო მკაცრად ვაკონტროლებ, რადგან მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვთამაშობ და ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას ნიშნავს.

**- მსოფლიოში საუკეთესო ნახევარდაცვა, ანუ, ესპანეთის ნაკრების შუა ხაზი „ბარსელონაშია", მეორე ადგილზე კი ნამდვილად გერმანიის ნაკრების ნახევარდაცვაა და როგორ ფიქრობთ, მოურინიომ „რეალში" თქვენთან ერთად მესუთ იოზილი ამიტომ ხომ არ გადაიყვანა?**

- არა, ეს გამორიცხულია! ჟოზე უბრალოდ ისეთ ფეხბურთელებს ეძებს და ყიდულობს, რომლებიც მის კონცეფციაში ჯდებიან. მესუთიც ამ კონცეფციის ნაწილია, თორემ მაღალი კლასის ნახევარმცველები მარტო გერმანიას და ესპანეთს კი არ ჰყავს...

**- რას ითხოვს ჟოზე პირადად თქვენგან?**

- ჟოზე ფეხბურთელებს პირველ რიგში ტვინით თამაშს სთხოვს. ჩემი დავალება კი ის არის, რომ ვიზრუნო წესრიგზე ნახევარდაცვის ცენტრში, ვიზრუნო იმაზე, რომ „რეალი" ცენტრი კომპაქტური იყოს. მე აქ იმისთვის არ ვარ, რომ საჯარიმოს მისადგომებიდან ქუსლებით საგოლე პასები ვაკეთო - „რეალს" საკმარისად ჰყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც ეს ეხერხებათ და შესაბამისად, ევალებათ კიდეც. მე პრაქტიკულად მუშა ვარ, რომელმაც მოედნის ცენტრში დისციპლინასა და წესრიგზე უნდა იზრუნოს, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ შავი და „ბინძური" სამუშაოს შესრულება მევალება.

**- მამათქვენი წარმოშობით ტუნისიდანაა. რაზე უფრო ხშირად საუბრობენ ტუნისში: იმაზე, რომ ტუნისელი ხედირა გერმანიის ნაკრებში თამაშობს თუ იმაზე, რომ თქვენ „რეალის" ფეხბურთელი ხართ?**

- დავიწყოთ იმით, რომ ტუნისში ფეხბურთი სიგიჟემდე უყვართ. როგორც მე ვიცი, იქ ყველა ამაყობს იმით, რომ „რეალში" გადავედი და რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზე. ხალხი ძალიან წუხდა იმის გამო, რომ ტუნისის ნაკრები მუნდიალზე ვერ გავიდა და შესაბამისად, უხაროდათ, ჩემი სახით ერთი ტუნისელი მაინც რომ იყო სამხრეთ აფრიკაში.

**- ფრანგული ან არაბული იცით?**

- არაბული არა, ფრანგული ცოტა ვიცი. ახლა კი ესპანურს ვსწავლობ, თანაც ინტენსიურად.

**- გიჭირთ?**

- ადვილი ნამდვილად არ არის, თანაც, ძალიან კარგი მასწავლებელი მყავს. დღეში რამდენიმე საათი ვმეცადინეობ, რადგან ვიცი, რომ ესპანურის ცოდნა ჩემთვის ახლა აუცილებელია.

**- ჰო, მოურინიომ, ამას წინათ, თქვენ და იოზილი სწორედ იმის გამო გაგაკრიტიკათ, რომ ესპანური არ იცით...**

- გადაჭარბებული ნათქვამია. მოურინიომ სინამდვილეში ის თქვა, რომ ჩვენ იმიტომაც ვერ ვავლენთ პოტენციალის ას პროცენტს, რომ ესპანური კარგად არ ვიცით.

ინტერვიუ

## ჯოვანი ელბერი

# რატომ უჭირთ გერმანელ თავდამსხმელებს ბაიერნში?

### ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების მერე აზრზე მოსვლა ძალიან ძნელია

**ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი 1997-დან 2003 წლამდე მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი გოლეადორი იყო და მიუნხენური კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში 169 მატჩში 92 გოლი გაიტანა, რაც თავდამსხმელისთვის ჩინებული შედეგია. დღეს უკვე 38 წლის ელბერმა რეკორდმაისტერთან ერთად ოთხჯერ მოიგო გერმანიის ჩემპიონატი და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა. კარიერის დასრულების შემდეგ კი, სამხრეთ ამერიკაში „ბაიერნის" სკაუტად მუშაობდა. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ელბერმა მიუნხენური კლუბის თავდამსხმელების კრიზისის მიზეზებზე თავისი მოსაზრებები გამოთქვა - მარიო გომესს, მიროსლავ კლოზეს და ივიცა ოლიჩს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ჯერ არც ერთი გოლი არ აქვთ გატანილი...**

**- როგორ ახსნით იმას, რომ შვიდი ტურის შემდეგ, „ბაიერნის" თავდამსხმელებს, მიროსლავ კლოზეს, მარიო გომესსა და ივიცა ოლიჩს არც ერთი გოლი არ აქვთ გატანილი?**

- გომესი არც წინა სეზონში გამოირჩეოდა დიდი შედეგიანობით და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ლუის ვან გაალი მას საკმაოდ იშვიათად ათამაშებდა. დაახლოებით იმავე, თუმცა ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში იყო მიროსლავ კლოზე. აი, ოლიჩი კი წინა სეზონის ერთ-ერთი გმირია და პრინციპში, პირადად მე ველოდი კიდეც იმას, რომ მცირე ჩავარდნა ექნებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ოლიჩის კრიზისი დიდხანს არ გაგრძელდება. შესაძლოა, რეკორდმაისტერის ფორვარდები ზედმეტად ბევრს ფიქრობენ წინა სეზონზე, კერძოდ კი ჩემპიონთა ლიგის ფინალზე, რომელიც წააგეს. ეს ისეთი მარცხია, რომლის დავიწყებას დრო სჭირდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დამღლელ სეზონს და ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგებას მსოფლიოს ჩემპიონატი მოჰყვა. შესაბამისად, მოსამზადებელი პერიოდიც არ იყო სრულყოფილი.

**- მოკლედ, ფეხბურთელებს თქვენც ამართლებთ, გულშემატკივრებს კი ამ ყველაფრის მოსმენა მობეზრდათ...**

- 1999 წელს ზუსტად ასეთ დღეში ვიყავით. თანაც, მაშინ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაცილებით დრამატული მარცხი (1:2 „მანჩესტერ იუნაიტედთან") განვიცადეთ. მაშინ ოტმარ ჰიტცფელდი დღენიადაგ გვიმეორებდა, „მანჩესტერთან" წაგება დაივიწყეთო. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ ძალების აღდგენა და ძველებურად თამაში ძალიან ძნელია ხოლმე. როცა ამდენს იწვალებ, ფინალში გახვალ და დამარცხდები, მერე ფეხბურთის თამაში გარკვეული დროის განმავლობაში სიამოვნებას აღარ განიჭებს...

**- მიზეზი მხოლოდ ეს არის?**

- დორტმუნდშიც გამოჩნდა, რომ მარიო გომესი საგოლე მომენტის დროს ზედმეტად ბევრს ფიქრობს. „ვესტფალენშტადიონზე" მას სამი ასპროცენტიანი შანსი ჰქონდა და ვერც ერთი გამოიყენა. იმიტომ კი არა, რომ ცუდი თავდამსხმელია, არამედ იმის გამო, რომ წნეხის ქვეშაა და სანამ კარში დაარტყამს, ზედმეტად ბევრს ფიქრობს, რაც თავდამსხმელისთვის დამღუპველია. ფორვარდი ცივსისხლიანი, ზედმეტი ფიქრებისგან თავისუფალი უნდა იყოს. როცა თავი დამძიმებული გაქვს, ბურთი ფეხებში გებლანდება და იბნევი. სამაგიეროდ, საკმარისია, ერთი გაიტანოს, რომ მერე ყველანაირი ტვირთისგან თავისუფლდება.

**- აშკარად შესამჩნევი ტენდენციაა ის, რომ „ბაიერნში" გერმანიის ნაკრების თავდამსხმელებს უფრო უჭირთ გოლების გატანა, ვიდრე უცხოელ ფორვარდებს. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?**

- ვფიქრობ, გერმანელი თავდამსხმელები „ბაიერნში" არ არიან ისე თავდაჯერებულები, როგორც გერმანიის ნაკრებში. ეს კი იმის ბრალია, რომ ბუნდესგუნდში მუდმივად თამაშობენ და მწვრთნელისგან სრული ნდობა აქვთ, მიუნხენურ კლუბში კი არა. რეკორდმაისტერში უფრო დიდი კონკურენციაა. თანაც, „ბაიერნში" გერმანელი თავდამსხმელი უფრო დიდი ზეწოლის ქვეშ ექცევა, ვიდრე ბრაზილიელი, ჰოლანდიელი ან იტალიელი. „ბაიერნში" მოთამაშე გერმანელი ფორვარდი ყოველთვის ფიქრობს, რომ თავისი შესაძლებლობები ყველა მატჩში უნდა დაამტკიცოს, მოედანს უგოლოდ არ უნდა ტოვებდეს და შესაბამისად, იძაბება. დაძაბულობა კი თავდამსხმელისთვის არაფრისდიდებით არ შეიძლება. გერმანელები მუდმივად იმაზე ფიქრობენ, რა მოხდება, „ბაიერნიდან" წასვლა რომ მოუხდეს და თუ გერმანელი ფეხბურთელი მიუნხენურ კლუბს ტოვებს და ბუნდესლიგის სხვა გუნდში გადადის, ეს უკანგადადგმულ ნაბიჯად აღიქმება.

**- როგორ ფიქრობთ, ბავარიელებმა ზამთარში ახალი ფორვარდი უნდა იყიდონ?**

- არა მგონია, რომ ეს აუცილებელი იყოს, თუმცა ცუდი არ იქნებოდა. ისე კი, ვფიქრობ, რომ საკმარისია, „ბაიერნმა" რამდენიმე თამაში მოიგოს და თავდამსხმელებმა გოლები გაიტანონ, რომ სწრაფად შევლენ ფორმაში და ყველაფერი გამოსწორდება.

**- პირადად თქვენ „ბაიერნის" სკაუტად აღარ მუშაობთ. რა მოხდა?**

- არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ კონტრაქტი დამიმთავრდა და აღარ გამიგრძელეს. ცხადია, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ბოლო დროს ჩემ მიერ რეკომენდებულმა ფეხბურთელებმა იმედები ვერ გაამართლეს. ყველაზე მეტად ბრენოს იმედი მქონდა, მაგრამ ადგილი ვერ დაიმკვიდრა. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ბრენო „ბაიერნში" თავის სიტყვას მაინც იტყვის.

## შვაინი ფეხზე დადგა

„ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა. 26 წლის ნახევარმცველმა გუშინ ინდივიდუალურად ივარჯიშა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოჯანმრთელებულია. ბასტიანმა ტრავმა დორტმუნდის „ბორუსიასთან" მატჩში მიიღო, რომელიც რეკორდმაისტერმა „ვესტფალენშტადიონზე" 0:2 წააგო.

მიუხედავად გუშინდელი სირბილისა, ჯერ მაინც უცნობია, იასპარეზებს თუ არა შვაინშტაიგერი ბუნდესლიგის მომდევნო ტურში („ბაიერნი" შაბათს „ჰანოვერს" ხვდება). შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო შვაინი გერმანიის ნაკრებს გამოაკლდა - მან ვერც თურქეთთან (3:0 ბუნდესგუნდის სასარგებლოდ) ითამაშა და არც გუშინ (3:0 ყაზახეთთან) უასპარეზია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ჯოვანი ელბერი

წნეხის ქვეშ



მარიო გომესს არც კლუბში სწყალობენ და არც ნაკრებში

# ორი წელია, სიცარიელეში ვარ...

## მარიო გომესი მთელ გერმანიაზე ნაწყენია

ყველაფერი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე, კერძოდ ავსტრიასთან მატჩში ვერგამოყენებული საგოლე მომენტით დაიწყო. მას მერე, ვინც გერმანიაში **მარიო გომესის** სახელსა და გვარს ახსენებს, იქვე ამატებს ხოლმე, რომ ეს არის თავდამსხმელი, რომელიც თავდასხმაში არასდროს უნდა დააყენო. სწორედ ევრო 2008-ის შემდეგ წავიდა მარიოს საქმეები უკან-უკან და ერთ დროს გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც შტუტგარტელობის ჟამს მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა, დღეს მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

თვითონ გომესიც დარწმუნებულია იმაში, რომ მისი „მომენტების ვერგამომყენებლის" იმიჯი სწორედ ავსტრიასთან მატჩში, იმ დროს „დაიბადა", როცა კარს ერთი მეტრიდან ააცილა. *„ეს ჯოჯოხეთი იმ თამაშიდან მომყვება. მას მერე ყველა ისე მიყურებს, როგორც თავდამსხმელს, რომლის იმედი არასდროს არ უნდა გქონდეს. გოლებიც გავიტანე, რამდენჯერმე ძალიან არარეალური მომენტებიც კი გამოვიყენე, მაგრამ როცა მხედავენ, ყოველთვის ხელის ჩაქნევით ამბობენ ხოლმე, აი ისიც, გომესი, მორჩა სპექტაკლიო,"* - ჩივის მარიო „მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

25 წლის თავდამსხმელი მიიჩნევს, რომ მას მთელი საფეხბურთო გერმანია უსამართლოდ ექცევა, მაგალითად კი ერთი კვირის წინანდელი ამბავი მოჰყავს, მატჩი, რომელშიც „ბაიერნმა" დორტმუნდის „ბორუსიასთან" 0:2 წააგო: *„ივიცა ოლიჩს ისე რომ ეთამაშა, როგორც მე, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგ შეფასებას, მაგალითად, ორიანს მიიღებდა. მე კი ჟურნალისტებმა ხუთიანი დამიწერეს (ყველაზე ცუდი შეფასება ექვსიანია - გ. ლ). მე რომ ოთხი მომენტი ვერ გამოვიყენე, ეს ძალიან ცუდ თავდამსხმელობას ნიშნავს, ხოლო ოლიჩს რომ ვერ გამოეყენებინა, იტყოდნენ, ბევრი იშრომა, მაგრამ არ გაუმართლა და რა ქნასო. უკვე ორი წელზე მეტია, რაც ასე ხდება: გომესმა გოლები უნდა გაიტანოს, სხვებს კი ყველაფერი ეპატიებათ."*

| შედარება | | |
|---|---|---|
| გომესი ჯეკოს წინააღმდეგ | | |
| სეზონი | მარიო გომესი | ედინ ჯეკო |
| 2007/08 | 19 გოლი | 8 გოლი |
| 2008/09 | 24 გოლი | 26 გოლი |
| 2009/10 | 10 გოლი | 22 გოლი |
| 2010/11 | 0 გოლი | 5 გოლი |

თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, მარიო არც **ედინ ჯეკოსთან** შედარებას ერიდება. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ბუნდესლიგის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირია და დღესდღეობით გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორად მიიჩნევა. *„გასულ სეზონში ჯეკომ მართლაც ჩემზე გაცილებით მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ წინა სამ წელიწადში ჩემზე ბევრი ნაღდად არ გაუტანია. ახლა შეადარეთ ჯეკოს და ჩემი იმიჯები ერთმანეთს და დაინახავთ, რამდენად დაჩაგრული ვარ და რაოდენ უსამართლოდ,"* - წუხს გომესი.

### გომესი-ჯეკო 53:56

მოდით, გადავხედოთ სტატისტიკას: თუ გომესისა და ჯეკოს შედეგებს ერთმანეთს შევადარებთ (2007/08-დან 2009/2010 წლის სეზონის ჩათვლით), ედინ ჯეკომ სულ 56 გოლის გატანა შეძლო, მარიო გომესმა კი 53 გოლი გაიტანა. ბოლო ორ სეზონში ბოსნიელმა გერმანელ ფორვარდს ორივეჯერ აჯობა: შარშანწინ 26:24, შარშან 22:10. თუმცა, ერთ სეზონში 24 გოლის გატანა ნამდვილად შესანიშნავი შედეგია და ამდენი გოლი გომესმა არც ისე დიდი ხნის წინ, სწორედ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მომდევნო სეზონში გაიტანა.

*„მიუხედავად ამისა, - ამბობს მარიო, - ჩემი იმიჯი არ შეცვლილა. 24-მა გოლმაც კი ვერ მიშველა. ხალხს მარტო ის მომენტი უდგას თვალწინ, ავსტრიასთან ერთი მეტრიდან რომ ავაცილე".*

ახალგაზრდა ფორვარდი, რომელიც „ბაიერნის" ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირფასი შენაძენია (ბავარიელებმა შტუტგარტელებს გომესის სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო გადაუხადეს), გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავს, რომ მან მუდმივად ძირითად შემადგენლობაში უნდა ითამაშოს.

*„სათამაშო პრაქტიკა ერთადერთი რამაა, რასაც შეუძლია, დამამტკიცებინოს, რომ ცუდი თავდამსხმელი არ ვარ. პრინციპში, დასამტკიცებელი არაფერი მაქვს, რადგან ზემოთ სტატისტიკა მოვიყვანე, რომელიც არანაირად არ არის თვით ყველაზე პოპულარულ ედინ ჯეკოზე უარესი, მაგრამ მაინც: მე თამაში მჭირდება. ისეთი თავდამსხმელი ვარ, რომელიც ათ წუთში თამაშს ვერ მოგაგებინებს. როცა ვხვდები, რომ სავარაუდოდ, მარტო 8-10 წუთი მომიწევს თამაში, ისიც ვიცი, რომ იმ დღეს გოლს ვერ გავიტან,"* - ამბობს მარიო „თაგესცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

**გოტფრიდ ლენცი**

დიდი დაპირისპირებების ისტორიიდან

# ანდალუსია სევილიური დერბის დაბრუნებას ელის

**თუ ფეხბურთში კარგად ვერ ერკვევი, შეიძლება გეგონოს, რომ სპორტის ამ სახეობაში ესპანეთი მხოლოდ „რეალი"-"ბარსელონას" მართლაც ბრწყინვალე დერბითაა ცნობილი, რაც მცდარი შეხედულებაა. პირენეებზე კიდევ არის ორი გუნდი, რომელთა დაპირისპირება გულშემატკივრებში დიდ ემოციებს იწვევს და საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს. ეს „სევილია" და „ბეტისის" ორთაბრძოლაა. მათი შეხვედრები საკმაოდ ადრეული დროიდან, 1915 წლიდან იღებს სათავეს და მას შემდეგ ფეხბურთის მოყვარულებმა არაერთი ბრწყინვალე მატჩი იხილეს. დღეს, სწორედ სევილიურ დერბიზე მოგითხრობთ.**

### ისტორია

მოძულე გუნდებს შორის უფრო „ხნიერი" „სევილიაა", რომელიც გულშემატკივრებმა 1905 წელს დააარსეს. სხვათა შორის, კლუბის აქციათა დიდი ნაწილი დღემდე ფანებს ეკუთვნით. 1909 წელს „სევილიას" დირექტორთა საბჭოში განხეთქილება მოხდა, რის შედეგადაც რამდენიმე წევრმა თანამდებობა დატოვა და ცალკე კლუბი, „ბეტისი" ჩამოაყალიბა. 1914 წელს „ბეტისში" რეორგანიზაცია მოხდა და „რეალ ბეტისი" დაერქვა. ამ დროისთვის ანდალუსიის მოსახლეობა უკვე ორად იყო გაყოფილი, ერთმანეთს მტრულად უყურებდნენ და თავიანთ საყვარელ გუნდებს მთელი ძალით ქომაგობდნენ.

### გულშემატკივართა აგრესია

ანდალუსიური „შერკინება" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძალისმიერია. თავად განსაჯეთ, პირველი დერბისას სტადიონზე სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ გულშემატკივრები მოედანზე შეცვივდნენ და მსაჯსაც ისლა დარჩენოდა, მატჩი შეეწყვიტა. ეს შეხვედრა 1915 წლის 8 ოქტომბერს შედგა.

საყურადღებო ფაქტი მოხდა 2002 წლის 6 ოქტომბერსაც. ანდალუსიური დერბი „სევილიას" სტადიონზე, „სანჩეს პისხუანზე" მიმდინარეობდა. მასპინძელი ფანები საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილონი იყვნენ და სხვა რომ ვერაფერი გააკეთეს, მავანმა გიჟმაჟმა ფანმა ერთ-ერთ სტიუარტს ყავარჯენი გაარტყა კისერში. ამ საქციელით ალტყინებულმა „სევილიელებმა" თანამოძმეს მალევე აუბეს მხარი და დიდი დებოში მოაწყვეს. ზოგმა სულაც „ბეტისის" მაშინდელი მეკარის, ტონი პრატის საცემრად გაიწია. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მსაჯმა თამაში შეწყვიტა, ხოლო სამართალდამცავებს ბუნტისთავების ლიკვიდაციისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდათ.

2007 წლის 28 თებერვალს მომხდარი ინციდენტი კი ბევრ თქვენგანს ემახსოვრება. „სევილია" და „ბეტისი" ერთმანეთს ესპანეთის თასზე, „კოპა დელ რეიზე" შეხვდნენ. თამაში „ბეტისის" არენაზე, „მანუელ რუის დე ლოპერაზე" მიმდინარეობდა. სტუმრები მასპინძლებს ყველა სათამაშო კომპონენტში ჩაგრავდნენ და აშკარა იყო, გაიმარჯვებდნენ კიდეც. თუმცა, გაგიჟებულმა „ბეტისელმა" ფანებმა მატჩს ჩამთავრება არ აცალეს. მე-60 წუთზე მავანმა გულშემატკივარმა „სევილიას" მწვრთნელ **ხუანდე რამოსს** წყლით სავსე ბოთლი გაარტყა თავში, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გაითიშა და საავადმყოფოში წასაყვანი გახდა.

ამის შემხედვარე „სევილიელმა" ფეხბურთელებმა პროტესტის ნიშნად მოედანი დატოვეს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „ბეტისს" მომდევნო სამი შეხვედრის საკუთარ სტადიონზე გამართვა აუკრძალა და რასაკვირველია, იმ მატჩში 0:3 წაგება ჩაუთვალა. „სევილიამ" კი ტურნირზე გამოსვლა გააგრძელა და ფინალში „ხეტაფეს" 1:0-ზე დამარცხებით თასიც მოიგო. მოსისხლე ბანაკში ამ წარმატებამ დიდი წყრომა გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ იმ წელს „ბეტისს" დაარსებიდან საუკუნე უსრულდებოდა.

### ურთიერთშეხვედრები

„ბეტისი" და „სევილია" დღემდე ოფიციალურად 114-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მატჩების 45% „დალაქებს" („სევილიას" მეტსახელი) აქვთ მოგებული, ხოლო 31% „ბეტისს". 1916-33 წლების მანძილზე ანდალუსიის „ბობოლებს" საკუთარი ტურნირი ჰქონდათ, რომელსაც „კოპა ანდალუსია" ეწოდებოდა. ჩემპიონი ყოველთვის „სევილია" ხდებოდა. მოწინააღმდეგე მხარემ მხოლოდ ერთხელ შეძლო ტიტულის მოპოვება.

1918 წელს გამართული მატჩი „ბეტისის" ისტორიას შავ ლაქად აჩნევია. საქმე ისაა, რომ „დალაქებმა" მოსისხლე მტერს 22:0 გადაურბინეს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ბეტისი" მოედანზე ახალგაზრდული შემადგენლობით გავიდა.

შიდასარბიელზე ამ გუნდების პირველი ოფიციალური დაპირისპირება სეგუნდა დივიზიონში მოხდა (1928-29). ორივე მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. სევილიური დერბი ლა ლიგაში 1934-35 წლებში შედგა. „დალაქებმა" სახლში 3:0 წააგეს, სტუმრად კი 2:2 ითამაშეს. ის სეზონი „ბეტისმა" სულაც ტრიუმფით დაასრულა და ჩემპიონი გახდა. ანდალუსიურ დერბებში (ამხანაგური შეხვედრები არ იგულისხმება) ყველაზე დიდი ანგარიში 1943 წლის 17 იანვარს დაფიქსირდა, როცა „სევილიამ" 5:0 მოიგო.

სამაგიეროდ, „ბეტისმა" 1958-59 წლების სეზონში საძულველი მეტოქე მისავე სტადიონზე, „სანჩეს პისხუანზე" 4:2 გაანადგურა. უკანასკნელად დერბი 2009 წლის 7 თებერვალს გაიმართა. მაშინაც, „ბეტისმა" 2:1 მოიგო სტუმრად, მაგრამ ამას ხეირი არ მოჰყოლია. კერძოდ, „სევილიამ" პრიმერა ჩემპიონთა ლიგის ზონაში დაამთავრა, ხოლო „სანჩეს პისხუანზე" მომგები „ბეტისი" მეორე დივიზიონში გავარდა.

ანდალუსიელი და არა მარტო ანდალუსიელი გულშემატკივრები დღემდე ელიან, როდის დაბრუნდება სევილიური დერბი ლა ლიგაში. სეგუნდა დივიზიონში „ბეტისი" ჯერჯერობით მესამე ადგილზეა და ელიტაში დაბრუნების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია...

**გიორგი ნიქაბაძე**



## ქართული სპორტი

პრეზენტაცია



მარცხნიდან: გიორგი ასანიძე, თამარ ბალავაძე, გია ნაცვლიშვილი

# ექლვნება საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონებს

**ერთი ჩემპიონის ისტორია** - ასე ჰქვია სპორტული ჟურნალისტის **თამარ ბალავაძის** სატელევიზიო საგანმანათლებლო პროექტს, რომელიც ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებისადმია მიძღვნილი. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის ჩათვლით უმაღლესი ჯილდო საქართველოს 33 სპორტსმენს აქვს მოპოვებული. ბალავაძის პროექტში თითოეულ მათგანს ცალკე ფილმი ეძღვნება 8-12-წუთიანი ქრონომეტრაჟით. ფილმი სრულად 5 საათსა და 35 წუთს გრძელდება. პროექტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურმა სოლიდარობამ დააფინანსა. სეოკ-ის მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციაში სხვადასხვა თაობის ოლიმპიური ჩემპიონები, ტიტულოვანი ათლეტები, სპორტულ უწყებათა და ფედერაციათა ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

ფილმის (რეჟისორი **ლევან ადამია,** რედაქტორი **გოგი ფრანგიშვილი,** ოპერატორი **კახა ბუხრაშვილი,** პროდიუსერი **ზვიად ალხანაიძე,** პროექტის კოორდინატორი **რუსუდან აფციაური**) ჩვენების შემდეგ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და თამარ ბალავაძემ DVD-ის ფორმატზე ჩაწერილი ფილმები საჩუქრად გადასცეს ოლიმპიურ ჩემპიონებსა და მათი ოჯახის წევრებს. უახლოეს მომავალში ფილმების სატელევიზიო პრემიერაა დაგეგმილი.

პროექტის პრეზენტაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** და შინაგან საქმეთა მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** ესწრებოდნენ.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ჩემპიონობაც, 10 000 დოლარიც



გიორგი ყაჭეიშვილი

**არლინგტონში** (აშშ) დამთავრდა მოჭადრაკეთა ამერიკის 2010 წლის კონტინენტური ჩემპიონატი. შეჯიბრება რვა სხვადასხვა ნომინაციაში გაიმართა (საპრიზო ფონდი - 100 000 დოლარი). ოსტატთა ჯგუფში 61 მონაწილე იყო, მათ შორის - 12 დიდოსტატი. ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა **გიორგი ყაჭეიშვილმა** (2568), რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა. ქართველმა მოჭადრაკემ 5 შეხვედრა მოიგო და 4 ორთაბრძოლა ყაიმით დაამთავრა. განსაკუთრებით ბოლო ორ ტურში იყოჩაღა - ჯერ კოლუმბიელ დიდოსტატ **ზაფათა ალონსოს** სძლია, შემდეგ კი ერთპიროვნულ ლიდერ **ალექსანდრ შაბალოვს** (აშშ, 2589) მოუგო. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებზე,შესაბამისად, ამერიკელი დიდოსტატები - შაბალოვი, **გრიგორი კაიდანოვი** (2575) და **სერგეი კუდრინი** (2546) გავიდნენ. ამ კვარტეტმა ადგილების მიხედვით 10 000, 5 000, 2500 და 1300 დოლარი დაიმსახურა.

**ვაჟა დანელია**

# ლიდერს წამოეწია

**ჯერმუკში** კარენ ასრიანის მემორიალზე ქართველმა დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ** მას შემდეგ, რაც ბოლოსწინა ტურში მასპინძელ **რობერტ ჰოვანესიანს** სძლია, პირველ ადგილზე გასვლის შანსი შეინარჩუნა, რადგან 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და **ტიგრან კოტანჯიანს** წამოეწია. სომეხი მოჭადრაკე მე-8 ტურში თანამემამულე **ზავენ ანდრიასიანს** დაუზავდა. წარმატებით ითამაშა საერთაშორისო ოსტატმა **დავით მალალაშვილმა.** მან დიდოსტატ **დავით პეტროსიანს** მოუგო და 6 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. სამწუხაროდ, დამარცხდნენ **სოფიო გვეტაძე** და **გიორგი ბალათუროვი,** შესაბამისად, **დავიდ კალაშიანთან** და **ევგენი ვორობიოვთან. ნაზი პაიკიძემ ხაჩატურ ერანიანს** აჯობა და 5 ქულას მოუყარა თავი. 2,5 ქულას ვერ ასცდა **სოფიკო გურამიშვილი.** გუშინ მან **რაფიკ ხაჩატრიანთან** წააგო, **ნინო იმნაძე არტურ ჰარუთიუნიანს** დანებდა.




ბოლო ტურში პირველი ადგილის ბედს კოტანჯიან (6,5)-მალალაშვილის (6), ვორობიოვ (5,5)-შანავას (6,5) ორთაბრძოლები გადაწყვეტს. ასევე ინტერესს იწვევს აირაპეტიან (5,5)-ვოლკოვის (5,5), ტერ-სააკიან (5,5)-კალაშიანის (5,5), მატინიან (5,5)-სიმონიანის (5,5), ჰოვანესიან (5)-ანდრიასიანის (5,5) შეხვედრები.

**ვაჟა დანელია**

## თავგადასავლები

# თბილისის „დინამოს" წავეტერანო ფეხბურთელი ზორბეგ ებრალიძე

**...წინსართი „წა"** ჩემს ადრინდელ „რეპორტაჟში" გამოვიყენე და ახლაც დამჭირდა. ალბათ ძალიან ხშირადაც „წა"-მჭირდება, რადგან „წა" ძალიან ბევრ უხერხულობას აგვარებს, რამეთუ წამალიც „წა"-ზე იწყება.

**ბატონი ზორბეგი „წა"-ვეტერანოა, იმიტომ, რომ მის „ფარზე" აწერია: „ბედნიერია ის, ვისაც ქართული ფეხბურთისთვის უძგერს გული". მისი მოგონებებიც წა-მალივით იმოქმედებს მკითხველზე.**

**...ცოტა მეც „წა"- მიგრძელდა შესავალი, ამიტომაც პირდაპირ მის საღადაო ისტორიებზე გადავდივარ (მურმან მერკვილიშვილი).**

## ზორბეგი იწყებოდა ასე...

როგორც იტყვიან, უპრობლემოდ დავიბადე — მაგრად. სხვა ბავშვებს რომ ბურთი მკვიდრი ბიძაშვილივით უყვარდათ, მე — მშობლებივით.

მამაჩემი, კაპიტონ ებრალიძე, ფეხბურთს ძალიან დიდ პატივს სცემდა (ხანდახან მეც მცემდა, რა დასამალია!), მაგრამ რატომლაც საფეხბურთოდ არ ვემეტებოდი, სერიოზულ საქმეს მოჰკიდე ხელი, თვარა ბუკივით გაგიხდი ცხვირსო — მეტყოდა ხოლმე.

კაცმა რომ თქვას, მეტყოდა, აბა, არ მეტყოდა? ლანჩხუთში, სადაც გავატარე ჩემი შეგნებული ბავშვობა და ყრმობა, სულ ორი კინოთეატრი ფუნქციონირებდა — საზამთრო (ნესვში არ აგერიოთ) და საზაფხულო; ჰოდა ორივეს გენერალური დირექტორი გახლდათ მამაჩემი.

მუდამ გაპინკინებულ მამას რად უნდოდა, შვილი „მინდვრის ჭია" გამოსულიყო და (ყველას თვალწინ?!) ტრუსიკმაიკით ენაგადმოგდებულს ერბინა მინდორზე — არიქა, იქნება, ვინმემ იფიქროს და მეც გადმომაწოდოს ბურთიო?!

გურიაში მაკვარანცხ ხალხს შენ დალევ, თუ ძმა ხარ, მურმან? ღმერთმა დაიფაროს და, ენა რომ ამოაჭრა, ორს მეზობლისგან ისესხებს და ისეთ რამეს იტყვის, მამალს კვერცხს დაადებინებს წესის დარღვევით.

— ბატონო კაპიტონ, მაინც რაფრაა მაი, ვორივე კინოთეატრის დირექტორი რომ ხარ? — ეკითხებოდნენ მაკვარანცხი ძმაკაცები.

— მაი, ძამა, ვლადიმერ ილიჩ ლენინს ჰკითხეთ, იმან დეიბარა ანდერძიო — დინჯად პასუხობდა მამა.

— მაინც რა დეიბარა ამნაირიო? — რას მოეშვებოდნენ!

— არ იცით მაი თქვე აბდლებოო? — ყასიდად გაიკვირვებდა მამა.

— არა, არაო — ემზადებოდნენ „სიცილად ასაფეთქებელი" ძმაკაცები.

— რა და... ლექსათ დეიბარა:

„ვ ლანჩხუტი იესტ დვა კინო
დირექტორ ბუდეტ კაპიტონ"-ო — პასუხობდა მამა...

მოკლედ, ის კი მიშლიდა ფეხბურთის თამაშს, მარა მე ვიშლიდი?! არ მოგიკვდეთ არაფერი. ჩუმად ჩავალაგებდი საფეხბურთო ფორმას ჩანთაში და დილით ადრე სანამ „კინოთმფლობელი" გაიღვიძებდა, გადავაგდებდი ამ ფორმიან ჩანთას მეზობლის ეზოში. სახლიდან ჩვეულებრივად გამოვდიოდი, შევივლიდი „კონსპირაციულ ეზოში", ავიღებდი ჩანთას და ჰერი — სტადიონისკენ...

ცოტათი მერე იყო „შინაურული" მატჩები — ცოლიანები-უცოლოები ნიძლავზე და ა.შ.

## მეორე ჰობი

რომ ვთქვა, სწავლით ვიკლავდი თავს-თქო, მე თვითონ არ დავიჯერებ და არც ვამხელ.

მამაჩემის საზაფხულო თეატრის დიდი ეკრანის უკან სამი ბილიარდის მაგიდა იყო „მოცლილი გურულებისა" და ხშირად იქითაც გამიწევდა ხოლმე თვალი და ფეხები.

მობრძანებულა ერთ დღეს მამა კაპიტონი სკოლაში, აინტერესებს, როგორ სწავლობს მისი ვაჟკაცი და... მასწავლებელს ჩავუშვივარ, „ქე მეცადინეობს, მარა — ბილიარდში..."

მოვარდა გადარეული კაცი ეკრანს უკან, მაგრამ მე „დისლოკაციის ადგილი" სწრაფად დავტოვე და „მიმალვაში" ვარ. აბა სად წავიდოდი და... მივლასლასდი საღამოს სახლში.

— სა იყავი? — მეკითხება კინემატოგრაფიის შეფი.

— სკოლაში — ვიცრუე უსირცხვილოდ.

— მოი აპა ახლოს, უნდა გამოვიცნო, რა ნიშანი მიიღეო.

მაშინ „ვჭამე". მივედი ახლოს. ჰოო და, ჯერ მამაჩემის ხელი დავინახე, მერე „ბრლრლან" გავიგონე ყურში. მაგრამ ერთი რომ ყოფილიყო — ჯანდაბას... ორი, სამი, ოთხი... ხუთის მერე სათვალავი ამერია და თვლას შეგნებულად შევეშვი...

მეორე დღეს მითხრა:

— კი დაგინახე ეკრანის უკან, ბილიარდის მაგიდასთან რომ პანკურობდი და გადაწყვეტილი მქონდა, მხოლოდ ერთხელ მეთხლიშა, მაგრამ რომ დეიმალე, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ორივე ხელისგული ამიქავდაო.

მართალი იყო და რას ვიზამდი — შევირგე...

## დოსიე

1968 -დან 1970 წლამდე ქუთაისის „ტორპედოს" კაპიტანი ვიყავი. 142 მატჩი ქუთაისში ვითამაშე, 136 — თბილისის „დინამოში". ვიცი, შენ მხიარული ისტორიები გინდა, მურმან, და სანამ მეტყვი, მე გავიხსენებ:

1967 წელია. კიევის „დინამოს" ვეთამაშებით. ისეთი ძლიერი თავდამსხმელის „დაჭერა" დამავალეს, როგორიც კიეველი პუზაჩი გახლდათ. უნდა გამოვტყდე, რომ თავიდან ძალიან მეშინოდა. რაც უნდა იყოს, ჯერ ახალგაზრდა ვიყავი და გამოცდილება მაკლდა. თუმცა საქმეს მონდომებულად შევები. ერთი რამ მაქვს ტვინში — „ამ კაცს არ უნდა მოვცილდე! ამ კაცს ერთი ნაბიჯითაც არ უნდა მოვცილდე!" არც ერთი წუთი, არც ერთი წამი...

გავარდება — გავეკიდები. გაჩერდება — იქვე ვქავდები — აბსოლიტურად გათიშული მყავს.

მეორე ტაიმის მეათე წუთზე მოულოდნელად მოწყდა ადგილიდან და უბურთოდ (?!) გარბის აუტის ხაზისკენ.

რა ბიჭი გამასწრებდა! ჩავუდექი „ფრჩხილი-ფრჩხილში". მაგრამ, კაცო, თან მიკვირს, — ბურთი სულ სხვაგან ტრიალებს, ეს სად გარბის? ფიქრის დროა ახლა?! მივყევი, მივყევი და... გადაჭრა აუტის ხაზი იმ ჩემი ცოდვით სავსემ.

დედაა, რალა ვქნა?!

თურმე პუზაჩის შესაცვლელად სხვა ფეხბურთელი შემოჰყავთ. თქვენ გეცინებათ და... ახლა — მეც...

თამაშის შემდეგ ჯემალ ხერხაძე მომიახლოვდა:

— ბიჭო, ზორბეგ, სტუმართმოყვარე კაცი ვარო, შენ უნდა თქვა, ძმაო!

— რაშია საქმე? — გამიკვირდა ოდნავ დამცხრალს.

— რაშია და, კიდევ კარგი, მსაჯმა მოგაბრუნა, თვარა, პუზაჩს „რაზდევალკამდე" მიყობოდი და მერე სახლშიაც გააცილებდიო.

რას იზამ? — ასეც ხდება.

## ცოდვა გამხელილი სჯობს

— ბატონო ზორბეგ, ერთხელ სიზმარში ვნახე, თითქოს თქვენს კარშიც გაგიტანიათ „საავტორო გოლი" (მ.მ.).

— თქვენ ხომ არაფერი გამოგრჩებათ! კარგი ბატონო, ჩემი სიმინდი ჯერ კიდევ ჩამოუფქვავია და ბარემ ამასაც მოგიყვები:

კუიბიშევში მოხდა ეს ამბავი. ჩვენს კარს მაშინ ლეგენდარული მეკარე სერგო კოტრიკაძე იცავდა. მოწინაალმდეგე კუთხურს აწოდებს. ეს დიდი ლაქა იყო ჩემს ცხოვრებაში და წვრილად მოგახსენებ:

ჩვენი კარი ჩემგან დაახლოებით 4-5 მეტრში იყო. ჩემთან ერთად იდგა ჩემზე გაცილებით მაღალი კუიბიშეველი თავდამსხმელი, რომელიც „მეორე სართულზე" კარგად მუშაობდა (ბორია კაზაკოვი).

ჩამოაწოდეს და ორივენი ერთდროულად ავხტით ბურთის შესახვედრად. ეტყობა, ზედმეტად მოვინდომე, თუ რა იყო — ბურთი გვერდულად მომხვდა თავში და, მიუხედავად სერგოს „ფორმა" ნახტომისა, რიკოშეტით შევარდა ჩვენს კარში. ყველაფერი სერგოს გადავაბრალე:

— არა, რატომ გამოვიდა წინ?! — ეგ რომ კარში დარჩენილიყო, ამ „ბულკს" როგორ ვერ აიღებდა? — სერგოს ბრალია! და საერთოდ, იცი, რა, მურმან? ბედი მაქვს ისეთი, ხიდან რომ თუთა ცვიოდეს, თუ არ გავინიე, მე საზამთრო მომხვდება თავში!

## სასტუმროში

ხომ ვთქვი, „დამწვარი" ბედი მაქვს-მეთქი და ახლა ერთსაც გაგენდობი: 1958 წელია. როსტოვში გვაქვს თამაში. სასტუმროში ვცხოვრობდით მეორე სართულზე. წინა მატჩზე ტრავმა მივიღე. თავი მქონდა გატეხილი მე უბედურს. ტამპონი მედო ჭრილობაზე მედიცინის ყველა წესის დაცვით.

სასტუმროს თანამშრომელი იყო ერთი ბრაზიანი, ბოლმა კაცი; ხშირად შემოდიოდა ჩვენს ოთახში (გვშმონავდა, რა!),

მოგეხსენებათ, ბავშვი ყველგან ბავშვია და როსტოველ ბავშვებსაც ლენინზე არანაკლებ უყვარდათ ფეხბურთი.

ორი, ასე — 11-12 წლის ბიჭი მოვიდა სასტუმროში. უბრალოდ, ქართველი ფეხბურთელების ახლოდან ნახვა აინტერესებდათ მამაძაღლებს...

— მოუსვით აქედან! დაუცაცხანა ბავშვებს, ზემოთ რომ მოგახსენეთ, იმ ადმინისტრატორმა — ბოლმა პროხორიჩმა.

— მი ნიჩევო ნე მეშაემ, პლახოვა ნე სდელაემ! — შეაცოდეს თავი ბავშვებმა.

— არა, ახლავე გაეთრიეთ! — თითო პანლური ჩამოურიგა პროხორიჩმა ამ „ფან ბავშვებს".

ბავშვებმა ცრემლი ჩაყლაპეს და კუდამოძუებულები წავიდნენ, მაგრამ საქმე რომ მთლად ასე მშვიდობიანად არ დამთავრდებოდა — გულმა მიგრძნო. ბავშვები წავიდნენ და თითქმის მივავიწყდა ეს „უწყინარი" ინციდენტი.

არ გასულა ამ ამბიდან 20 წუთი და ეს პროხორიჩი კარგა გვარიანად შებუჟბუჟებული შემოვიდა ჩვენს ნომერში (მე და სერგო ვცხოვრობდით იმ ნომერში ერთად) და რაღაცას გვიხსნის ადმინისტრაციულ „კამპოტში". მოულოდნელად დერეფანში სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმა. სანამ რაიმეს მოვუვინავდით, აგურებით შეიარაღებული ეს „ნაპანლურალი" ბავშვები მოადგნენ ჩვენს ადგილსამყოფელს.

ვიდრე მე ვფიქრობდი, საიდან და რატომ მოათრიეს ეს აგურები ამ ბაღლებმა-მეთქი, ერთმა გაუქანა პროხორიჩს თავში თეთრი აგური. იმ იდიოტმა აცილება მოასწრო და, ჩემი ბედი რა ვთქვი, მე არ მომხვდა თავის უტამპონო, ცარიელ ადგილზე?! თან ისე, რომ ყბა-ნიკაპიც „ჩაითრია".

ახლა ვიცინი, თორემ მაშინ სიკვდილს ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან. ბიჭებს რას დავიჭერდით, მთელი ხალხი მე შემომეხვია — ვეცლებოდი ხელიდან „დინამოს".

ან კი, ბიჭებს რას ვერჩოდით? ის პროხორიჩი იყო მოსაკლავი ჩემი ხელით, მაგრამ მაგის თავი სად მქონდა! ჩვენი ბიჭები თურმე ნეკროლოგისთვის სახელდახელო ტექსტზე ჩალიჩობდნენ — „თანაგუნდელებისგან" — ხელმოწერით.

— „ლელოს" რას უსურვებთ?

— კაი რა... „ლელო" ჩემი სიყვარულია. რა ვუსურვო სიკეთის გარდა!!!

კეთილი სურვილებით, როცა გაგეხარდებათ, თქვენთან ვარ!!! — თქვენი ზორბეგი...

**მურმან მერკვილიშვილი**

*P.S. „სპორტკურიოზების" მოყვარულ, იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ სპორტსმენებს ვთხოვ, დამიკავშირდნენ და, როგორც კახელები იტყვიან, „ვიცინოთ და ვიცინოთ" მშობლიურ „ლელოში".*

ტელ: 851-959-699

პატივისცემით, მურმან მერკვილიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

კალათბურთი



დუდუ დადიანის მემორიალი

# გლდანში, ბათუმის გარეშე

A ჯგუფი: „ენერჯი“, „აგრარული“, „დინამო“, „სოხუმი“, „თავდაცვის სამინისტრო“.

B ჯგუფი: „სამედიცინო“, შსს, თსუ, „ქუთაისი“, სტუ.

### კალენდარი

| | |
|---|---|
| **19 ოქტომბერი** | |
| 11:00 | აგრარული-თავდაცვა |
| 13:00 | დინამო-სოხუმი |
| 15:00 | თსუ-სამედიცინო |
| 17:00 | სტუ-შსს |
| **20 ოქტომბერი** | |
| 11:00 | სტუ-ქუთაისი |
| 13:00 | შსს-სამედიცინო |
| 15:00 | ენერჯი-აგრარული |
| 17:00 | თავდაცვა-დინამო |
| **21 ოქტომბერი** | |
| 11:00 | დინამო-ენერჯი |
| 13:00 | სოხუმი-თავდაცვა |
| 15:00 | სამედიცინო-ქუთაისი |
| 17:00 | შსს-თსუ |
| **22 ოქტომბერი** | |
| 11:00 | ქუთაისი-შსს |
| 13:00 | თსუ-სტუ |
| 15:00 | თავდაცვა-რუსთავი |
| 17:00 | სოხუმი-აგრარული |
| **23 ოქტომბერი** | |
| 11:00 | აგრარული-დინამო |
| 13:00 | ენერჯი-სოხუმი |
| 15:00 | ქუთაისი-თსუ |
| 17:00 | სამედიცინო-სტუ |
| **ფინალი** | |
| **24 ოქტომბერი** | |
| 15:00 | A1-B1 |

დუდუ დადიანის მემორიალი მეცხრედ გაიმართება და მასში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რაც სარეკორდო რაოდენობაა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სუპერლიგაში გამოსვლის სურვილი თერთმეტმა კლუბმა გამოთქვა. მათგან მემორიალზე მხოლოდ „ბათუმი“ ვერ ითამაშებს.

შეჯიბრება 19 ოქტომბერს დაიწყება და 24-ში ფინალით დასრულდება. გუნდები ორ ქვეჯგუფად განაწილდნენ. ჯგუფური ეტაპი 23 ოქტომბერს დასრულდება, მეორე დღეს ფინალი გაიმართება. საჩემპიონო მატჩში ერთმანეთის წინააღმდეგ ჯგუფების გამარჯვებულები წარდგებიან.

დადიანის მემორიალს შსს უმასპინძლებს - ყველა მატჩი პოლიციის აკადემიის დარბაზში ჩატარდება. ბოლო წლებში ამ ტურნირს რუსთავი მასპინძლობდა, მანამდე - ვერის ბაღის საკალათბურთო არენა. პირველი მემორიალი (2002 წელს) სწორედ ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში ჩატარდა. მემორიალის პირველი გამარჯვებული „დინამოა“...

### მემორიალის ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 2002: დინამო-თსუ | 95:63 |
| 2003: სტუ-დინამო | 87:76 |
| 2004: სტუ-დინამო | 111:102 |
| 2005: ავიამშენი-თსუ | 88:77 |
| 2006: ენერჯი-ავიამშენი | 85:69 |
| 2007: ენერჯი-ვითა | 88:66 |
| 2008: ენერჯი-სასოფლო | 101:73 |
| 2009: ენერჯი-თსუ | 91:69 |

ვაჟა სიმონიშვილი

# მეორედ დეტროიტში

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა“ პირველი საგამოფენო მატჩი „მემფისთან“ დათმო, მეორე კი დეტროიტში, „პისტონსთან“ წააგო - 85:94.

მესამე პერიოდის ბოლოს მასპინძლებმა 10:2 გაქცევა მოაწყვეს და ბოლო პერიოდის წინ 77:66 დაწინაურდნენ. რადგან ამხანაგური მატჩი იყო, „ჰოქსის“ მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** თერთმეტქულიანი ჩამორჩენის შემდეგ მოედანზე ახალწვეულები შეიყვანა. მათ სხვაობის 9 ქულამდე შემცირება მოახერხეს.

ფაჩულიას ბოლო პერიოდში აღარ უთამაშია. მან მოედანზე 15 წუთი გაატარა, 1 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, სამი ორქულიანი ისროლა, სამივე — არაზუსტად.

„ატლანტა“ მორიგ მატჩს დღეს, გამთენიისას ჩაატარებდა - დედაქალაქში „ვაშინგტონ უიზარდსს“ დაუპირისპირდებოდა.

| დეტროიტი-ატლანტა | 94:85 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 15 წუთი, 1 ქულა, 5 მოხსნა, 2 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 06:35 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 05:33 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 05:32 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:16 | შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი) |
| 01:58 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 01:40 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 01:23 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 09:29 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| 00:31 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| **III პერიოდი** | |
| 10:53 | საჯარიმოები: 2/1 (1ძ, 54:55) |
| 09:27 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:20 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 08:15 | შეცდომა: 2 (ბურთი დაკარგა) |
| 05:55 | ტომასმა ზაზა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა ფაჩულია

# ცინცაძე ტრიბუნაზე

ესტონეთის ჩემპიონატში მესამე მატჩი ჩაატარა **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“. „კალევთან“ წაგების შემდეგ „როკერებმა“ „ველგს“ უმასპინძლებს და საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია მოახერხეს - 97:87. შეიძლება ვინმემ იფიქროს - საჩემპიონო გუნდს „ველგთან“ მხოლოდ 10 ქულით გამარჯვება არ ეკადრებაო... საქმე ისაა, რომ მთავარმა მწვრთნელმა **ინდრიკ ვესპაანუმ** ორი წამყვანი კალათბურთელის დასვენება გადაწყვიტა - გიორგი ცინცაძე და მთავარი მეფარე **კალისტას ეზიუკვუ** მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს.

„ტარტუ როკის“ მორიგი მატჩი 14 ოქტომბერს იგეგმება - ბალტიის ლიგის შეხვედრაში ლიტვის „ნევეჟისს“ უმასპინძლებს, 15-ში კი ამავე ტურნირში ასევე ლიტვურ „შაულიაის“ მიიღებს.

ვაჟა სიმონიშვილი



მარჯვნივ გიორგი ცინცაძე

ჩოგბურთი

# მაკას მოემატა, ოქსანას დააკლდა

ქალთა რეიტინგმა პეკინური წვიმის გამო დაიგვიანა. **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ჩინეთის ღია პირველობა ორშაბათს მოიგო და პირველად გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ახალი რეიტინგ-ლისტი მხოლოდ ამის მერე გამოქვეყნდა, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხოთ ქართველ ჩოგბურთელებს. ამის მიზეზი თბილისის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) ქულებია. ამ ქულების დამატებით ახლანდელმა გამარჯვებულმა **მაკა ჩახნაშვილმა** იხეირა, შარშანდელმა ტრიუმფატორმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** კი იზარალა.

ჩვენი პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** ისევ საუკეთესო ნიშნულს დაუბრუნდა - 486 ქულით მსოფლიოს 135-ე (+1) ჩოგანია. 20 წლის ანა წლის რბოლაში კიდევ უფრო წინაა - 130-ეა, ხოლო წყვილებში - 115-ე. პროფესიულ კარიერაში ანას უკვე 204 ათასი დოლარი აქვს მოხვეჭილი.

ოქსანა კალაშნიკოვა მე-2 ასეულიდან გავარდა, ჩვენებურს 267 ქულა დარჩა. კალაშნიკოვა 213-ე ჩოგანია, ანუ ერთ კვირაში 25 საფეხურით დაქვეითდა რეიტინგში. 20 წლის ჩოგბურთელი წლის რბოლაში 217-ეა, წყვილებში კი უკეთ აქვს საქმე - 142-ე ჩოგანია. მას ჯერ მხოლოდ 85 ათასი დოლარი აქვს მოპოვებული.

მაკა ჩახნაშვილი თბილისურმა წარმატებამ 28 ადგილით დააწინაურა, 27 წლის ჩოგბურთელი 224 ქულით მსოფლიოს 238-ე ჩოგანია. წლის რბოლაში მაკა 249-ეა, წყვილებში - 243-ე. მოქმედ ქართველ ჩოგბურთელთა შორის ყველაზე მეტი ჰონორარიც მან გამოიმუშავა - 239 ათასი დოლარი.

სხვები: 289 (+23) **თათია მიქაძე** - 173 ქულა; 298 (-7) **სოფიო შაფათავა** - 160; 385 (+12) **სოფიო ქვაცაბაია** - 101; 573 (-61) **მანანა შაფაქიძე** - 46; 579 (-1) **ეკა გორგოძე** - 45; 1083 (-16) **ანა ჯიქია** - 4. სოფიო ქვაცაბაიასთვის ეს კარიერის მიღწევაა.

ამერიკის ქალაქ ტროიში ანა ტატიშვილი მე-4 ნომრად განთესეს 50-ათასიან ტურნირში. მისი პირველი მეტოქე ამერიკელი **ალექსანდრა სტივენსონია** (337). 29 წლის სტივენსონი 8 წლის წინათ მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ტატიშვილმა სტივენსონს უკვე ზედიზედ ოთხი მატჩი მოუგო. ამ ეტაპზე ანამ წყვილებში თამაშისგან თავი შეიკავა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კავკასია ამიერ და იმიერ — ჭიდაობა. კადიროვის ტურნირი

# ახალი ტურნირი და კადიროვის ახალი ამბიციები

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიას კიდევ ერთი ძლიერი ტურნირი შეემატა თავისუფალ ჭიდაობაში. ამ უქმეებზე გროზნომ მეორედ უმასპინძლა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელსაც ცოტა უცნაური სახელი ჰქვია - **რამზან კადიროვის** სახელობის თასი **ადლან ვარაევის** პრიზზე! თუმცა სახელწოდება იქით იყოს და, ალბათ, მიხვდით - ლაპარაკია ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვზე, რომელმაც საბოლოოდ ირწმუნა, რომ ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის ცეცხლში გახვეულ იჩქერიაში მშვიდობა დაამყარა და ბოლო წლებში სპორტის, კონკრეტულად კი ჭიდაობისთვისაც მოიცალა. თუმცა ყოველგვარი ირონიის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მართლა მოიცალა და ვითარებაც გვარიანად გამოასწორა. შარშან გროზნოში დიდი საჭიდაო დარბაზიც გახსნა და იქაურებს სამშობლოში ვარჯიშის საშუალება მიეცათ, თორემ ბოლო წლების წინ ცნობილი ჩეჩენი ფალავნები რუსეთის სხვა რეგიონებში ემზადებოდნენ - ყველა ტიტულის მფლობელი ძმები **ბუვაისა და ადამ საიტიევები** კრასნოიარსკში ვარჯიშობდნენ **დიმიტრი მინდიაშვილთან**, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი **რასულ ჯუკაევი** - დაღესტანში და ასე შემდეგ, ამ დარბაზის გახსნით კი მათ გროზნოში მოიყარეს თავი. ბოლო ხანს ჩეჩენი ფალავნები სულ უფრო თამამად თუ უდგებიან გვერდით მეზობელ ჩრდილოკავკასიელებს და ლიდერთა შორის მათი რიცხვიც იზრდება, ალბათ, გარკვეულწილად ესეც კადიროვის სახელს უკავშირდება. როგორც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **რაფაელ მარტინეტის** სიტყვებიდან ირკვევა, გროზნოში მალე ოლიმპიური მზადების ცენტრი აშენდება. მარტინეტი ამ უქმეებზე პირადად ჩავიდა გროზნოში და შეჯიბრება კადიროვთან ერთად გახსნა, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა და იქაურ ჭიდაობაზე თავისი აზრიც გაგვაცნო: *„ჩრდილო კავკასია მსოფლიოს ჭიდაობის ერთ-ერთი ცენტრია. მე კარგად ვიცი ჩეჩნეთში სადღეისოდ არსებული ვითარება. ბოლო წლებში აქ ჭიდაობის ბევრი სექცია გაიხსნა, სადაც ბავშვების ტევა არ არის. ჩეჩნეთის ჭიდაობა ახლა აღორძინების ეტაპზეა, საამისოდ კი დიდი ნახტომი იქნება ოლიმპიური მზადების ცენტრის აშენება, რომელიც რესპუბლიკის კოლოსალურ საჭიდაო პოტენციალს გააერთიანებს. საამისოდ აქ ყველაფერია - მდიდარი ტრადიციები, ნათელი მომავალი, მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა შტაბი და ყურადღებიანი ხელმძღვანელობა. ამიტომ რესპუბლიკის პრეზიდენტ რამზან კადიროვთან და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ მამიაშვილთან ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ ცენტრის აშენებაა“.*

თავისი სახელობის ტურნირი კადიროვმა შარშან პირველად ჩაატარა, ოღონდ - ჭაბუკებში, წლეულს კი მადაგალვიძებულმა უფროსები მიიწვია. რალაც ხრიკებით, ჩრდილოკავკასიელებს ფული არ უჭირთ და რამდენიმე იმდენად პოპულარულ ტურნირს ატარებენ, ყველა წამყვანი ნაკრები წლიდან წლამდე ელოდება მათ შეჯიბრებას, ის თავიანთ კალენდარში შეაქვთ და დიდი სიამოვნებითაც მონაწილეობენ. სავარაუდოდ, კადიროვის ტურნირიც ასეთ პოპულარობას მოიპოვებს. ყოველ შემთხვევაში, წლევანდელი შეჯიბრება გვაძლევს ამის თქმის საფუძველს - რუსეთის გარდა, მასში ბულგარეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, აშშ-ის და სხვა წამყვანი ქვეყნების ნაკრებები მონაწილეობდნენ. შთამბეჭდავი იყო მოასპარეზეთა სიაც - მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96) რუსეთიდან, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვასილ ფედორიშინი** (60) უკრაინიდან, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ოპან სატი** (60) რუსეთიდან, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რადოსლავ მარინოვ ველიკოვი** (55) ბულგარეთიდან და მისი თანამემამულე, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **მიხაილ განევი** (84), ევროპის ჩემპიონი **ალი იასევი** (120) აზერბაიჯანიდან, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **თეიმურაზ ტიგიევი** (96) ყაზახეთიდან და კიდევ ბევრი ცნობილი ფალავანი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. მართალია, რუსეთმაც და სხვა გუნდებმაც რამდენიმე წამყვანი ფალავანი დაასვენეს, ზოგმაც ტრავმის გამო ვერ იჭიდავა, მაგრამ ყოველ წონაში რამდენიმე ტიტულოვანი მოჭიდავე გამოდიოდა და კონკურენციაც დიდი იყო. თუმცა ეს რუსეთის ნაკრებში ისედაცაა და ამბიციური ახალგაზრდების დიდი ჯგუფი შეჯიბრების სიმძაფრეს კიდევ უფრო მატებდა. ტურნირი მართლაც ძალზე საინტერესო გამოდგა და მასპინძელთა სასახელოდ ჩეჩნებმაც გაიმარჯვეს - **ახმედ ჩაკაევმა** (60) და **მუსლიმ დადაევმა** (66). ევროპის ჩემპიონი **ჯამალ ოთარსულთანოვიც (55)**. ვერ დავიჩემებ, მაგრამ, მგონი, ჩეჩენია. ამასთან, არის სხვა სინჯის მედლებიც.

ბუნებრივია, ჩვენ ყველაზე მეტად გაცალოვის გამოსვლა და ამ წონაში განვითარებული მოვლენები გვაინტერესებს. შეიძლება ითქვას, გაცალოვმა საკმაოდ იოლად მოიგო, იმის მიუხედავად, რომ ფინალში დამატებითი დრო დასჭირდა. მან ნახევარფინალში იარიგინის ტურნირის ორგზის ჩემპიონი - 96-ში და აბსოლუტურში **იური ბელონოვსკი** დაამარცხა, ფინალში კი გვარიანი ჯაფა დაადგა ჩეჩენ **ანზორ ბოლტუკაევთან**. ჩეჩენმა პირველი პერიოდი 4:0 მოიგო, მაგრამ მომდევნოებში გაცალოვი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ამჯერად არ გამართულა მისი და **იბრაგიმ საიდოვის** ტრადიციული ორთაბრძოლა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საიდოვი მძიმე წონაში გადავიდა. შეგახსენებთ - ბოლო ოთხი სეზონია, მათი შეხვედრები რუსეთში გამართულ ნებისმიერ ტურნირზე დიდი ხმაურით ტარდებოდა, ზოგჯერ ჩხუბშიც გადაზრდილა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჭიდაობის კლასიკად რჩებოდა. პირველი სამი შერკინება გაცალოვმა დიდი ძალისხმევის ფასად მოიგო, თუმცა ეს იმდენ ენერგიად უჯდებოდა, რამდენჯერმე მეორე დაღესტნელთან, მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონ **შირვანი მურადოვთან** დამარცხდა, მეოთხე შეხვედრაში კი საიდოვმა საწადელს მიაღწია - რუსეთის წლევანდელი პირველობის ნახევარფინალში დაამარცხა ოსი და მერე ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ამით მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ იქ მაინც გაცალოვი წაიყვანეს. ამაზე კულისებში დღემდე ჭორაობენ, მაგრამ რუსთა ნაკრების თავკაცმა, თავადაც ოსმა **ჯამბულათ თედეევმა** წყალგაუვალი არგუმენტი წამოაყენა - საიდოვმა საერთაშორისო ტურნირებში არ იჭიდავაო. სიმართლე, როგორიც უნდა იყოს, ფაქტია - მსოფლიოზე გაცალოვმა იჭიდავა და კინაღამ მეხუთედ გახდა პლანეტის ჩემპიონი, მაგრამ ეს ისევ თანამემამულემ, ოღონდ აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე **ხეტაგ გოზიუმოვმა** არ დაანება და ვერცხლს დააჯერა.

საიდოვმა წარმატებით დააჭაშნიკა ახალი წონითი კატეგორია - ფინალში ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი თურქი **ტაჰა აკგული** დაამარცხა. ამ წონაში ბრინჯაოს მედლები ამერიკელმა **ტომი როლანდსმა** და ისაევმა მოიპოვეს. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ისაევს **საიპუდინ აბსაიდოვი** გამოსაცდელ ვადას აძლევს - ბოლო წლების ჩავარდნების შემდეგ მის შეცვლაზე ალაპარაკდა. ისაევი მომავალ უქმეებზე ხასავიურტში საკონტინენტთაშორისო თასზეც იჭიდავებს.

საინტერესო ამბები მოხდა 84-შიც, თუმცა კვარცხლბეკი იქაც მთლიანად რუსეთის ნაკრების წევრებმა შეავსეს. აქ კვლავ შეგვახსენა თავი ახალგაზრდა დაღესტნელმა **აბდუსალამ გადისოვმა**. მან წლეულს იარიგინის ტურნირი მოიგო, თუმცა თედეევმა ევროპის ჩემპიონატზე ყაბარდოელი **ანზორ ურიშევი** წაიყვანა (იქ ის ჩემპიონიც გახდა), ამას კი მსოფლიოსთვის უკეთ მომზადება ურჩია. გადისოვს მისი გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია, ისე გააგრძელა მსოფლიოსთვის მზადება, მაგრამ რუსეთის ჩემპიონატი წააგო - მეხუთეზე გავიდა და ველარც ნაკრებში მოხვდა. ამ ტურნირის ნახევარფინალში გადისოვმა ურიშევს მოუგო, ფინალში კი **ტამერლან რასუევი** დაამარცხა. ვერ გეტყვით, ამჯერად იჭიდავა თუ არა ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა და მსოფლიოს წლევანდელმა პრიზიორმა, ოსმა **სოსლან კცოევმა**.

**ახმედ ჩაკაევმა** ოქტომბრის დასაწყისში იაკუტიაში წარმატებით იჭიდავა დმიტრი კორკინის მემორიალზე, ახლა კი ფინალში ფედორიშინი გააკრა ლეიბს. არადა, უკრაინელმა მანამდე ყველა შეხვედრა ძალზე დამაჯერებლად მოიგო, თუმცა ოპან სატთან მოგება მაინც გამოსარჩევია - 20 წამში მოუგო სუფთად! ჩაკაევმა ნახევარფინალშიც სერიოზული მეტოქე დაამარცხა - დაღესტნელი **რამაზან სარიტოვი**. ამ წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ბესიკ კუდუხოვიც** ჭიდაობდა, მაგრამ ამჯერად წარუმატებლად გამოვიდა.

შედარებით უცნობი ხალხი გამოჩნდა 66-ში, სადაც ოთხივე მედალოსანი რუსეთიდანაა, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე მათ ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. აქ ფინალში **მაგომედგაჯი აბაკაროვმა აკტამან გუსიგოვი** დაამარცხა.

სავარაუდოდ, აქ ჩამოთვლილთაგან ბევრს მომდევნო კვირას ხასავიურტშიც შეხვდებიან ჩვენი მოჭიდავეები.

ირაკლი თავაძე



ბურთით გიორგი ზირაქაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ჩემპიონმა რეგულარული გათამაშება მოიგო

12 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ლელო | 46 |
| ხარები | 14 |

ლელო (15-9) ჯოგლიძე, ცერცვაძე, კორკელია, მანჯავიძე (ანდღულაძე 65), გუგავა, გიორგი ჭინჭარაული (გოდერძი ჭინჭარაული 67), კაჭარავა. (1-8) პატარაია (სუჯაშვილი 50), ჭყონია (გაბელია 41), სანიკიძე, ი.დაუშვილი (დ.დაუშვილი 41), ჯალაღონია (ჭყოიძე 41), მძინარიშვილი, ხორბალაძე, აზალაძე.
*6 ლ: გუგავა (2), ჯალაღონია, სუჯაშვილი, ჭყოიძე, დ.დაუშვილი. 5გ,2ს: ჯოგლიძე*
ხარები (15-9) შუბითიძე (მურადაშვილი 60), მელიქიშვილი, ლამბაშიძე, ლობჟანიძე, ბებიაშვილი, ნიკლაური. (1-8) მაჭარაშვილი, კაკაბაძე (ალაშვილი 41), მოქია (ცინაძე 72)ბალიაშვილი, ქარუხნიშვილი, გოგიაშვილი, ქველაძე, ცხადაძე.
*ლ: მოქია. 3ს: ნიკლაური*
სინბინი: მაჭარაშვილი, გოგიაშვილი
მსაჯი: გ. ამირხანაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება დასრულდა. ბოლო ტურში პლეი ოფის წყვილები გაირკვა. ქუთაისის „აიამ", რომელიც მე-14 ტურის წინ სატურნირო ცხრილის სათავეში იყო, შინ წააგო „ლოკომოტივთან" და მეოთხე ადგილზე გადაბარგდა.

შესაბამისად, რკინიგზელებმა ერთი საფეხურით წაიწიეს, რეგულარული გათამაშება მეორე ადგილზე დაასრულეს და შესარჩევ ფინალში საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელ „ლელოს" დაუპირისპირდებიან, რომელმაც პირველი ადგილი არავის დაანება.

დიდ ინტერესს იწვევდა მესამეადგილოსანი „ვისოლი\ყოჩების" შეხვედრა „არმაზთან", რომელსაც მე-13 ტურში რუსთავის „ხარებთან" ჩაშლილი მატჩის გამო საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა წაგება ჩაუთვალა და ერთი ქულა დააკლო. არმაზელებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. რაგბის კავშირის გამგეობამ ინციდენტი ხელახლა განიხილა და სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება შეცვალა.

რაგბის კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, „არმაზმა" და „ხარებმა" მე-13 ტურის შეხვედრა უნდა გადაითამაშონ. ორივე გუნდს პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს, ანუ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი განმეორდება, გუნდს ავტომატურად დააქვეითებენ პირველ ლიგაში. ამასთან, სხვადასხვავადიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს „არმაზის" სამი და „ხარების" ერთი მორაგბე. „არმაზმა" ბოლო ტურის მატჩი „ვისოლი\ყოჩებთან" 26:40 წააგო და ამჟამად ბოლოსწინა ადგილზეა.

ამრიგად, სწორედ ამ გადასათამაშებელ მატჩში გაირკვევა მეშვიდეადგილოსნის ვინაობა, რომელსაც მეორეადგილოსან პირველლიგელთან, თბილისის „ივერიასთან" მოუწევს უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა. ეს კი მას შემდეგ გაირკვა, რაც „ხარებისა" და „არმაზის" კონკურენტმა, თბილისის „აკადემიამ" ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე უმაღლესი ლიგიდან უკვე გავარდნილი „ბათუმი XV" დაამარცხა - 26:10.

რუსთავის „ხარებმა" კი დიღომში „ლელოსთან" 14:46 წააგო. გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელს აუცილებლად უნდა მოეგო, რათა შესარჩევ ფინალში თამაშის უფლება მოეპოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დამშავებულია, ლელოელებმა მიზნის მისაღწევად ყველაფერი იღონეს და რეგულარული გათამაშება დამსახურებულად მოიგეს.

„ხარებთან" თამაში ჩემპიონებმა მძიმედ დაიწყეს. 35-ე წუთამდე მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ამ დროისთვის „ლელო" მხოლოდ ორი ქულის სხვაობით იგებდა - 8:6. ანგარიში მეხუთე წუთზე „ლელოს" მთავარი დამრტყმელის, **ირაკლი ყიასაშვილის** არყოფნაში **გოდერძი ჯოგლიძემ** გახსნა საჯარიმოთი - 3:0. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან გამოცდილ თანაგუნდელზე არანაკლები ფეხჩუბინობა გამოიჩინა - ექვსი გარდასახვიდან ხუთი და სამი საჯარიმოდან ორი გაიტანა.

რუსთაველებმა სამ წუთში **მიხეილ ნიკლაურის** საჯარიმოთივე გაათანაბრეს, ხოლო მე-20 წუთზე მან თავისიანების დაწინაურებაც შეძლო - 6:3. „ლელომ" სისწრაფეს უმატა და 31-ე წუთზე პირველი ლელოც გაიტანა. შერკინება ლელოელთა სასარგებლოდ მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში დაიწიშნა. იქიდან ბურთი რვა ნომერმა **ლაშა აზალაძემ** გამოიტანა და ცხრა ნომერ **გიორგი კაჭარავას** გადააწოდა, ამან მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე შეუტია, რამდენიმე მეტრი გაირბინა და იერიში გარემარბი **ლექსო გუგავა** ჩართო. მისი გაჩერება „ხარებმა" ვერ შეძლეს. ჯოგლიძემ ვერ გარდასახა - 8:6.

პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში „ლელო" კიდევ უფრო გააქტიურდა და ორი ლელოს გატანა შეძლო. 36-ე წუთზე ლელოელთა მრავალფაზიანი იერიში ისევ გუგავამ დაასრულა. მან დროულად შენიშნა რუსთაველთა გვარიანად არეულ დაცვაში ღია სივრცე, ბურთი რაკიდან მოულოდნელად აიტაცა და ლელოში ისე შეიჭრა, მეტოქემ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო. ჯოგლიძემ გარდასახა - 15:6.

ორ წუთში ნიკლაურმა ისევ საჯარიმოთი გაზარდა რუსთაველთა მონაგარი და ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა - 9:15. ტაიმის ბოლო წუთზე კი ლელოელებმა ისევ შერკინებიდან შეუტიეს. ამჯერად მორკინალებმა სცადეს მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ რაკიდან ბურთი „ლელოს" მოთამაშე მენეჯერმა **დავით ჯალაღონიამ** აიტაცა და ლელოში შეიტანა. ჯოგლიძემ ესეც გარდასახა - 22:9. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ „ხარებმა" სხვაობის შემცირება მალევე მოახერხეს. 42-ე წუთზე „ლელოს" დაცვის უყურადღებობით რუსთაველმა მორკინალებმა ისარგებლეს და პირველხაზელმა **სერგო მოქიამ** ლელო მიითვალა. ნიკლაურმა ვერ გარდასახა - 14:22.

რუსთაველებს თითქოს მატჩის გადარჩენის შანსი მიეცათ, თუმცა ლელოელთა თამაში შეცვლაზე შესულებმა საგრძნობლად გააძლიერეს. „ხარების" საქმე იმანაც გაართულა, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ორწუთიანი შუალედით არბიტრმა მათი ორი მოთამაშე გაასინბინა და რვა წუთის განმავლობაში ცამეტი კაცით მოუწიათ თამაშმა.

„ლელომ", ცხადია, ამით ისარგებლა, მეტოქეს კიდევ სამი ლელო გაუტანა. სამივე შეცვლაზე შესული მოთამაშეების, **მიხეილ სუჯაშვილის, გიორგი ჭყოიძის** და **დავით დაუშვილის** ანგარიშზეა. ჯოგლიძემ სამივე გარდასახა, ბოლო წუთზე საჯარიმოც გაიტანა და „ლელომ" 46:14 მოიგო.

ბოლო წლების ტრადიციის თანახმად, ჩემპიონის ტიტულს, როგორც წესი, რეგულარულ გათამაშებაში გამარჯვებული იგებს. ასე იყო შარშანაც. ვნახოთ, დაირღვევა თუ არა წლეულს ეს ტრადიცია?

**ბესიკ ჯანგავაძე**

# მოგება საჯარიმოებით

12 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აია | 6 |
| ლოკომოტივი | 12 |

აია: (15-9) ხამაშურიძე, გოგლიჩიძე (გოშაძე 54), აშვეთია, სინაურიძე, აბრამიძე, შარვაშიძე, როხვაძე (გოგია74), (1-8) გურეშიძე (ჩხიკვაძე 65), სხულუხია, ხეჩიკოვი (ლომიძე 41), იობიძე, მეტრეველი (ძაგნიძე52), რევიშვილი, შალამბერიძე, თხელიძე (ცირეკიძე 52), 2ს: სინაურიძე
*სინბინი: ლომიძე*
ლოკომოტივი: (15-9) კობერიძე, ტუჩაშვილი, ქავთარაძე, ბერძენაშვილი, ჭურღულია, ლვინჯილია, კვინიხიძე, (1-8) გასვიანი, ზარიძე (ელოშვილი7 3), პეტრიაშვილი, ოზგებაშვილი (ნიშნიანიძე 21), გუჯარაიძე, ბერიშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე, 4ს: კვინიხიძე
*სინბინი: ბერიშვილი*
მსაჯი: უ. ნარიმანიძე

კარგა ხანია, „აიას" ქუთაისში არ უთამაშია და თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ რიონისპირა ქალაქში დიდი რაგბი „აია"-„ლოკომოტივის" დაპირისპირებით დაბრუნდა. შეხვედრამ ადგილობრივ ქომაგებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მოგების შემთხვევაში „აია" პრაქტიკულად ინაღდებდა პირველ ადგილს, რაც ქუთათურებს პლეი ოფის მატჩის საკუთარ მოედანზე გამართვის საშუალებას მისცემდა. „ლოკომოტივს" კი მინიმუმ მეორე ადგილის გასანაღდებლად სჭირდებოდა გამარჯვება.

როგორც ფავორიტების დაპირისპირებას შეეფერება, მოედანზე ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. ქუთაისში მთელი დღე წვიმდა, თუმცა მატჩის დაწყების წინ გამოიდარა და შეხვედრის დასრულებამდე აღარ უწვიმია. სველ მოედანზე ხელდახელ სწრაფი თამაში ჭირდა და ორივე გუნდმა ძალისმიერ რაგბიზე გააკეთა აქცენტი. „აიას" თავდაპირველი უპირატესობის შემდეგ **თემურ ბენდიაშვილის** გუნდიც გააქტიურდა. თბილისელები ძირითადად მოლით უტევდნენ და მასპინძლებს წესის დარღვევას აიძულებდნენ.

საწყის წუთებში კვინიხიძემ ორი საჯარიმო ზუსტად დაარტყა და სტუმრები დააწინაურა - 6:0 24-ე წუთზე ქუთაისელებმა მწვავე შეტევა წამოიწყეს და მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზთან საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. სინაურიძემ ზუსტად დაარტყა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 3:6

საპასუხო შეტევისას კვინიხიძეს საჯარიმოთივე შეეძლო სტატუსკვოს აღდგენა, მაგრამ ამჯერად დარტყმა გაუცუდდა. თუმცა, 30-ე წუთზე თბილისელთა სნაიპერმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 9:3. ტაიმის ბოლო წუთებმა მასპინძლების შეტევებში ჩაიარა. ქუთათურებს ლელომდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. მეტოქის 22-მეტრიან ზონაში აუტის მოგების შემდეგ ქუთათურები მოლით მიაწვნენ, შემდეგ მოლიდან სინაურიძე ბურთიანად გამოძვრა და ჩათვლის ხაზისკენ გაიქცა, თუმცა ლოკომოტიველებმა იმარჯვეს და ბოლო მომენტში შეაჩერეს.

მეორე ნახევრის დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. 55-ე წუთზე თბილისელებმა კიდევ ერთხელ მოიპოვეს საჯარიმოს დარტყმის უფლება და კვინიხიძემ კვლავ არ დაალალატა თანაგუნდელები - 12:3.

„აია" რთულ ვითარებაში აღმოჩნდა და მდგომარეობის გამოსწორებას სწრაფი, მრავალფაზიანი შეტევებით შეეცადა, თუმცა ხელდახელ თამაშისას ქუთათურები ცდებოდნენ, ხშირად გადამწყვეტ მომენტში ზუსტი პასის გაკეთებას ვერ ახერხებდნენ და ამის გამო რამდენიმე მწვავე შეტევაც ჩაეშალათ.

72-ე წუთზე სინაურიძემ თითქმის ცენტრიდან ძალიან რთული საჯარიმო გაიტანა და საკუთარ გუნდს მატჩის გადარჩენის შანსი დაუტოვა - 6:12.

ბოლო წუთებში რიონისპირელები ბევრს ეცადნენ ლელოს გატანას, ორჯერ მიზანთან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ მეტოქის ჩათვლის მოედნის ხაზთან მისულებმა ბურთის შენარჩუნება ველარ მოახერხეს. ბოლო შეტევისას მასპინძლებმა ჯარიმის დარტყმაზე უარი თქვეს და ბურთი აუტში გადააგდეს, თუმცა ლოკომოტივმა თავი კარგად დაიცვა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

XIV ტური

არმაზი-ვისოლი\ყოჩები 26:40,
აკადემია-ბათუმი XV 26:10

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 14 | 10 | 0 | 4 | +173 | 20 |
| 2. ლოკომოტივი | 14 | 10 | 0 | 4 | +97 | 20 |
| 3. ყოჩები | 14 | 9 | 1 | 4 | +73 | 19 |
| 4. აია | 14 | 9 | 0 | 5 | +63 | 18 |
| 5. ხარები | 13 | 5 | 0 | 8 | -151 | 10 |
| 6. აკადემია | 14 | 4 | 2 | 8 | -17 | 10 |
| 7. არმაზი | 13 | 4 | 1 | 8 | -105 | 9 |
| 8. ბათუმი XV | 14 | 2 | 0 | 12 | -133 | 4 |

3 ნოემბერი

შესარჩევი ფინალი

ლელო-ლოკომოტივი
ვისოლი\ყოჩები-აია

8 ნოემბერი

წინასწარი ფინალი

14 ნოემბერი

ფინალი



ზვიად მასურაძის გარღვევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ამბები

### მოტოსპორტი

## პედროსა ავსტრალიაში დაბრუნდება

მოტოგრანპრის კატეგორიაში მონაწილე „ჰონდას" პილოტი **დანიელ პედროსა** თითქმის გამოჯანმრთელდა და მსოფლიოს ჩემპიონატის უახლოეს ეტაპზე - ავსტრალიის გრან-პრიზე გამოვა. ესპანელმა ორი რბოლა ლავიწის ძვლის მოტეხილობის გამო გამოტოვა - მან ეს ტრავმა იაპონიის გრან-პრის თავისუფალ ვარჯიშზე მიიღო.

ორი ეტაპის გამოტოვების მიუხედავად, პედროსა 228 ქულით მეორე ადგილს ინარჩუნებს და ვიცეჩემპიონობის რეალური შანსი აქვს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვადაზე ადრე გაინაღდა პედროსას თანამემამულე **ხორხე ლორენსომ**.

*„იმედი მაქვს, რომ ავსტრალიის ეტაპისთვის ოპტიმალურ ფორმაში შევალ. ჩემთვის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა - აუცილებლად უნდა მოვიპოვო მეორე ადგილი"*, - განაცხადა პედროსამ.

### ჰოკეი

## პატიმრობა დებოშის გამო

„დალას სტარზის" ფორვარდი **მაიკ რიბეირო** ქალაქ პლანოს ერთ-ერთ რესტორანში დააპატიმრეს. მთვრალმა ჰოკეისტმა დებოში მოაწყო და ამით სამართალდამცავთა ყურადღება მიიპყრო. მოგვიანებით მაიკი თავდებში გაათავისუფლეს.

30 წლის რიბეირომ ამ ინციდენტამდე გამარჯვების შაიბა გაიტანა „ნიუ იორკ აილენდერსთან" მატჩში. „დალასის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯო ნიუვენდაიკმა** განაცხადა, რომ კლუბი დეტალურად გამოიკვლევს საქმის ვითარებას.

### კალათბურთი

## კობი სეზონს ვერ დაიწყებს

გაზეთ „ლოს ანჯელეს თაიმსის" ცნობით, NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა" ახალი სეზონი, შესაძლოა, ცენტრ **ენდრიუ ბინუმისა** და მცველ **კობი ბრაიანტის** გარეშე დაიწყოს.

ბრაიანტის შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით - „ლეიკერსის" მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** უკმაყოფილება გამოთქვა თავისი ლიდერის სათამაშო ფორმით. როგორც ირკვევა, აღდგენითი პროცესი გაჭიანურდა და კობიმ ვერ მოასწრო ოპტიმალური კონდიციების აღდგენა. რაც შეეხება, ბინუმს, მანაც მუხლზე ოპერაცია გადაიტანა და ჯერ საერთოდ არ შესდგომია ვარჯიშებს. მისი მოედანზე დაბრუნება ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისშია ნავარაუდები.

*„ეს მოთამაშეები მზად არ იქნებიან ახალი სეზონისთვის. ამიტომაც უნდა გავიაზროთ, როგორ ვითამაშოთ მათ გარეშე. კონცეფციას უახლოესი კვირა-ნახევრის განმავლობაში წინასასეზონო მატჩების დროს მოვიფიქრებთ"*, - ამბობს ფილ ჯექსონი.

## ჩოგბურთი. რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 12 390 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 7 145 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6 735 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 125 |
| 5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 825 |
| 6(6). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3 945 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 715 |
| 8(8). მიხაილ იუჟნი (რუს) | 3 345 |
| 9(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 330 |
| 10(11). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 280 |
| 11(10). ენდი როდიკი (აშშ) | 3 225 |
| 12(13). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 560 |
| 13(12). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 905 |
| 14(15). გაელ მონფილსი (საფ) | 2 250 |
| 15(14). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 540 |
| 16(16). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 150 |
| 17(17). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2 120 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 2 030 |
| 19(19). მარდი ფიში (აშშ) | 1 991 |
| 20(22). ჯონ ისნერი (აშშ) | 1 850 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 7 671 668 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 077 635 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 033 422 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 2 402 707 |
| 5. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 2 261 763 |
| 6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 903 716 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 667 097 |
| 8. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 622 234 |
| 9. ენდი როდიკი (აშშ) | 1 610 088 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუს) | 1 539 528 |
| 11. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 1 445 867 |
| 12. სემ კუერი (აშშ) | 1 192 627 |
| 13. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 103 043 |
| 14. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1 088 692 |
| 15. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 1 042 339 |
| 16. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 026 465 |
| 17. ბობ ბრაიანი (აშშ) | 983 399 |
| 17. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 983 399 |
| 19. ჯონ ისნერი (აშშ) | 963 693 |
| 20. მარდი ფიში (აშშ) | 930 128 |

| WTA-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(2). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 7 680 |
| 2(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 6 855 |
| 3(4). ვერა ზვონარევა (რუს) | 6 165 |
| 4(3). ვენუს უილიამსი (აშშ) | 5 715 |
| 5(5). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 5 325 |
| 6(6). ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 5 175 |
| 7(7). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4 855 |
| 8(8). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 772 |
| 9(9). ელენა დემენტიევა (რუს) | 4 335 |
| 10(10). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3 835 |
| 11(15). ნა ლი (ჩინ) | 3 540 |
| 12(13). ჟუსტინ ანენი (ბელ) | 3 415 |
| 13(18). შაარ პეერი (ისრ) | 3 405 |
| 14(11). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 175 |
| 15(16). არავან რეზაი (საფ) | 3 100 |
| 16(14). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2 935 |
| 17(17). ნადია პეტროვა (რუს) | 2 761 |
| 18(20). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 2 690 |
| 19(21). მარია შარაპოვა (რუს) | 2 591 |
| 20(12). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2 590 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 4 266 011 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 3 585 060 |
| 3. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 241 488 |
| 4. ვერა ზვონარევა (რუს) | 2 744 641 |
| 5. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2 614 782 |
| 6. ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 2 256 634 |
| 7. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 1 783 523 |
| 8. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 723 726 |
| 9. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1 401 960 |
| 10. არავან რეზაი (საფ) | 1 243 111 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუს) | 1 143 740 |
| 12. ფლავია პენეტა (იტა) | 1 136 136 |
| 13. ნადია პეტროვა (რუს) | 1 087 367 |
| 14. ნა ლი (ჩინ) | 1 066 706 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 1 061 852 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1 011 134 |
| 17. იაროსლავა შვედოვა (ყაზ) | 935 685 |
| 18. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 880 773 |
| 19. ჟიე ჟენგი (ჩინ) | 856 019 |
| 20. ხისელა დულკო (არგ) | 833 430 |

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი–პიტსბურგი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 გოლიგოსკი-2 (ტანგრადი-1), 0:2 ლეტესტუ-2 (ლეტანგი-2, მარტინი-3), 1:2 ელიაში-1 (არნოტი-1), 1:3 მარტინი-1 (კუნიტცი-2).

**სენტ ლუისი–ანაჰაიმი 5:1**

2:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბეკსი-1 (პერონი-1, ბოიესი-1), 2:0 ენდი მაკდონალდი-1 (ოში-1, ბერგლუნდი-1), 3:0 კრომბინი-1, 3:1 ს. კოივუ-2, 4:1 დ'აგოსტინი-1 (პიეტრანჯელო-1), 5:1 დ'აგოსტინი-2 (ოში-2, კოლაიაკოვო-1).

**ვანკუვერი–ფლორიდა 2:1**

1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-1 (სამუელსონი-1, ჰ. სედინი-2), 1:1 ოლეში-1 (სანტორელი-1, სტილმანი-1), 2:1 დ. სედინი-2 (ჰ. სედინი-3, სამუელსონი-2).

**ვაშინგტონი–ოტავა 3:2 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სიომინი-1 (ლეიჩი-1, ფერი-1), 1:1 ი. რუუტუ-1 (კარკნერი-1, ნილი-2), 2:1 ფერი-2 (ჰენდრიქსი-1, გორდონი-1), 2:2 შენონი-1 (რეგინი-1), 3:2 ოვეჩკინი-3 (კარლსონი-3, შულცი-1).

**აილენდერსი–რეინჯერსი 6:4**

2:1, 1:2, 3:1

**გოლები:** 1:0 კომო-2, 1:1 დუბინსკი-3 (დელ ზოტო-1, როჟსივალი-1), 2:1 ბეილი-1 (კომო-1, მოტო-1), 2:2 დელ ზოტო-1 (დუბინსკი-1, ანისიმოვი-2), 2:3 ჟირარდი-1 (ფროლოვი-2, მ. სტაალი-2), 3:3 მოულსონი-2 (ჰანტერი-1, ნილსენი-2), 3:4 ანისიმოვი-1 (გაბორიკი-2, კელეჰანი-2), 4:4 პარენტო-1 (ვიშნიევსკი-2, მოულსონი-1), 5:4 კომო-3 (ბეილი-3, მოტო-2), 6:4 ნილსენი-1.

**ბაფალო–ჩიკაგო 3:4**

2:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 სტეფორდი-1 (დ. როი-1, ლეოპოლდი-2), 2:0 დ. როი-4 (ჰეხტი-1, სტეფორდი-2), 2:1 ჰ. კეინი-1 (კეიტი-1), 2:2 ლედი-1 (ბოინტონი-1, კოპეცკი-3), 2:3 მარიან ჰოსა-2 (ბიკელი-1), 2:4 მარიან ჰოსა-3, 3:4 ტიმ კონოლი-1 (მონტადორი-1, ენისი-4).

**ფილადელფია–კოლორადო 4:2**

2:0, 0:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ჟირუ-2 (მ. რიჩარდსი-2), 2:0 ჯ. კარტერი-1, 2:1 იიპი-1 (ლაილსი-3), 2:2 ჰეიდუკი-1 (დუშენი-2, ლაილსი-4), 3:2 ჯ. კარტერი-2 (მ. რიჩარდსი-3, ვან რისმდიკი-2), 4:2 პოუ-1 (ბეტსი-1).

## ველოსპორტი

# ასე იწყებოდა

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** სადოპინგო ისტორიამ მორიგი მძიმე დარტყმა მიაყენა ველოსპორტის ისედაც შელახულ რეპუტაციას. სანამ ესპანელი თავის მართლებას ცდილობს, ესპანური „მარკა" სპორტის ამ სახეობაში ათ ყველაზე ხმაურიან სკანდალს იხსენებს: **არმსტრონგისა** და **ჰემილტონის** დაზიანებული სინჯები, **მერქსის** დადებითი ტესტი, „პუერტოს ოპერაცია", „მეკობრე" **პანტანი** და **ვინოკუროვის** სისხლის გადასხმა.

### 1996 წელი. ედი მერქსი

ვარსკვლავური სტატუსის მქონე ერთ-ერთი პირველი ველომრბოლი, რომელიც დოპინგის მიღების გამო დასაჯეს. ბელგიელი **ედი მერქსი** ტურ დე ფრანსის ხუთგზის ჩემპიონი იყო. 1969 წელს, ჯირო დ'იტალიას დროს მის ორგანიზმში ფენკამფამინი აღმოაჩინეს და ორგანიზატორებმა ველომრბოლი იტალიური ველომარათონიდან მოკვეთეს. მრბოლელმა გადაწყვეტილების გაპროტესტება სცადა, რადგან დოპინგსინჯის შემოწმებას გუნდის წარმომადგენელი არ დასწრებია. ეს საქმე ფაქტობრივად დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა დონეზე განიხილებოდა.

ამ სკანდალის მიუხედავად, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა ბელგიელს ტურ დე ფრანსზე გამოსვლის ნება დართო და მერქსმა პირველ გამარჯვებას მიაღწია. მომდევნო წლებში მერქსს კიდევ სამჯერ აღმოუჩინეს აკრძალული პრეპარატი: პირველ შემთხვევაში მან გამოიყენა პრეპარატი, რომელიც არ იყო აკრძალული, მაგრამ ბელგიელს მაინც ჩამოართვეს ჯირო ლომბარდიაზე გამარჯვება, მეორეჯერ ექიმმა დაუშვა შეცდომა (ყოველ შემთხვევაში, მერქსი ასე ფიქრობდა), მესამედ (1977 წელს) მას ფსიქოსტიმულატორი პემოლინი უპოვეს.

### 1998 წელი. გუნდი ფესტინა

ივლისის დასაწყისში ფრანგულმა პოლიციამ დააპატიმრა ველოსაჯინიბო „ფესტინას" წარმომადგენელი, რომელსაც ჩანთაში აღმოუჩინეს დოპინგის რამდენიმე სახეობა - ერითროპოეტინით დაწყებული და ამფეტანიმით დამთავრებული. პირველ დღეებში „ფესტინა" ბრალს უარყოფდა, მაგრამ შემდეგ სპორტულმა დირექტორმა აღიარა, რომ გუნდი სისტემატურად იღებდა დოპინგს. შვიდმა სპორტსმენმა, მათ შორის ცნობილმა **კრისტოფ მორომ** აღიარა ერითროპოეტინის გამოყენება. ყველამ ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

### 1999 წელი. მარკო პანტანი

1999 წელს, ჯირო დ'იტალიასა და ტურ დე ფრანსის მოქმედ გამარჯვებულ მარკო პანტანის იტალიური გრანდ-ტურის მსვლელობისას ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს ჰემატოკრიტის მაღალი დოზის გამო. ამასთან, ჰემოგლობინის მაჩვენებელი ნორმაში იყო. პანტანიმ უარი თქვა შემდეგ რბოლებში მონაწილეობაზე, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კარიერა განაახლა.

მოგვიანებით, 2001 წელს ისევ ჯირო დ'იტალიას დროს, პანტანის ოთახში იპოვეს ინსულინის ნემსი. სპორტსმენმა ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. დოპინგის გამოყენებაზე ეჭვმა თავისი როლი ითამაშა - 2004 წელს „მეკობრე" კოკაინის ზედმეტი დოზის გამო გარდაიცვალა.

### 2004 წელი. ტაილერ ჰემილტონი

ამერიკელი ტაილერ ჰემილტონი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დროზე განცალკევებით რბოლაში ჩემპიონი გახდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ველომრბოლი სისხლს ისხამდა. თუმცა ჰემილტონის დასჯა არ მოხერხდა, რადგან მისი B სინჯი არასწორად იყო შენახული და ამერიკელს ვერაფერი დაუმტკიცეს.

თუმცა სულ მალე ჰემილტონი კიდევ ერთხელ გამოიჭირეს დოპინგზე. ამჯერად ვუელტას მსვლელობისას. ტაილერი სასჯელს ველარ გადაურჩა და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. 2009 წელს მან სტეროიდებზე დადებითი სინჯი ჩააბარა და რვა წლით ჩამოაშორეს დიდ სპორტს.

### 2005 წელი. ლენს არმსტრონგი

2005 წლის აგვისტოში ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა" დაწერა: 1999 წლის ტურ დე ფრანსის დროს **ლენს არმსტრონგის** ორგანიზმიდან აღებულმა დოპინგსინჯმა ერითროპოეტინზე დადებითი შედეგი აჩვენა - ეს ანალიზები ხელმეორედ შატენო-მალაბრის ლაბორატორიაში შეამოწმეს. საპასუხოდ ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა „ეკიპს" „ტაბლოიდი" უწოდა და გამოაცხადა, რომ არასოდეს მიუღია დოპინგი.

სამი წლის შემდეგ, როცა ამერიკელმა კარიერის განახლების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, ფრანგულმა ანტისადოპინგო სამსახურმა ლენს ძველი სინჯების (1998-99) შემოწმება შესთავაზა. არმსტრონგმა უპასუხა, რომ მის ძველ ანალიზებს ცუდად ინახავდნენ. მართლაც, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა გაარკვია, რომ ამ სინჯების შემოწმება შეუძლებელი გახლდათ.

### 2006 წელი. პუერტოს ოპერაცია

2006 წლის მაისში ესპანეთის პოლიციამ რეიდის დროს დააპატიმრა ექიმი **ეუფემიანო ფუენტესი**, რომელიც ადრე რამდენიმე ველოსაჯინიბოში მუშაობდა და ორასამდე პროფესიონალ სპორტსმენთან ჰქონდა ურთიერთობა. საქმეს „პუერტოს ოპერაცია" უწოდეს. რეიდის დროს ფუენტესის კლინიკაში აღმოჩნდა სისხლის ასამდე პაკეტი, რომლებშიც ერითროპოეტინის მაღალი დონე დაფიქსირდა. ეჭვის ქვეშ აღმოჩნდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან **იან ულრიხი, ივან ბასო, ფრანკ შლეკი, ალეხანდრო ვალვერდე**, ალბერტო კონტადორი, ტაილერ ჰემილტონი, მარკო პანტანი.

მრბოლელთა უმრავლესობა მტკიცებულებების არასაკმარისი რაოდენობის გამო გაამართლეს. თუმცა ბასომ ერთი წლის შემდეგ მისცა სასამართლოში აღიარებითი ჩვენება, ვალვერდე კი სულ ცოტა ხნის წინ დასაჯეს.

### 2006 წელი. ფლოიდ ლენდისი

**ფლოიდ ლენდისი** ტურ დე ფრანსის ისტორიაში შევიდა როგორც ერთადერთი გამარჯვებული, რომელსაც საჩემპიონო ტიტული დოპინგის გამოყენების გამო ჩამოართვეს. ამერიკელი ტესტოსტერონის მიღებაში ამხილეს. მე-17 ეტაპის წინ ამერიკელის შანსი მინიმალური იყო, მაგრამ მან თითქმის 8-წუთიანი ჩამორჩენა გააბათილა ლიდერ **ოსკარ პერეიროსთან**, რამდენიმე ეტაპის შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა გენერალურ კლასიფიკაციას. ბოლო ტესტმა აკრძალულ პრეპარატზე დადებითი შედეგი აჩვენა. ამერიკელს სასამართლოში ჩივილმაც ვერ უშველა.

### 2007 წელი. ალექსანდრ ვინოკუროვი

ყაზახმა ველომრბოლმა ალექსანდრ ვინოკუროვმა 2007 წლის ტურ დე ფრანსის დროს ინდივიდუალური რბოლა მოიგო, მაგრამ მომდევნო დღეს ცნობილი გახდა, რომ ვინოკუროვისა და „ასტანაში" მისი თანაგუნდელი **ანდრეი კაშეჩკინის** ტესტებში სისხლის გადასხმა დაფიქსირდა. „ასტანამ" დაასრულა გამოსვლა, ვინოკუროვს კი დისკვალიფიკაცია მისცეს.

რბოლამდე ვინოკუროვი გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად მიიჩნეოდა. ამასთან, ოფიციალურ პირებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ყაზახი აკრძალულ პრეპარატს იღებდა - ეს ეჭვი „ასტანას" ლიდერისა და სპორტიდან მოკვეთილი იტალიელი ექიმის **მიკელე ფერარის** თანამშრომლობას ეფუძნებოდა.

### 2008 წელი. რიკარდო რიკო, ბერნარ ნოლი, შტეფან შუმახერი

ოლიმპიური წელი ველოსპორტში ერითროპოეტინისა და მისი ახალი სახეობის ფონზე წარიმართა. თავდაპირველად, ტურ დე ფრანსის დროს დადებითი დოპინგსინჯი ჩააბარა ესპანელმა **მანუელ ბელტრანმა**, შემდეგ ერითროპოეტინის მესამე თაობა - CERA უპოვეს იტალიელ **რიკარდო რიკოსა** და მის თანაგუნდელ **ლეონარდო პიეპოლის**. ამის შემდეგ გავრცელდა ცნობა **ემანუელ სელას** დადებით სინჯზე, რომელმაც 2008 წლის ჯიროზე სამი ეტაპი მოიგო.

შემოდგომაზე საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტომ ტურ დე ფრანსზე აღებული სინჯების თავიდან შემოწმება გადაწყვიტა. მას საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმაც აუბა მხარი, რომელმაც პეკინის ტესტები გადაამოწმა. შედეგად დისკვალიფიკაციები მიიღეს **ბერნარ კოლმა** (მესამე ადგილი ტურზე), **შტეფან შუმახერმა** (დროზე ორი განცალკევებითი რბოლის გამარჯვებული) და **დავიდე რებელინმა** (ვერცხლი ოლიმპიადაზე).

CERA-ს გამოყენებაზე ატეხილი სკანდალის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მისი დამამზადებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან.

### 2010 წელი. ალბერტო კონტადორი

კონტადორის სკანდალმა, შესაძლოა, მორიგი ძლიერი დარტყმა მიაყენოს ველოსპორტის რეპუტაციას. თავიდან თანამედროვე ველომრბოლის მთავარ ვარსკვლავს აკრძალული პრეპარატი კლენბუტეროლი აღმოუჩინეს - ტესტი 21 ივლისს ტურ დე ფრანსის დასვენების დღეს იყო აღებული. ამის შემდეგ, უფრო ადრე აღებულმა სინჯმა დააფიქსირა ერთ-ერთი ნივთიერების კვალი, რომელიც ადასტურებს სისხლის გადასხმას. ესპანელმა დროებითი დისკვალიფიკაცია მიიღო და ახლა ველოსპორტის სამყარო კონტადორის დასჯის ან გამართლების მოლოდინშია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




ტურ დე დოპინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. სუპერმძიმე წონა

# ღირსეული კანდიდატის ძიებაში



ჟან-მარკ მორმეკი

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (IBF) სუპერმძიმეწონოსანთა ტურნირის ორგანიზაციის შესახებ გამოაცხადა. ამ შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს ოფიციალური პრეტენდენტი, რომელიც მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** შეხვდება.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ოთხი მოკრივე - პირველ მძიმე წონაში სხვადასხვა ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფრანგი **ჟან-მარკ მორმეკი**, ამერიკელი **ჯონათან ბენქსი**, უკრაინელი **ალექსანდრ დიმიტრენკო** და რუსი **დენის ბოიცოვი**. უკვე ყველას გაუგზავნეს IBF-ის ოფიციალური წინადადება.

დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული უარს არ იტყვის ვლადიმერთან შეხვედრაზე და არ განმეორდება 2007 წლის სიტუაცია, როცა ანალოგიურ ტურნირში მოგების შემდეგ **ალექსანდრ პოვეტკინმა** უარი თქვა ჩემპიონთან ჩხუბზე და დაკარგა ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსი.

თუმცა მომავალი ტურნირის შემადგენლობა არც ისე ძლიერია. ავიღოთ მაგალითად, 28 წლის ბენქსი, რომელმაც პროფესიულ რინგზე 27 ბრძოლა ჩაატარა და 25 გამარჯვება მოიპოვა. თუმცა კარიერის დიდი ნაწილი პირველ მძიმე წონაში გამოდიოდა. ამერიკელი ნელია, მძიმე და არ გააჩნია ძლიერი დარტყმა. ბენქსი ტურნირზე მხოლოდ 38 წლის ფრანგი მორმეკის დამარცხებას თუ შეძლებს.

სხვათა შორის, მორმეკი უკვე განიხილებოდა კლიჩკოს გუნდში ერთ-ერთ სავარაუდო პრეტენდენტად, მაგრამ მხარეები ფასზე ვერ შეთანხმდნენ. მორმეკმა ბოლო სამი წლის განმავლობაში მხოლოდ სამი ბრძოლა ჩაატარა - მოუგო **ფრეს ოკენდოსა** და **ვინი მადალონეს**, მაგრამ სასტიკი მარცხი იწვნია ბრიტანელი **დევიდ ჰეისგან**. მორმეკის შანსები კლიჩკოს წინააღმდეგ ნულის ტოლია, რადგან რთული წარმოსადგენია, რა უნდა მოიმოქმედოს 181 სანტიმეტრი სიმაღლის მძიმეწონოსანმა უკრაინელი ჩემპიონის წინააღმდეგ. ერთადერთი სპარინგ-პარტნიორად თუ გამოდგება.

28 წლის ალექსანდრ დიმიტრენკო ფიზიკური თვალსაზრისით ყველაზე ძლიერია პრეტენდენტებს შორის. ის გაბარიტებით კლიჩკოსაც კი აღემატება. უკრაინელს პროფესიონალებში 31 ბრძოლიდან მხოლოდ ერთი წაგება აქვს - 2009 წლის აპრილში **ჩემბერსის** წინააღმდეგ საბრძოლველად გავიდა და დამარცხდა ისე, რომ წარმატების მინიმალური შანსი არ ჰქონია. ასე რომ, დიმიტრენკომ ჩააგდო ერთადერთი ბრძოლა ტოპ-მოკრივესთან. გიგანტი უკრაინელი უკვე ხუთი წელია აღარ პროგრესირებს და ბოლო დროს იმავე ძმები კლიჩკოების ბრძოლების „ანდერქარდზე“ გამოდის.

24 წლის რუს დენის ბოიცოვს პროფესიულ რინგზე 27-დან 27 მოგება აქვს, აქედან 22-ჯერ ნოკაუტით გაიმარჯვა. მაგრამ მის აქტივში ჯერჯერობით არ არის არც ერთი ბრძოლა რეალურად ძლიერ მოკრივესთან. რუსს ძლიერი დარტყმა გააჩნია და ნებისმიერის წაქცევა შეუძლია. ოღონდ ის მეტად სწორხაზოვნად მოქმედებს და ასეთი რამ კლიჩკოსთან ბრძოლაში არ გაუვა. ბოიცოვი მეოთხეა IBF-ის რეიტინგში და საჩემპიონო ბრძოლამდე მიღწევის კარგი შანსი აქვს.

■ ■ ■

როგორც ვთქვით, მეტოქეთა დონე არც ისე მაღალია, მაგრამ ვლადიმერს განსაკუთრებული არჩევანი არ გააჩნია. თუ IBF-ის რეიტინგის პირველ ათეულს გადავხედავთ, ამ სიიდან მას უკვე არაერთი ჰყავს ნოკაუტით დამარცხებული. ჩემბერსი, **პიტერი, ჩაგაევი**... რჩებიან ბოიცოვი, დიმიტრენკო, მორმეკი, **არეოლა** და **ადამეკი**. ინდიელმა არეოლამ ერთი წლის წინ გარისკა და **ვიტალი კლიჩკოს** წინააღმდეგ საბრძოლველად გავიდა, 10 რაუნდი გაუძლო და ბრძოლა შეწყვიტა. სავარაუდოდ, უმცროსი კლიჩკოს მიმართაც იმავეს უნდა ველოდოთ. ტომაშ ადამეკი, რომელმაც 43 ბრძოლაში მხოლოდ ერთი წააგო (2007 წელს), რეპუტაციას, რეიტინგში ადგილსა და ჯანმრთელობას უფრთხილდება. მას რინგზე ვიტალიც და ვლადიმერიც იწვევდნენ, მაგრამ პოლონელმა უარი თქვა.

დიდ როლს თამაშობს ფინანსური ფაქტორი. მაგალითად, ზელანდიელმა **დევიდ ტუამ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ვლადიმერ კლიჩკომ მხოლოდ 400 ათასი დოლარი შესთავაზა. მაგრამ რამდენი უნდა შეეთავაზებინა უკრაინელს მოკრივისთვის, რომელიც სალი გონებით არ გამოირჩევა, ზედმეტი წონა აწუხებს, საგადასახადო პრობლემები აქვს და არ შედის წამყვანი ორგანიზაციების საუკეთესო ათეულში?!

მოკლედ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სუპერმძიმე წონითი კატეგორია აშკარა კრიზისს განიცდის და ამაში „დამნაშავეები“ ძმები კლიჩკოები არიან, რომლებიც ამ ეტაპზე ერთი თავით მაღლა დგანან თავიანთ მეტოქეებზე.

P. S. გუშინ, ძმები კლიჩკოების პრომოუტერული კომპანიის წარმომადგენელმა **ბერნდ ბენტემ** დაადასტურა, რომ ვლადიმერის მორიგი მეტოქე 26 წლის ბრიტანელი მოკრივე **დერეკ ჩისორა** იქნება.

*„ვიცი, რომ დერეკ ჩისორა სახიფათო მოწინააღმდეგეა,* - ამბობს 34 წლის უკრაინელი ჩემპიონი. - *ის ახალგაზრდაა, სწრაფი, ძლიერი დარტყმა აქვს. ჩემი მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი მირჩევს, სერიოზულად მოვეკიდო მომავალ ბრძოლას. მან გამახსენა დიადი მუჰამედ ალის მაგალითი, რომელმაც 1978 წელს ტიტული ლეონ სპინქსს დაუთმო, არადა ეს უკანასკნელი მხოლოდ მერვე ბრძოლას ატარებდა პროფესიულ რინგზე. მწვრთნელის რჩევას გავითვალისწინებ. ჩემი მზადება ისევე ინტენსიური იქნება, როგორც ყოველთვის და ვეცდები ჩისორას მინიმალური შანსიც არ მივცე“.*

ბრძოლა 11 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მანჰაიმში SAP Arena-ზე გაიმართება.

ამბები

კალათბურთი

## კემბი ნასვლაზე დაფიქრდა

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ვეტერან ცენტრ **მარკუს კემბის** ეჭვი ეპარება, რომ ამ სეზონის დასრულების შემდეგ გააგრძელებს კარიერას.

*„ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებ კონტრაქტის დასრულების შემდეგ. ყველაფერი ჩემს ფიზიკურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. ასევე მნიშვნელოვანია გუნდში ჩემი სტატუსი - სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებ“,* - განაცხადა ინტერვიუში 37 წლის კალათბურთელმა.

ამჟამად მარკუსი „პორტლენდის“ ძირითადი ცენტრია, მაგრამ **გრეგ ოდენის** დაბრუნების შემდეგ, შესაძლოა, რეზერვისტებში გადაინაცვლოს.

## ფერნანდესი 50 ათასს გადაიხდის

კემბის თანაგუნდელი, ესპანელი მცველი **რუდი ფერნანდესი** ლიგამ 50 ათასი დოლარით დააჯარიმა. სასჯელი NBA-ის მისამართით გამოთქმული ნეგატიური განცხადებები იყო. კერძოდ, მოთამაშის აგენტმა **ჯერარდ დარნსმა** გამოაცხადა, რომ მის კლიენტს ევროპაში დაბრუნება სურს.

ეს არ არის ფერნანდესის პირველი სასჯელი. აგვისტოში მას 25 ათასი გადაახდევინეს იმისთვის, რომ საჯაროდ მოითხოვა სხვა კლუბში გაშვება.

## კინგზის მფლობელი დაიჭირეს

„საკრამენტო კინგზის“ თანამფლობელმა **ჯორჯ მალუფმა** ღამე ციხეში გაატარა - ის თავის სახლთან ახლოს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის დააპატიმრეს.

მალუფმა განაცხადა, რომ მეგობრის ქორწილიდან ბრუნდებოდა და მთვრალი სულაც არ ყოფილა.

## ნოჩიონი მწყობრშია

„ფილადელფია სიქსერზის“ ფორვარდმა **ანდრეს ნოჩიონიმ** სრულად მოირჩინა ფეხის ტრავმა. შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა დაზიანება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გამართული საწვრთნელი შეკრებისას მიიღო, რის გამოც პლანეტის პირველობის გამოტოვებამ მოუწია.

ნოჩიონიმ უკვე ითამაშა ერთ წინასასეზონო შეხვედრაში - „ნიუ ჯერსის“ წინააღმდეგ 19 წუთი დაყო მოედანზე და 5 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

წინასასეზონო მატჩები

**დეტროიტი-ატლანტა 94:85**

30:20, 25:32, 22:14, 17:19

**დ:** სტაკი (16), მონრო (15+7 მოხსნა), დეი (14), პრინსი (12), მაქსიელი (9+5 მოხსნა), ჰემილტონი (7+7 პასი).

**ა:** კროუფორდი (20+7 პასი), ჯონსონი (19+5 მოხსნა), ჰორფორდი (11), პაუელი (10).

**დალასი-კლივლენდი 79:85**

25:28, 21:17, 16:17, 17:23

**დ:** ნოვიცკი (13), კიდი (8+6 პასი), ბარეა (5+6 მოხსნა+7 პასი), ჰეივუდი (5+8 მოხსნა).

**კ:** გიბსონი (15), პარისი (14), სეშენსი (12+5 პასი), ჰიქსონი (11+9 მოხსნა), ჰოლინზი (2+8 მოხსნა).

**პორტლენდი-იუტა 100:109**

23:27, 15:20, 33:29, 29:33

**პ:** ოლდრიჯი (22), როი (16), მეტიუზი (16+5 მოხსნა), ფერნანდესი (14), კემბი (4+7 მოხსნა+5 დაფარება).

**ი:** ფესენკო (18+7 მოხსნა), უილიამსი (15), ჯეფერსონი (14+6 მოხსნა), მაილზი (14).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

| ევრო 2011 | |
|---|---|
| **UNDER 21** | |
| რუმინეთი-ინგლისი | 0:0 |
| ხორვატია-ესპანეთი | 0:3 |
| ბელარუსი-იტალია | 2:0 დ.დ. 3:0 |
| საბერძნეთი-ჩეხეთი | 0:2 |
| უკრაინა-ჰოლანდია | 0:2 |

| ევრო 2011 | |
|---|---|
| **UNDER 19** | |
| სერბეთი-ირლანდია | 1:0 |
| ბულგარეთი-ლუქსემბურგი | 3:0 |
| უკრაინა-რუსეთი | 1:2 |
| დანია-შვედეთი | 3:0 |
| ხორვატია-იტალია | 1:3 |
| ფარერები-ლატვია | 1:2 |
| მალტა-სლოვენია | 0:4 |
| სლოვაკეთი-ჰოლანდია | 0:2 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ახ. ზელანდია-პარაგვაი | 0:2 |
| ინდონეზია-მალდივი | 3:0 |
| კორეა-იაპონია | 0:0 |
| ჩინეთი-ურუგვაი | 0:4 |
| ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2:4 |
| ქუვეითი-ვიეტნამი | 3:1 |
| კატარი-ერაყი | 1:2 |
| ს. არაბეთი-ბულგარეთი | 0:2 |
| ომანი-ჩილე | 0:1 |
| საემიროები-ანგოლა | 0:2 |
| ხორვატია-ნორვეგია | 2:1 |
| ეკვადორი-პოლონეთი | 2:2 |
| **UNDER 21** | |
| თურქეთი-ბელგია | 4:1 |
| ალბანეთი-მაკედონია | 0:0 |
| სლოვენია-უნგრეთი | 1:0 |
| დანია-საფრანგეთი | 1:3 |

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| ფრიკლი-შეფილდი | 1:2 |
| ვოქსჰოლი-ნორთ ფერიბი | 1:1 |
| მოსლი-ლინკოლნი | 4:1 |
| ბარველი-სოლიჰალი | 3:1 |
| ტელფორდი-ბაქსტონი | 1:1 |
| ბრომლი-ჩელმსფორდი | 0:3 |
| უოკინგი-ბრენტვუდი | 1:0 |
| სტეინსი-ბერი | 2:0 |
| დარტფორდი-კანვეი | 3:3 |

| ჩეხეთის თასი | |
|---|---|
| სლავია-უსტი | 3:2 |

| ურუგვაი | |
|---|---|
| დეფენსორი-ელ ტანკე | 3:1 |

კალათბურთი

| ესპანეთი | |
|---|---|
| კახა ლაბორ.-გრან კანარია | 82:61 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ლე მანი-პავრი | 55:58 |

ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-ავტომობილისტი | 5:4 |
| მეტალურ. (ნ)-ნეფტეხიმ. | 2:2 ბულ. 2:3 |
| სიბირი-აკ ბარსი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| მეტალურგი (მ)-ავანგარდი | 3:4 |
| ს. იულიაევი-ბარისი | 4:4 დ.დ. 5:4 |
| ტრაქტორი-იუგრა | 1:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 4:2 |
| ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 0:2 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 2:3 |

| დანია | |
|---|---|
| ჰერნინგი-როდოვრე | 3:1 |
| ოდენსე-ფრედრიკშავნი | 3:2 |
| ოლბორგი-სონდერიისკი | 0:1 |
| ჰვიდოვრე-ესბერგი | 3:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტავანგერი-ვოლერენგა | 1:1 დ.დ. 2:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| პოპრადი-სლოვაკეთი (U20) | 4:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კალპა-ესეტი | 3:4 |
| ტაპარა-ლუკო | 1:4 |
| ტპს-ილვესი | 1:3 |
| ჰპკ-კერპეტი | 3:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პლზენი-ბოლესლავი | 5:4 |
| კარლოვი ვარი-ბოლესლავი | 6:3 |
| პარდუბიცე-ბრნო | 0:1 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 4:2 |
| სლავია-კლადნო | 3:0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბერნი-ცუგი | 4:2 |
| დავოსი-ფრიბურგი | 5:2 |
| კლოტენი-ციურიხი | 0:1 |
| ლანგნაუ-ბილი | 3:0 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 4:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-იურგორდ. | 2:2 ბულ. 1:0 |

ჩოგბურთი

| ATP. შანხაი | |
|---|---|
| შტეპანეკი-**ბაი** | 3:6, 4:6 |
| კუბოტი-**ისნერი** | 6:4, 6:7, 6:7 |
| ისტომინი-**ხიმ. ტრავერო** | 6:3, 3:6, 3:6 |
| **როდიკი**-კოლშრაიბერი | 6:3, 2:1 უარი |
| გოლუბევი-**ტიპსარევიჩი** | 3:6, 4:6 |
| **ლუბიჩიჩი**-ჟანგი | 5:7, 6:3, 6:4 |
| ლოდრა-**ფერერი** | 6:7, 1:6 |
| **ბერდიხი**-რობრედო | 6:0, 6:4 |

| WTA. ლინცი | |
|---|---|
| **გორჯესი**-ჰერცოგი | 6:4, 2:6, 6:4 |
| კორნე-**ვორაკოვა** | 1:6, 3:6 |
| სევასტოვა-**ბ. ზახვალოვა** | 7:6, 1:6, 4:6 |
| **შნიდერი**-დულკო | 6:2, 6:3 |
| ციბულკოვა-**დანილიდუ** | 2:6, 4:6 |
| **ერანი**-კარატანჩევა | 6:2, 6:1 |
| **სუარ. ნავარო**-პარა სანტონხა | 6:3, 6:3 |
| ჩაკვეტაძე-**ბამერი** | 5:7, 0:6 |
| ა. ბონდარენკო-**ვინჩი** | 2:6, 2:6 |

| WTA. ოსაკა | |
|---|---|
| არნი-**სავჩუკი** | 1:6, 2:6 |
| **ნამიგატა**-იონემურა | 6:2, 6:3 |
| **პეერი**-დოი | 6:2, 6:3 |
| **კრეიბასი**-გრანდენი | 6:2, 6:0 |
| დენტონი-**ფუდა** | 4:6, 2:6 |
| **ნაკამურა**-პანოვა | 7:6, 2:6, 6:3 |
| მაკჰეილი-**ბენეშოვა** | 4:6, 3:6 |
| რობსონი-**დატე** | 3:6, 3:6 |
| **ტანასუგარნი**-რიბარიკოვა | 6:2, 7:6 |
| **ბრიანტი**-მორიტა | 7:5, 3:6, 6:4 |

TV პროგრამა

13 ოქტომბერი. ოთხშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:35** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ესპანეთი.
**08:20** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-ჩერნოგორია.
**10:10** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. იტალია-სერბეთი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**14:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:10** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ესპანეთი.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-ჩერნოგორია.
**18:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:10** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. სლოვაკეთი-ირლანდია.
**19:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. იტალია-სერბეთი.
**22:20** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**00:10** ახალი ამბები.
**00:30** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ესპანეთი.
**02:20** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-ჩერნოგორია.
**04:10** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. იტალია-სერბეთი.

**EUROSPORT**

**10:30** სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
**10:35** ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
**10:40** ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი.
**11:30** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**12:30** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შვეიცარია-უელსი.
**13:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**14:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**15:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ლინცი. ავსტრია. III დღე (LIVE).
**19:55** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**21:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ახალი ამბები.
**21:10** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**21:45** სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.
**21:50** მულტისპორტი.
**22:00** ცხენოსნობა. Global Champions Tour. სეზონის მიმოხილვა.
**23:00** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:05** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:05** გოლფი. ევროპის ტური.
**00:35** გოლფ-კლუბი.
**00:40** აფროსნობა. დანიის ღია პირველობა.
**01:10** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:15** სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**02:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შვეიცარია-უელსი.
**03:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ახალი ამბები.
**03:15** მულტისპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი





...და შეყვარებულთან

# ანა მსუქნებს დაერია

თავისი კარიერის განმავლობაში **ანა კურნიკოვას** უამრავ შოუში აქვს მიღებული მონაწილეობა, მაგრამ ასეთ ტელეპროგრამაში არასოდეს გამოსულა: ამ დღეებში ანა მიიწვიეს რეალითი-შოუში, რომელსაც Biggest Loser ჰქვია. ეს არის გადაცემა ადამიანებზე, რომლებიც ფულისთვის იგდებენ ზედმეტ კილოგრამებს. პრიზი სოლიდურია - ვინც ყველაზე მეტ კილოგრამს მოიშორებს, რამდენიმე ათეული ათასი დოლარით გამდიდრდება. პროგრამაში მიწვეულ კურნიკოვას მსუქან მამაკაცებსა და ქალბატონებში სპორტული სული უნდა გაეღვიძებინა და ახალი გმირობებისთვის წაექეზებინა.

ანამ შოუს მონაწილეები კორტზე გაიყვანა და მათ საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. თან უხსნიდა, რამდენ კალორიას დაწვავდნენ ერთი მატჩის განმავლობაში. რუს ჩოგბურთელს ვარდისფერი კაბა ეცვა და იმდენად ეფექტური იყო, რომ ნებისმიერს მოუნდებოდა წონის დაგდება. შოუს მონაწილეებს განსაკუთრებით ის მოეწონათ, რომ კურნიკოვა სხვა მიწვეული ვარსკვლავებისგან განსხვავებით განზე არ გადგა, შეძახილებითა და აქტიური მოქმედებით ამხნევებდა კონკურენტებს და არაქათი გააცალა მათ.

*„ჩოგბურთი - ეს არის სპორტის სახეობა, რომლის დროსაც თქვენი სხეულის ყველა კუნთი მუდმივად მუშაობს,* - აუხსნა მონაწილეებს კურნიკოვამ. *- წარმატების საიდუმლო იმაშია, რომ არ ჩერდებით, ყოველთვის მოძრაობაში ხართ და თან თამაშისგან სიამოვნებას იღებთ. იმედი მაქვს, რომ კონკურსანტებს ახალი წარმატებებისთვის სტიმული მივეცი“.*

■ ■ ■

შოუში მონაწილეობამ კურნიკოვას დიდი ენერგია წაართვა და მან მაიამის სანაპიროზე შეყვარებულთან - **ენრიკე იგლესიასთან** ერთად იახტით გაისეირნა. ანა „სოფლის გოგონას“ ჰგავდა: ნაწნავები და თმაში რამდენიმე გვირილა. როგორც ჩანს, მომღერალი მოიხიბლა ამ იმიჯით და გარშემო ვერავის ამჩნევდა.

ანა და ენრიკე 2002 წლიდან ერთად არიან, როცა ჩოგბურთელმა იგლესიასის კლიპში მიიღო მონაწილეობა. თუმცა წყვილი ურთიერთობის დაკანონებას არ ჩქარობს.

*„რომანტიკულობით არ გამოვირჩევი,* - აღიარა ამას წინალ იგლესიასმა. *- როგორი ბოიფრენდი ვარ? ხანდახან ჩემთან ცხოვრება აუტანელია, ხასიათის ხშირი ცვლა მჩვევია. არ შევესაბამები იმ მუსიკას, რომელსაც ვწერ“.*

სვაროვსკის მანქანა

# მარატ საფინმა ახალი მანქანის დიზაინზე მილიონი რუბლი დახარჯა

რთულია არ შეამჩნიო მსოფლიოს პირველი ჩოგნის **მარატ საფინის** მანქანა. რუს ჩოგბურთელს შავი ფერის Porsche Cayenne ჰყავს, მაგრამ ბოლო დღეებში ის საშობაო კვერცხივით ბრწყინავს. როგორც გაირკვა, საფინმა თავისი ავტო სვაროვსკის თვლებით მორთო.

*„დიახ, მარატმა მართლაც გააფორმა საკუთარი მანქანა სვაროვსკის კრისტალებით“,* - დაადასტურა რესტორნის პერსონალმა, რომელსაც ჩოგბურთელი ხშირად სტუმრობს.

მარატ საფინს ორი მანქანა ჰყავს - „მერსედესი“ და „პორშე“. პირველი აჩუქეს, მეორე კი მეგობარი ბიზნესმენისგან შეიძინა - 50-პროცენტიანი ფასდაკლებით. ასეთი ძვირფასი მანქანების მიუხედავად, რუსი ჩოგბურთელი არასოდეს ყოფილა შემჩნეული ფუფუნებისადმი მიდრეკილებაში.

*„მე არ მაქვს Dolce&Gabbana-ს ან Cavalli-ის ჯინსები,* - თქვა ერთხელ მარატმა. *- არ მივსდევ მოდის სიახლეებს - ეს უბრალოდ არ მჭირდება. არ ვცდილობ ვილაცისთვის რაღაცის დამტკიცებას. ახლა ჯინსი მაცვია, ოღონდ ის ამერიკაში 20-დოლარიანი ფასდაკლებით შევიძინე“.*

საფინი იმასაც ამბობდა, რომ მანქანა მისთვის მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა. ამიტომაც გააკვირვა ნაცნობები, როცა უდიდესი თანხა დახარჯა თავისი „პორშეს“ ბრწყინვალებისთვის - სვაროვსკის კრისტალებით ინკრუსტაცია ძვირი სიამოვნება ყოფილა.

*„ეს დიზაინი დაახლოებით ერთი წლის წინ შეიმუშავეს,* - ამბობს დიზაინერული ფირმის ერთ-ერთი წარმომადგენელი. *- ასეთი სურათი საკუთარი მანქანისთვის ნებისმიერმა შეიძლება შეუკვეთოს. ეს სიამოვნება ზუსტად მილიონი რუბლი ღირს. სამუშაოსთვის სვაროვსკის 50 ათასი კრისტალი გამოიყენება“.*

მანქანის ინკრუსტაციას ერთი კვირა სჭირდება, თანაც სამუშაოში კრისტალაიზერების მთელი ბრიგადაა ჩართული.




ფორმულა 1

# კორეას რბოლა დაუმტკიცეს

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ინსპექციამ ორი დღე მოანდომა სამხრეთ კორეის ტრასის შემოწმებას, რის შემდეგაც ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამ ქვეყნის გრან-პრი დადგენილ ვადებში ჩატარდება. ინსპექციას ფედერაციის წარმომადგენელი **ჩარლი უაიტინგი** მეთაურობდა.

სამხრეთ კორეის გრან-პრი 24 ოქტომბერს გაიმართება. ავტოფედერაციის წესების თანახმად, მისი მშენებლობა რბოლამდე სამი თვით ადრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მშენებლები გრაფიკს სერიოზულად ჩამორჩნენ და გრან-პრიმდე მხოლოდ 11 დღით ადრე ჩააბარეს ობიექტი. ამასთან, ორგანიზატორებმა ასფალტის ბოლო ფენის დაგება მხოლოდ გასულ კვირას დაასრულეს და ბოლო მომენტამდე დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ ისტორიაში კორეის პირველი რბოლა ოქტომბრის ბოლოს გაიმართებოდა.

მაგრამ ჩარლი უაიტინგმა განაცხადა, რომ ის საბოლოოდ დარწმუნდა ტრასის მზადყოფნაში. *„ტრეკის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია,* - განაცხადა ფედერაციის სარბოლო დირექტორმა. *- დღესვე მივცემთ ავტოდრომს ლიცენზიას. კორეის გრან-პრი აუცილებლად გაიმართება“.*

კორეის ტრასა დედაქალაქ სეულიდან 400 კილომეტრში, პროვინცია ჩოლა-ნამდოში მდებარეობს. ტრეკის სიგრძე 5,615 კილომეტრს უდრის. ის 18 მოსახვევისგან შედგება, ტრასის გავლის სავარაუდო დრო კი წუთსა და 40 წამს შეადგენს. რბოლის ორგანიზატორებმა და მსოფლიოს ჩემპიონატის ხელმძღვანელობამ გრან-პრის ჩატარებაზე შვიდწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. არსებობს ხელშეკრულების კიდევ ხუთი წლით გაგრძელების პუნქტი.


კორეა მზად არის

კალათბურთი

# აივერსონი თურქეთში მიდის



ალენ აივერსონი

თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, თითქმის გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ NBA-ის ვეტერანი ვარსკვლავის **ალენ აივერსონის** თურქეთის „ბეშიქთაშში“ გადასვლა. კონტრაქტი ერთწლიანი იქნება და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი საუკეთესო მოთამაშე 2 მილიონ დოლარს მიიღებს. გათვალისწინებულია ბონუსების გადახდაც.

*„მოლაპარაკებები სწორი მიმართულებით მიმდინარეობს,* - განაცხადა აივერსონის მენეჯერმა **გარი მურმა**. *- სტამბოლი შესანიშნავი ქალაქია, ჩემპიონატში დიდი კონკურენციაა და ამ ფაქტორებით მოხიბლული ვართ“.*

*„ალენს ძალიან უნდა კალათბურთის თამაში“,* - დაამატა მურმა.

„ბეშიქთაშის“ წარმომადგენლებმა ორშაბათს გაუგზავნეს კონტრაქტი აივერსონს და იმედი აქვთ, რომ ალენი ამ კვირის ბოლომდე მოაწერს ხელს ხელშეკრულებას.

გოლფი

# ელინი თვითმკვლელობის ზღვარზე


ელინ ნორდეგრენი

ლეგენდარული გოლფისტის **ტაიგერ ვუდსის** ყოფილ მეუღლეს **ელინ ნორდეგრენს** თავის მოკვლა ჰქონდა განზრახული. 30 წლის მოდელი ქმრის ღალატს ვერ შეურიგდა.

ელინისა და ტაიგერის სკანდალური განქორწინების შემდეგ, ქალმა ასობით მილიონი დოლარი მიიღო, მაგრამ ფულმა მას განწყობა ვერ გამოუკეთა. ის ღრმა დეპრესიაში ჩავარდა და დედას - შვედ პოლიტიკოს **ბარბრო ჰოლმბერგს** გამოუტყდა, რომ თვითმკვლელობაზე ფიქრობს. ქალიშვილის სიტყვებმა 58 წლის ქალბატონზე მძიმედ იმოქმედა - მან გულის შეტევა მიიღო და ორლანდოს ცენტრალურ კლინიკაში გადაიყვანეს. ელინს საბედისწერო ნაბიჯის გადადგმაში ხელი შეუშალა შვილების - 3 წლის **სემისა** და წლინახევრის **ჩარლის** სიყვარულმა, აგრეთვე ინტენსიური ფსიქოთერაპიის კურსმა.

ქმრის ღალატით მიღებულმა სტრესმა მის გარეგნობასაც დაამჩნია კვალი.

*„ჯოჯოხეთში ვიყავი,* - იხსენებს ელინი. *- ქმრის ღალატმა ჩემს ცხოვრებას ყოველგვარი აზრი დაუკარგა. რამდენიმე კვირა სახლიდან არ გამოვდიოდი და გაუთავებლად ვტიროდი. თითქმის არ ვჭამდი და ძალიან გავხდი, თმა გამიხუნდა და ცვენა დაიწყო. ბავშვები და სპეციალისტთა დახმარება რომ არა, ახლა ამქვეყნად არ ვიქნებოდი. მათ დამარწმუნეს, რომ ტაიგერი არასოდეს შეიცვლება, მე კი მის გარეშე ცხოვრება შემიძლია“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**